

თ. ურბ. 141

ი. კ. მ.

ივერია

1881

№ XI, ნოემბერი.



თბილისი.

ეჭეთიმე სულაძის სტამბა.

1881

შინაარსი:

I	ივერიის რედაქციისაგან.	
II	ზანკითხვა, ლექსი ვ. ო-სა.	3
III	მეირიმა ანუ ბოსნელები, დრამა სუთ მოქმედებად მატეი ბანა-სი	21
IV	ნახული და გაგონილი (მგზავის შენიშვნები).	95
V	სისხლის აღება, (ამბავი ივლანდიის ცხოვრებადამ) შის ლაჭანისა.	109
VI	თეატრი, (ასაღი მოთამაშეები.—მომაკვდაუნ).	141
VII	შინაური მიმოხილვა	150
VIII	პორექტურული შეცდომები	158
IX	ნეკროლოგი (ედაზუდ).	

ივერია

საპოლიტიკო და სალიბერალური
ქუჩნალი.

წელიწადი მეხუთე.

№ XI



თბილისი.

ექვთიმე სელიძის სტამბა, აკამანის ქუჩაზე.

1881

6002



Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 Октября 1881 г.

„ივერიის“ რედაქციისაგან.

მომავალს 1882 წელს ქურონალი «ივერია» გამოვა იმავე სახით და სივრცით, როგორც 1881 წელს გამოდიოდა.

ყურნალში იქნება სსმი განყოფილება: 1) ბელეტრისტიული—რომანები, მოთხრობები, ჰოკები, წკრილი ლექსები, როგორც ორიგინალურნი, ისე საუკეთესო თხზულებათა თარგმანნი. 2) წკრილები ისტორიული, კრიტიკული, ეტნოგრაფიული, მოგზაურობა და სსვ. 3) ქრონიკა: ამ განყოფილებაში განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული «შინაურს მიმოხილვას.» რედაქცია ყოველს დონის-ძიებით ეცდება, რომ არავითარი საინტერესო მოკლენა ჩვენს ცხოვრებაში უყურადღებოდ არ დასტოვოს და შეძლებისა-მებრ ჩვენის ქვეყნის ყოველს კუთხეში იყოლიოს სანდო ჰირნი ცხოვრებისათვის თვალყურის სადევნელად. გარდა შინაურის მიმოხილვისა, ყურნალში იქნება აგრეთვე რუსეთისა და უცხო ქვეყნების მიმოხილვა—რედაქცია ეცდება თვისა-და-თვის თავზედ წარუდგინოს მკითხველს ყოველივე, რაც კი გარეშე ქვეყნებში შესანიშნავი მოხდება. სამეცნიერო ქრონიკა—წკრილები სსვა-და-სსვა სამეცნიერო და ჩვენის ქვეყნელებისათვის საინტერესო საგნებზედ. ტეატრი—გარჩეული იქნება კრიტიკულად ჩვენს სცენაზედ ნათამაშები პიესები და აგრეთვე აქტიორ-აქტირისების სელოვნება. ახალი წიგნები— ვრცელი კრიტიკა და შენიშვნები ახალს ქართულს წიგნებზედ და აგრეთვე უცხო ენით

დაბეჭდილებზედაც, რომელნიც ჩვენს ქვეყანასა და საღვსს შე-
ესებინან. სხვა-და-სხვა ამბები—მეტწიერებისა და ლიტერატურ-
რისა.

წიგნები «ივერიისა» გამოვა ყოველს თვისა - და - თვის
დამდეგს.

ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი

«ივერიისა» 1882 წლისა (თორმეტი წიგნი) 7 (შვიდი)
მანათი. ვისაც ერთად შემოტანას არა სურს, შეუძლიან ოთხი
მანათი პირველს იანვრამდე შემოიტანოს და სამი მანათი პირ-
ველს მანამდე.

ყურნაღზედ ხელის-მოწერა მიიღება «ივერიისა» რედაქ-
ციასში, რომელიც იმყოფება მთა-წმინდაში, ხევის ქუჩაზედ, ოს-
რესაშვილის სახლებში, № 9 და აგრეთვე შავრდოვის სასაგუ-
ბროში, ალექსანდროვის ბაღთან.

ქაღაქს გარეშე მცხოვრებთ ფული და წერილები შემდე-
გის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисѣ

Въ Редакцію журнала «ИВЕРІИ».

დაძეა ბნელი, დაძე წყვდიადი :
 ცაში ვარსკვლავი აწსად ანათებს,
 მაგრამ უშიშრად მსედარი მარდი.
 უგრ-უკვალთ ცხებს მიჭროლებს.
 რაშია შავი, დოდის შკენება;
 მას ეგულებსა ჰატრონის ნება;
 სწანს ნაცნობია იმ უგრ გზისა;
 მას ვერ აბკოლებს სიბნელე ცისა;
 მიწბის, მიჭქროლავს მეჩანი შავი;
 მას ძლივსდა ასწრობს მთებით ნიავი,
 იმისნი თვალნი ცუცხლებერ ანთიან,
 იმისნი ხალხი ჩაპერწკლებს ჭყრიაან.
 ადვირი კისერს აქვს მიხდობილი,
 მიწბის, მიჭქროლავს თავ-წინ მიხრილი.
 მაგრამ მას მსედარს რა ესწრაფება?
 ნუ თუ მას თავი არ ენანება ?
 ნუ თუ არ დასდეკს უცხო მსედარი,
 რომ ელვამ გასჭრა ბნელი ცისკარი!
 რომ ცამ იჭექა და დაიგრგვინა,
 რომ იმის გზაზედ, ახლო მის-წინა

მდინარე დიდი წინსვით მდინარებს,
 ალეკებუღი მიწის, ღრიალებს.
 ანა! ან დასდევს; ის მხოლოდ ჭხედავს,
 გაღმა, შორს წაღაც სინათლე ბუბუტავს.
 ანა! სიფრცხლე მისი იქ არის,
 სადაც მის რაში მიჭჭროლავს, მიწის;
 იქ არის მისთვის სამყარო მთელი,
 ალექსის ქვეყანა და ცა ჩათელი.
 უნდა მსუდანა იქ მანაწილს,
 ან იმ სინათლეს თავი შესწიროს..
 სტეპს ცის კამარა, გრგვინავს და ელავს,
 მდინარის ტალღა ღრიალებს, ლელავს.
 აბა, მეჩანო, აქ გამოჩნდება
 რაც გაჭვს სიმარდე და ძლიერება.
 მშვენიერია მეჩანი შავი
 როცა მიჭჭროლავს ამაყად დოღში.
 მას ვეწას ავნებო მტრის თვალი ავი
 კვალს ვეწ შეუშლის ვერც ერთი რაში.
 ყველას წინ მიჭჭრის, ყველას წინ მივა,
 შორს მას მისდევენ სხვა რაში ძლიერა.
 მაგრამ აქ დოღი არის სხვა გვარი;
 აქ ჭეკავს რაფითა დიდი მდინარი,
 მის შიშვე ზვირთნი, მის ტალღის ლელვა,
 ბნელი ცისკარი, ჭეკა და ელვა.
 შენა მის თავზედ გრგვინავს და ელავს,
 როგორც მდინარე, ცაც ისე ლელავს.
 აბა, მეჩანო, განკალ თუ ვეწა?
 თუ მაგ ზვირთებში შენია წეწა?

მაგრამ ის რაში არის სხვა რაში!
 არის უტოლო, ვით მთვარე ცაში.
 მაგრამ მის რაშის ასე წესია:
 ერთის კამართ, ზვირთთ მიესია.
 მიაწვა მძიმედ დიდი მდინარე,
 მას წინ დაუხვდა ტალღა მღელვარე;
 ზვირთნი ღრიალით გარს ეხვევიან,
 «ვერ გახვალ» თითქოს ემუქრებიან.
 არა! მას ზვირთი გზას ვერ შეუძლის.
 ცის და მდინარის ღელვას დასცინის.
 ფეხს ვერ იკიდებს, მაგრამ მისცურავს,
 ძლიერის მკერდით, ზვირთთ ტალღას სთრგუნავს,
 მღელვავს მდინარეს პირ-და-პირ აზობს,
 ტკბილის იმედით მხედრის გულს ამკობს.
 დაუახლოვდა გაღმა ნაპირსა,
 მოჭკვიდა ფეხი მდინარის ძირსა.
 მიუხდა ნაპირს გამარჯვებულად;
 ნაპირი დახვდა მთლად ჩარღვეული-
 ხვდა, მერანო! გახვალ თუ ვერა?
 თუ შენის მხედრის მოვიდა წერა!
 რაშმა ერთს წამსა მისედა მხედარს
 და კვლავ მიუხდა ამაყად მდინარს.
 დაჭყვა მჩისხანით მღელვავის დედას,
 იმის ზვირთების და ტალღის რბენას.
 შენა მის თაყვედ გრგვინავს და ელავს,
 როგორც მდინარე, ცაც ისე ღელავს.
 ზვირთნი და ტალღა გარს ეხვევიან,
 «ვერ გახვალ, ვერა», ემუქრებიან.

მაგრამა წაში, მისტურაგს, მიდის,
გაგა თუ გეგა ის ღმერთმა იცის.

II

ვისია ესე მაგარ სადგურში
თუმიცა მოხუცი, ჯეგ ან უძლეური?
აქვს მტკიცე ცისე მოკლილი გარე,
ამაყნი გოშენი და ვრცელი არე.
მის მფლობელია შტო დიდებულთა,
ქველთა სასულით სათლავს ჩასულთა.
როგორც მის ცისე დასავსებულა
ისე მის გული არ დაჩაგრულა,
სადგას ისე მაგრად, ვით მისი არე
თუმიც ბევრი ნახა მან ბრძოლა მწარე.
სიყრდით ბრძოლებში არის აღსდელი,
ბრძოლებში სშირად უღერია სისხლი.
ესლაც კი ნატრახს, კვლავ ბრძოლა წახოს,
რომ სამშობლოსთვის კვლავ სისხლი ღვაწოს.
სწუხს მისი გული, გული გმიროსა,
ანსად არ ისმის სმა ნაღარისა.
სჭმუნავს და ოხრავს მოხუცი ქველი.
მაგრამ მას უყვარს მოთხრობა ძველი,
თვის მუხობლებთან ძველს დროს იგონებს,
მით გულის სჭმუნავს სუგდას იმორებს.
აჭა ბრძოლას, ფიცხული ბრძოლა,
ესმის ყიყინა, ნაღარა, სრულა;

ორის მხრით ხმალი კრიალებს, ელავს,
 ფიტსელი ბრძოლა გრგინავს და დელავს:
 დელავს მის გუჯი, თოფს ხმალს მისწვდება,
 მაგრამ რომ ღრუნებს, მოაგონდება,
 ამოიხრავს, ჩაჭკიდებს თავსა,
 «დემეტო შეკესწარ რა დროს მე ვასა»
 უყვარს სამშობლო მიწა-მამული;
 მის ისტორიის დიდი რკეული
 გძელი და ბნელად ხშირად წინ უძევს,
 აღმოვიტოვებ და ცრემლთ ცხარით აფრქვევს.
 უყვარს მას წმინდა ქრისტეს ტაძარი,
 მაღლით სარგის ხმა, წირვა, წისკარი;
 შევა ტაძარში, დემეტოს დღისთვის ჰმადლობს,
 ჭგალობენ სხვანი, ის მათთან ჭგალობს,
 უყვარს მოხუცსა თვის გლეხნი, უმანი,
 მისთვის ის უმანი აჩიან ძმანი,
 მათთან ნადიმი და მათთან ლხინა,
 მათ საუბარი, უმზაკვრო ენა.
 უმას ჭყავს პატრონი, ანა პატრონი
 ერთნი აჩიან უმა და პატრონი.
 მაგრამ მის შეუღა, მის სიხარული
 არის მის მტრულს, მისი ასული.
 ვარდი ფურჩქანილს განაფხულისა
 ტურთა ვარსკვლავი განთიადისა.
 რთოვარ! მის ასულს სხვა ვინმე უყვარს,
 გმირი ვერ გულებობს სიყვარულს იმ გვარს,
 მოხუცს ანა სწამს ის საუყარული,
 არ იცის გმირმა დიატთა გული.

სუქს თვის ვანსკვლავის მას გათხოება
 წესით და რეგორც აჩს ჩვეულება,
 მის საჭმლოთ თითონ ჰყავს არჩეული
 სიმინით, სიჭკელით სახელ-განთქმული,
 დიდის გვარისაც მარტო შტო აჩის,
 მაგრამ ასულის გული სხვაგან რბის;
 ასული სტირის, მამა არ ისმენს,
 ასული მამის უაჩს ვეჩ ითმენს.
 ვინც უყვარს მხოლოდ იმას წაჭყვება
 და ან უდროოდ სათლავს ჩაწება.
 შუადამეა, მოხუცსა სძინავს,
 სძინავს, არ ესმის, ცა სჭექს და გრგვინავს;
 სძინავს და ხედავს უცხო სიზმარსა
 დიდი ყრილობა, აჩის მის კაჩსა;
 აჩის ნადიმის დიდი მზადება,
 მისულა და მოსულა, მხიარულება.
 ისმის სტუმართა ხმა მხიარული,
 ყველას აქვს ნათლად სახე და გული.
 ჭხედავს: მხედარნი შორით მოდიან,
 მღერენ: «მოკდივართ, მოკვანჩიან»
 მღერენ და თანვე ცხენზედ მარდობენ,
 თოფით, დამბახით, ხმლით ნაკარდობენ.
 ჭხედავს საწოლში მძიმეთ მოართულსა
 თვისთ თვალთ სინათლეს, თავის ასულსა;
 მას ტოლნი ქალნი გარს ესვევიან,
 «რე ტურფა რამ ხარ» ეუბნებიან,
 უამჩით, ჯაჭვებით, აღმასებით რთვენ,
 თვალთ უგოცნიან, უაღუჩსებენ.

სსსძლო ასული მშვენიერია,
 უნარის მოხუცს, ბედნიერია.
 კმარა მოხუცო! ეგ არს ზმანება,
 არს მხოლოდ ავი, ცრუ მოღანდება.
 გამოიღვიძებ, გმირო საბრალა,
 შენს უურს მოაწევს ხმა საკადალა.
 რომ გაგიტენდა დღე ბნელი შავი,
 რომ შენი ვარდი, შენი ვარსკვლავი.
 შენს ციხე-კოშკში აღარსად არის,
 რომ სხვის არეში მნათობს და ჭყკავის.
 დაახშობ შენის სადგურის კარსა,
 თაკზედ მოიური მტერს და ნაცარსა,
 დასწეული შენს დღეს და შენსა არეს.
 და შენთ ჭკვლთ მამათ ჩახვალ სამარეს.

III

დასდგა ცის გრგვინვა; ცამ მოაწმინდა,
 ვარსკვლავებიითა, მთვარით გაბრწყინდა.
 ილეკა ღამე, განთიადია,
 მთიები ცაში კიდევ ანთია;
 ღაჯვარდის ფერათ უენა ლურჯდება,
 მთიები ცაში თრთის, ბუყუტავს, ჭჭრება;
 მზის წინ მორბედმა, სხივმა ცხოველმა,
 მზის ამოსვლისა მახარობელმა,
 კამარა ცისა გააპო, გასჭრა;
 ტურფად მბუყტავი მთიები გაჭჭრა.

მაგრამ თვით სწნდება მნათი ქვეყნისა,
 ელვარე ალით, ტანი ცეცხლისა;
 დიდთ მთებთ რიგთ უკან მნათი ამოდის
 და სხივს ელვარეს ცაში უსვად ღვრისა;
 ამოდის ნელად და დიდებულად;
 ამოდის, სწნდება, გამოსწნდა სრულად;
 ცა და ქვეყანა ანთონ სხივით;
 დიდი ბუნება აღსდგა თვის ძიებით.

ვხედავ გაბრწყინდა მზით ამაყი დიდთა მთათ რიგი,
 ზოგჯერ უძირალ უფსკრულებით გაჭრილთ იგი;
 ზოგჯერ მის წვერნი დიდებულათ ცამდინ ასულან
 და ვით გვირგვინით უბნულთ და ხავსით მოართულან.
 მას სპეტაკს გვირგვინის მზე კერ აღნახს და კერას ავნებს;
 ძვეს საუგუნოდ, მხალოდ მზესედა ვით მზე ელვარებს.
 მათ მთათ შირ-და-შირ სდგას და მისდევს სხვათა მთათ რიგი;
 არ არს უძირალ უფსკრულებით გაჭრილი იგი;
 იმისნი წვერნი ცის კიდემდის არ აღმართულან;
 ხავსით, უბნულთ არ მოცულან და არ მოართულან.
 დიდთა მთათ რიგი მას ამაყად შორით დასცქერის;
 თითქო სურს უთხრას, დააუკადროს, თითქო დასცინის:
 «თუმიცა მდელოთი ზურმუხტის თვრათ მთლად შემდარსლხარ;
 თუმიცა ტყეებით და ბუნქებით ტურთვად თურჩქვნილხარ
 და შენს თავსედა გადმოსულა მადლი ციური, —
 მაგრამ ჩემთან ხარ მაინც ბაღლი და უსუსური.»
 რათ მთათ რიგთ შუა გარდა მლილი წვეს ვრცელი კელი,
 მარად ბრწყინვალე, მზის სხივითა მარად ცხოველი,
 მოწყალე ღვთისგან დალოცვილი და ბედნიერი,

მათ ღრთ მთათ რიგთა ჴამოზდილი და ნებოერი.
 ღრნიკ ღრის მხრით სიყვარულით მას დასტყუროან;
 დაცხება, — ნიავს სუნელოვანს მას უგზავნიან.
 მის გულს და წიადს ცვარით ნამენ და აგრილებენ,
 წყალთა ნაკადით, თვის წიადით, რწყევნ, აცხოვლებენ.
 იზიდვენ თითონ სეტყვას, მესას და ქაჩიშხალსა,
 რომ მოაშორონ თვის საყვარელს, მშვინიერს კელსა.

მშვინიერი ხარ სამოთხე კელა,
 დიდის მოთხრობის წიადში მტკელა.
 მალღის მწვანე მთით გომიერ და ვომიერ,
 შენს დიდს შვილებას სულს და გულს ვიწერ.
 გომიერ და თვალი კელარ გმოხდება,
 გომიერდე მარად გულს ენატრება.
 მშვინიერი ხარ სამოთხე — ვკელს.
 შენთ გმირთ მეთ მფალთა და სისხლის მტკელა.
 მწარე ბრძოლები რაც შენ გინახამს,
 აწინდელს შენს მეს არ სჯერს, არა სწამს.
 მკელთ დროთ ძე შენნი მწარედ იბრძოდენ,
 თვის არ იცვლიდენ, ისოცობოდენ,
 და აწ ხარ ტურფად განშვილებულნი,
 დიდის მეფისგან გაშენებულნი.
 როსმე ყოფილას ის მეფე გმირი,
 ეხლაც სდგას მიწი დიდი სადგურნი;
 მაგრის გომიერით, ცინით მორთულას,
 მალღიდგან შენზედ გამოკიდულას.
 იქილამ თურმე გმირი გეტრფოდან,
 გეტრფოდა თურმე და მას ფიქრობდა

რომ დაჩაგრული კვლავ გაგაშენოს,
 რომ წაღკოტებით კვლავ დაგაშენოს.
 მშვენიერი ხარ სამოთხე ველთ,
 გულის, სულისა თვალთ წამტაცველო:
 ედემის სწორად ღმერთმა დაგნიშნა,
 კაცთ საფუფუნოდ შენ გაგანიხა.
 მაგრამ შენზედაც კაცი არ სცხრება,
 მას სდევნის მარად სხვა-და-სხვა ვნება.
 აჭა მას კელზედ მდინარის ნაპირს,
 ვხედავ მხედარსა, ტანად-პირად გმიჩნა;
 მთლად შეჭურვილა იარაღითა,
 თოფით, დამბახით, ხანჯლით და ხმლითა;
 რაღაც კვალს გძებს გაშფოთებული,
 ძლიერად უძგერს მას მკერდთ-ქვეშ გული;
 ჭფიქრობს: განმიქერ შენ მე მთიები;
 ან შენს სისხლს დაკლევ, ან შეგაკლავი.
 დილას გრილი, მაისის დილა;
 მხედარი იწვის, მხედარს არ ჭგრილავ;
 ბუღბუღი ბუჩქში ჭგალობს და უსტკენს;
 მხედარი ციურს მგოსანს ან უსმენს;
 მდელო ნაძვითა აღმასებრ ბრწყინავს,
 მის დიდს შვენებას ვერ გრძნობს, ვერ ჭხედავს,
 ფუფუნებისთვის მას არ სცალობს;
 გულს სისხლი აწევს, სისხლი სწყურიათ.
 დაჭქროლავს კელზედ როგორც უგონო,
 როტავს: «გიპოვნი, უნდა გიპოვნო»
 უეცრად შედგა, იპოვნა კვალი,
 სისხლით და ცეცხლით აერთო თვალი.

მას მიჭყვავ, მის ჭკალს თვალს ან აშოტებს,
 ხან წყნარად მიდის, ხან ცხენს აშუტებს.
 რისხვით ხან კივის და ხან იცინის;
 ვინ მოჭკლავს ვისა, ის ღმერთმა იცის.

IV

სამეფო ტახტზედ ზის მეფე ქველი,
 აქრის გვირგვინი მის თავზედ ბრწყინავს,
 მეფე მოწყალე, მეფე განმჯელი,
 რა გათენდება ერისთვის ზრუნავს;
 თავის სამეფოს თითონ განაგებს,
 არ ანდობს თავის ერს მოხელებს მძლავრებს;
 არის გულ-ღია და მოცინარე,
 მაგრამ დღეს თქუნი რაღაც აქვს მწარე:
 ნათელი სახე მოღრუბლულია,
 მალაღი შუბლი მოჭმუხვნილია.
 სწუხს მისი გული, ზვილი და ქველი:
 უნდა განსაჯონ დღეს მოძმის მკვლელი.
 მის მარჯვნივ, მარცხნივ დგანან მსაჯულნი,
 მხედართ მთავარნი და დიდებულნი.
 სდგას მეფის წინა ვინმე ასული,
 მდიდრის შვილებით ღვთისგან მოართული,
 მაგრამ მის ცხოველთ, მშვიდნიერთ თვალებს
 ვით კვლავ ნათელი დღეს არ უნათებს;
 გიშრის თმა კავი, გიშრის დალაღი
 უწნავი მსრებზედ აქვს გარდაშლილი.

მის სპეტაკს ღაწკზედ ცრემლი ელვარებს,
 შიშით მოელის მეფე რას ბძანებს.
 ბძანა მეფემან: «ვით დაისჯება,
 ვინც შეუწაცს-ჭეო თვის მშობელთ ნება;
 ვით დაისჯება იგი ასული
 ვინც შეუწაცს-ჭეო თვის დანიშნული,
 თვის დიდი გუარნი ვინც დაივიწყა
 და უცხო ვისმე უსირცხლოდ წაჭყვია.»
 იღუმალ არის მსაჯულთა კრება;
 ტურთია ასული მას ენანება.
 მაგრამ მეფის წინ წარდგა ასული;
 «მეფეო, არ იცი შენ სიუვარული.
 შენ გიუვარს მეფეო შენი ჰორიერი,
 შენ შენი ერი, ქველი და გმირი,
 გიუვარს შენ შენი სამეფო ტასტი,
 შენი ბრწინვალე ოქროთ-პალატი;
 შენი გვირგვინი თვლებით ელვარე;
 შენ სიუვარული არ იცი ძწარე.
 შენი გულია განსკენებული;
 არ იცი, მეფეო, შენ სიუვარული.
 მე გი მეფეო სხვა-გვარ მიუვარდა;
 ის სიუვარული გულს აღით მწვამდა.
 ქვეყნად მიუვარდა მე მსოფლად ერთი,
 ის ჩემთვის იყო ამ ქვეყნად დმერთი;
 რა გი პირველად მე ისა ვნახე,
 მთლად ჩემი არსო მასში დავსახე.
 ჩემთვის მზე მსოფლად მითი ნათობდა,
 გული მარად წამს მის გზისკენ რბოდა.

მის მშვენიერი, ნათელი სახე
 ჩემთვის შეიქნა უწყალო მასე;
 მას ვერ ვხედავდი, კვნესოდა სული,
 იტანჯებოდა უწყალოდ გული.
 ჩემმა მშობელმა სსკაყედ დამნიშნა;
 გულმა ხელმწიფეკ ვერ მოითმინა,
 ბრძოლით დაკსუსტდი და გაგიტანჯე;
 წავგეკ მეფეკ, მეფეკ დამსაჯე.»
 შებღს დაეწერა მეფეს ღრმა ფიქრი.
 ნუ თუ ეს გრძნობა ქვეყნად არს ხშირი!
 სდგას მეფის წინა ჭახუგი ვინმე;
 სასყყედ უჩანს მას ფიქრი მძიმე,
 მაგრამ მას ერი გმირად უწოდებს
 მას არ ეშინის მეფე რას ბძანებს.
 ბძანა ხელმწიფეკ: «ვით დაისაჯოს
 ვინც მოძმის ძრახვით სისხლი დაღვაროს?»
 მსაჯულთ წარმოთქვეს სიტყვა: «სიკვდილი!
 მოძმის მკვლელს ქვეყნად არ აქვს ადგილი.»
 მეფის წინ წადგა ჭახუგი გმირი:
 «მეფეკ ესლაც ვარ ცოცხლადვე მკვდარი.
 სიკვდილი ჩემთვის რა სასჯელია,
 საფლავი ჩემთვის სახატრელია.
 ქვეყნად სიცოცხლე სხვისთვის მიხდოდა,
 ჩემი სიცოცხლე ჩემთვის არ მქონდა.
 მნათნი ვარსკვლავნი, მზე და მთოვარე,
 რა ვარსკვლავებით ძდიდრად ეღვარე,
 რაც ცის ქვეშ სხვისთვის არის ნათელი
 ამიერ მეფეკ ჩემთვის არს ბნელი.»

ჩემს გულს სიცხოვლე, შეევე, აღარ აჭეს,
 როგორც მოწვევტილს მთიდგან სალას-ჭვას,
 მე აღარ მეღის ამ ქვეყნად შკება,
 სიკვდილი, შეევე, გულს ენატრება.»
 მაგრამ დაემხო ტურფა ასული:
 «შეევე, მხოლოდ მე ვარ ბრალეულის;
 დედის ერთაა, დიდო ხელმწიფეკ,
 ხელმწიფეკ ქველო, შეევე მოწყალეკ,
 მაგის მშობელნი გებრალეობდენ;
 მათ ცის მნათობნი არ დაუბნელდენ,
 ეგ არის მათი მზე და მთოვარე:
 ნუ დაადგებათ მათ ეტლი მწარე.»
 სტირის და ჭკოდებს ტურფა ასული,
 გამხიარულდა ხელმწიფის გული.
 ბძანა მოწყალემ და დიდებულმა:
 «მეც მოგიტევე ვით ამა სულმა;
 იყავ ამ სოფლის კვალადცა მგზავნი,
 წადი და მოძმის სისხლს ნუღარ დაღვნი.
 მამულისათვის შენ ხარ საჭირო,
 შენს მამულს თავი უნდა შესწირო
 და შეიწყალებს ღმერთიც შენს სულსა
 თუ რომ შესწირავ თავს შენს მამულსა.»

V

არს მონასტერი განდგომილთ დედათ;
 მალაღს მთარედა სდგას ის ლიტონათ, —

ადგილი მწიწი და უდაბური
 კაცთ საცხოვრებლად მსული სადგური.
 ფრიალო სალა ხეს არ აგვარებს;
 ზურმუხტი მდელი თვალს არ ახარებს.
 მუუდროა, ჩუმი, მის ტაძრის გარე,
 ვით სასაფლაო, გარდაცვლილთ არე.
 მხლოდ მის ზარი თვის დიდებულს ხმას
 ასმენს დღე-ღამე დალა ხეობას.
 ხეობის ერნი იწევენ ზირ-ჯვარს
 და თაყვანს სტემენ შორით მას ტაძარს.
 წმინდა დედანი იქ მოღვაწებენ
 და სოფლის ვნებათ იქ ივიწეებენ.
 ღვთისადმი სული აქეთ შეწირული,
 მხლოდ ღვთისათვის მათ უძგერთ გული.
 მაგრამ დღეს ისმის სშირად მის ზარი;
 არის მოცული ერთ მის კარი.
 იქ შეუჩლია მთელი ხეობა;
 იმ დიდის ტაძრის არის დღეობა;
 ის დღე არს დიდი დღესასწაული.
 ტაძარი არის განბრწყინებული;
 ისმის გალობა, კედრება ღვთისა,
 საკმელის კმევა, საღმრთო ხმა ღვდლისა.
 მაგრამ ვინ არის იგი ასული,
 მშვენიერებით მარტო მორთული;
 სდგას ღვდელთ-მთავრის წინ სამოსლით თეთრით,
 მხრებს გარდაშლილით გიშრის ფრის თმებით.
 გულზედ უწევია მას ნორჩნი მკლავნი;
 მიმართულნი აქვს მალლა ცათ თვალნი;

ობოლი ცრემლი წამწამზედ ბრწყინავს,
 თვის გარეშემო გეზა ჩას ხედავს.
 ქვეყნად აღარ არს იმისი სული,
 მთლად არსით ცაში არს დაგარგული.
 ის აღარ არის უკა ქვეყნისა,
 მაგდალინაა გვიდორობისა.
 მის გარე დგანან წმინდა დედანი,
 ხელთ მათ უზურით წმინდა ღამხარნი.
 მას მღვდელთ-მთავარი ჰკვეცს ტიშრის თმასს,
 ლოცვით და ცრემლით აბარებს მასს.
 ვინც მსოფლოდ ერთი გულთ-წულულთა ჰკურნავს,
 ვინც ცოდვილთათვის მამებრივ ირუნავს.
 რაც გაიტანჯა ამ სოფელად, კმარა,
 მისა არს ნუგეში, — შავი მარჯარა,
 მწუკდადს სამარეს თან ჩასატანი;
 იმითი მოკრეს მის ნოჩნი ტანი.
 დასრულდა სრულად, დაბრუნდა ერი,
 დაისშო მძიმე მონასტრის კარი.
 ასული სოფელს აღარ ეკუთვნის.
 იმ უდაბურში დასმული არის.
 თვისს სინიდისთან და ძალდა დიკრთთან
 კაცთა გულისა მხილველთა ურთთან.
 მოწყალე ჰკურნავს მის გულის წულულსა,
 იგი უცხოვლებს დაურდობილს სულსა.
 მაგრამ მას ჩშირად კვლავ აგონდება,
 წარსული ჩშირად მას ელანდება:
 მას ეზმანება სამშობლო ეელი,
 მის მწვანე მღელა, მის მწიკ ცხოველი;

ის ცისე-გომეხნი, ის კრტელი არე,
 მათყედ მნათობნი, კარსკულაჲნი, მთვარე.
 ის ღამე ბნელი, ხმა იგუსთ ცხენისა
 და საშინელი წყევლას მამისა,
 მას ეზმანება იგი მსკდარი,
 გულისთ მას ნელად სწკეთს სისხლის ცვარი,
 ტაძრის სალა-გლდის ქვას დაემხოზა
 და ღვთის წინ ცხარის ცრემლით იღვრება
 და იგი ცრემლი, ცრემლი ჩათელი
 ცათ იძარტება, ვით საკმეველი.

VI

მაგრამ სად არის ჭახუგი გძირი?
 იმ დღით თვის სასლის სტუმარი ძვირი!
 მას ძვირად ხედავს ამისი არე,
 ის არის სადაც არს ბრძოლა მწარე.
 სად მამულისთვის გძირნი იბრძვიან,
 სადაც სჯულისთვის იხრცებიან.
 რომელს მხარესაც არს გაჭირება,
 იუ თავის რაჟმით დაიბადება.
 ვიწწვა მტერისა, — სადღა არს მტერი,
 მტრის ჩაცვლად არის კომლი და მტკერი.
 მაგრამ ხან-და-ხან მსწრაფელ ჩაფიქრდება,
 რაღაც წარსული მოაგონდება.
 მას აღარ ახსოვს, რომ არის ბრძოლა,
 არ ესმის, არის ფიცხელი სროლა

უუჩს კელარ უხმობს მხედართა გრიადს ;
 ის კელარ ჭხედადეს მათ ხმაღთა კრიადს.
 მის მხარეს ტყვია, ჭით სეტყვა მიდის,
 მაგრამ არ დასდევს, ფიქრით სხვაგან რბის.
 მის გული ცხელმა ტყვიამ განჭემიდა,
 სამშობლო მამულს თავი შესწიდა.

3. ო.

მეორემა ანუ გონსნელები.

დრამა ხუთ მოქმედებად

მატიო ბანა-სი.

(თარგმანი).

მოქმედი ზირნი:

ალი-ფაშა, ქალაქ ვისოვასი.

მეირიმა, ამისი ქალი-შვილი.

შერიძა, მეირიმას მოხსლე.

ჩამილ

ფეიზ

რუსთან

ღურათ

ქალაქ ვისოვას ბეგები

ასან-ალა.

მსმან-ბეგ, მეირიმას საქმრო.

ნოვკო, მოხუცი ბოსნელი.

შივან, ნოვკოს შვილი.

ვლახუშა, ნოვკოს შვილი.

ლუბიცა, ყივანის საცოლო.

პეტკო, ანამბაშა, ჭაიდუგების წინამძღოლი.

რადატ

სტანიშა

იმქშა

წვიან

მილუტინ

უპირველესი ჭაიდუგები.

პუკ.

ალი-ფაშას მსახური.

ვეზირის კავასი.

საპრობილის მცველი.

შეიარაღებული ოსმალები.

ჭაიდუგების ჯარი.

მაყრები თავის მოსამსახურებით.

მოქმედება ჰირველი.

(დიდი ზალა ალი-ფაშის სასახლეში. კედლების გარშემო ოსმა-
ლოს საპატრივო პირნი ფეხ-მოკეცილნი სხედან და ნარგილეს სწევენ.
ამათში სხედან: ალი-ფაშა, ჩამილ, ფეიზ, რუსთან, დურათ, ოსმან-
ბეგი და ასან-ალა.)

1-ლი სანახაში.

ალი-ფაშა. აი ჩემი მოისმინეთ ახალი თქმისი ახა თვით-
კეულმა ცალკე ბძანეთ, რასა ჭფიქრობთ ამ თქმისსედა.
ფეიზ. აქ რა ბეგნი ლარი და ხაზი უნდა. ისიც კმარა, ღმერ-
თმანი, რომ ძაგას ყური ვაფხვეთ, აილე და ეგ ფარა-
ტინაც იქ მიაგდე, საცა სხვა სტამბოლის თქმისები
გიურია. დეე, ეგეც იმათთან მტკეჭმა და ჩრჩილმა შეჭ-
ჭამოს.

რუსთან. აი, ღმერთმა დასწეველოს ტრავნიცის კეზირი! ცეც-
ხლსედა ჩაკოს ასხამს, მაგრამ ცეცხლი ჩვენს ხელშია და
მგონი თვითონც შიგ ამოიბუგოს. ამ სუფთანის თქმ-
ისებმა თავი მოგვაბეჭდა, მეტადვე კეზირისამ. ყოველი
ახალი თქმისი უწინდელსედა უარესია. თვითეული მათ-
განი ცდილობს ცვლილებას რამ მოახდინოს და იმ საძა-
გელს რაიას ტვირთი რაშიმე შეუმსუბუქოს. სხვის არა-
ვის ჯავრი არა აქვთ. თვითონ ხორცს მიაძლებიან და

ჩვენ კი მარტო ძელებს გადმოგვიყურინს. მაჭმადის რჯულსა ვჭევიცავ, რომ არაგის ძელების გამოხვრას შეჩვეულია: არა ვარ და ნამეტნავად ოსმალების ძელებისას. შორს ჩემგან. მე ჩემი ვჭსთჭევი, ესლას თქვენ იცით!

დურათ. რასაკვირველია, რომ ჩვენ იმათ ძალებსავეთ არ მივკესვიით და არას წავართმევთ. ბოსნიას, მართალია, სულთანს ეკუთვნის, მაგრამ ჩვენი კუთვნილებაც არის, და ჩვენი უფროა ვიდრე სულთანისა. ის მიფლობელობს მხოლოდ სახელით, და ჩვენ კი ნამდვილად კოფლობელობთ. იმისი ნაბოძები ჩვენ არა გვაქვს-რა. რაც გვიჭირავს, მამა-პაპითვე გვიჭირავს. როცა ჩვენი მამა-პაპანი იყვნენ, მამინ ოსმალს სულმწიფის ხსენებაც არ იყო ქვეყნიერებაზედ; და ესლას როცა მოუწადინებიათ ვეკლავთერი, წავკართვან და ეგრე სამარცხვინოდ გვხდიან, ჩვენ ვეკლანი დავიხრცებით და მაგ დღემდის კი არ მივაყვანილებთ საქმესა.

ჩამილ. მართალსა ბძანებ დურათ! მხოლოდ ნუ ავჩქარდებით. ჯერ ენახათ, ბოსნიის სხვა ბეგები რას გვიჩვენებენ. ხმლის ამოღება ქარქაშიდამ ყოველთვის ადვილია. მაგრამ ჩავება კი ზოგჯერ ისე ადვილი არ არის. ვინც ჭკვიანურად ლოდინობს, რასაც ელის, მოუვა.

რუსთან. ოსმან-ბეგ, შენ როგორა გონია, თავ-მომწონე კრანის დაემოწილება ხონთქარის ფირმანს თუ არა?

ოსმან. არ ვიცი; ჩემად კი ვიტყვი, რომ— დაემოწილება. კრანის ხომ ბევრჯერ წაჭხხუბებია ოსმალებს ბოსნიის გულისათვის, და ბოსნიას კი დღინჯ-შემოყრილი იდგა და არხენად შეჭყურებდა იმ ჩხუბსა. კრანის ესლას გონებაზედ მოვიდა.

მსან. მაგების გახსენება უხლა რა საჭიროა, მშობილო?! უხლა რა მაგის დროა! თუ ჩვენ ყველასში ერთმანეთს მსა-
 რი არ მივეცით, ერთსეუდ არ დავდექით, მგონია ასეთი
 დღე დაგვადგეს, რომ არას დროს არ დაგვდგომოდეს.
 ფხინანი კილო ფირმანისა გვიმტვიცებს, რომ სულთანნი
 ესლა აღარა ჰხუმრობს.

რუსთან. ბებუქს ვეზირს მოსტარისას მანც ხომ შეიძლება
 მივენდოთ?

ჩამილ. მე უფრო ციდანის იმედი მაქვს. შენ განა არ იცი,
 რომ ყოველი ვეზირი მოსტარისა ცბიერია? ის მუდამ
 ყველასიც არის და არც არავისია. იმას ვერც თავით და-
 იჭერ და ვერც კუდით; ხელიდამ ყველას თვეზირით გა-
 უსხლტება. არა, იმის შეკლას გუნებაშიაც ნუ გავიტა-
 რებთ.

ალი-თაშა. როგორც გატყობთ ღაშაჩაკსეუდ, თქვენ უთან-
 ხმოებისა გეშინიანთ. ძალიან კარგია, რომ ეგ შე-
 ნიშნეთ. მამ ჩვენ შორის შური და მტრობა ყოფილას;
 ამას გაკუნაწილებივართ. ჩვენ ეგ შური და მტრობა ღო-
 ნესა გვბდის მამინ, რომდესაც წინ გვიდგას რაი მძლავ-
 რი მტერი, ერთი რაია, რომელსაც ჩვენის ჯავრის ხმოყ-
 რა სურს და მეორე სულთანის ჯარი. აბა მორიგიქრეთ
 და მიშასურეთ: ჭკუა იქნება ჩვენგან, რომ ამათ წინ
 აკუდგეთ?

ღურათ. რაიებსეუდ რად ღაშაჩაკობ? თქვენ ყველგან მტერი
 გელანდებთ. საკუთარის არდილისაც კი გეფიქრებთ. და-
 ბალი ხალხი საკმაოდ არის შეშინებული და უხლა რჩო-
 ღას ველარ გაბედავს. ვსთქვათ, რომ გაჭბედა კიდურა,
 ჩვენ იმათი დამარცხება არ გაგვიჭირდება. თვით ხელ-

მწიფის ნიჰემისაჲ ძნელი არ არის; ნიჰემსა და წაიკბ
 შუა ბეჭნი არაიუერი განსხვავებას. რომელიც გინდათ ჯა-
 რის-კაცი გასინჯეთ ბოსნიაში, — ერთიც არ დაედარება
 ირნასს: ისე უძღუნენი და უღონონი არიან, რომ მგო-
 ნისა პირველ თოფის გასროლასედევე პირ-ვევე წაწვნენ
 მე გაბედვით კიტუვი, რომ ერთი ოსმალო კარგად გა-
 უძღვება სამს გაცხა. ოღონდ ერთი პირი შევერათ და
 მსარი მსარს მივცეთ და მაშინ იმისთანა მეომრები ჩვენ
 ვერ შეგვასწინებენ.

ქლი-თაშა. უმაწვილო-კაცო, ძაღიანს ვაყ-კაცურად ლაშარაკობ,
 ძაღიანს ვაყ-კაცურად, მაგრამ უსაფუძვლოდ კი. ბელგრად-
 შიაც აგრე ლაშარაკობდენ, მაგრამ ჩვენ სომ კნახეთ რომ
 ბელგრადის კედლებზედ იმათი თავები ეკიდა და წაიძაც
 თავისუფლება მიიღო. სწორედ ასე ჭვიჭრობდა ნიჰემ-
 ზედ ზმაი-ბოსნელიცა კეპში, რომლის წინაშე სტამბოლი
 ძრწოდა და თვით სულთანის კანსკვლავსაც შუქი მოაკლ-
 და. მაგრამ, ბოლოს კი კნახე რომ შალომის მინდორ-
 ზედ, სავის გაღმა, დამარცხსა იმავე ნიჰემმა. მერე სომ
 სტამბოლში მოკვდა კიდეც. ჩვენ სომ ისინი აღარა ვართ,
 რაც ვყოფილვართ უწინ. უწინდელი თავ-მოწონება კი
 შეგვრჩა, მაგრამ უწინდელი ერთ-სულობა და ვაყ-კაცო-
 ბა აღარ დაგვრჩენია.

ჩამილ. ჭკმძარტიო! ბეგრჯელ შეგხედრივართ სამძრად სულ-
 თანის ჯანსა, მაგრამ იშვიათად მომხდარა, ნამძარი ად-
 გილი ჩვენ შეგვრჩენოდეს და თავის დღეში არ დაგვი-
 მარცხებია. რაც უფრო ძლიერ ვებძვით სულთანსა, იმ-
 დენად უფრო გვაკლდება ძალა და ღონე. და რომელსაც
 ეს ჩვენი ძალა და ღონე სრულვებით გაგვიჭრება, მაშინ

რათა ცოფიანსავით მოგვესეკა და ჩვენს სახელს სრულებით გააქრობს ბოსნიასში.

პრო-ფაშა. აჰა, ჩამიღ, ესლას ხომ შენც მეთანხმები მე; შენ ძალთან მოხსა ჭხტადამ შენას გამჭრიახის ჭკუით! ჩვენი ძალა და ღონე თან-და-თან ჭჭრება და კლავულობს, რაიების ძალა და ღონე კი იმ შავ-გიორგის დროს აქეთ თან-და-თან მატულობს და მრავლდება. იმას სასულად შავს ეძახიან, მაგრამ მისი სასურებელი სასულად უფრო შავია! რაიები ესლას სულ სხვები არიან: გაბედვით ლაშაკობენ და უფრო გაბედვით ჭფიქრობენ; რაღაც ქარი გაუწყვეტლად უბერავს იმით იმ დაწყევლილ შუმიდიილად, ღ უბერავს იმდენს ხანს, მანამდის თავებს სრულად არ გაუბერავს. აი, ესლას, აბა ერთი სერბიის დროსა გამოიტანონ, ან ერთი ზარბაზნის ქუხილი გაიგონონ; მე ჩემს თავს სანამდღათა ვზღებ, რომ ყველა ქრისტიანი ბოსნიასში ფეხსუდ წამოდგება, როგორც ერთად-ერთი კაცი ვინ შეაყენებს! ან, უფრო უაჟესი — კილა გადუდგება წინ? უოკულებნილამ მათი მოძმენი ქრისტიანები მოეშველებიან. ჩვენ კი აბა ვინ? შველას საიდგან უნდა მოკვლადეთ? ჩვენ მარტოღ - მარტონი ვართ, როგორც კლდე ზღვის პირას.

ფეიზ. განა ზღვა კი არ დაიბნევა ხოლმე, როცა კლდეს ეცემა. პრო-ფაშა. არა... ზღვა, ნელ-ნელა ძირს უთხრის ხოლმე კლდესა და ბოლოს ისე გამოაცლის, რომ სრულებით ჩამოაჭტევს. ჩვენა ვართ, ჩვენა ის ძირ - გამოთხრილი კლდე!

ფეიზ. ეჰ, ალი-ფაშა! შენ სულ კვ გელანდება ხოლმე და ამიტომაც ყველაიერი ირევა შენს თავში. რაიები რაღაც

ვეშაშათ მიგახნია. ვინც რაიებს არ იცნობს და შენ და-
გიგდებს ყურს, ეგონება, რომ რაიები მართლაც ისე
ადვილად გადაგველანენ ჩვენ, როგორც ცხენი ერთ მუ-
ჭა თივასა. ეჭვ, თავი დანებე, თუ ღმერთი გწამს, მა-
გისტანა ღაპანაკას. ჯერ სომ არ წაუხსნებებულვართ რა-
იებს. მასსადამე მიზეზი არა აქვთ, ჩვენზედ ხელი გა-
მთლიან; ჩვენ მარტო ის გვინდა, რომ სულთანმა ანგა-
რიშები გაგვისწოროს, სსკა არაფერი.

პლი-ფაშა. რასაკვირველია, რომ სიზმარიც ატყუებს კაცსა, მაგ-
რამ ხან-და-ხან სიზმარიც კი ახლება ხოლმე. ესლანდელი
ჩემი სიზმრები რაიზედ ისე უსაფუძვლანი არ არიან, ბე-
გო, როგორც შენა გგონია. მე თუ ვშიშობ, იმიტომა
ვშიშობ, რომ ამ შიშის მიზეზს კარგადა ვხედავ, და
შენ კი ვერა ვხედავ.

ფეიზ. თუ ვხედავ, ბარემ გვითხარი კიდეცა.

პლი-ფაშა. ამისე მეტს აღარას გეტყვით, რაც იქნება, თქვენ
ეველანი თვითონა ნახამთ ამ მოკლე ხანში. ესლა კი, მე
თქვენ ეველას გირჩევთ, მიზეზს ნუჩას მიჭსტემთ აჯან-
ყებისას, იმიტომ რომ, ამისთანა დროს აჯანყება, ისეთი
მოჩვევია, რომელიც სულ მთლად თან ჩაგვიტანს და და-
გვასხნობს.

რუსთან. მამ ახლა ჩვენ დამშვიდებით უნდა ვუცქიროთ, სულ-
თანით თან-და-თან როგორა გვხდის ტანისამოსს, მანამ-
დის სულ ტიტკლებს არ დაგვტოვებს, როგორც მუშუ
მწიფარ ბავშვებსა? აბა, ვინ არ არის მიხვედრილი რომ
იმისი განძრავსა ეგ არის? აბა, ახლა შენა გვითხამ, აღი-
ფაშა, სსკა რა დაგვჩენია რომ თოფ-იარაღი არ ავი-
ღოთ და ჩვენი თავი არ დავიფაროთ? თუ აჯანყება და

ჩხუბი საშიშია ჩვენის სიტუაციისათვის, განა ამისთანა მშვიდობიანობა კი საშიში არ არის ჩვენის ქონებისა და უფლებისათვის. კარგი არც ერთია და არც მეორე, ერთი მეორეზედ უარესია. როცა კაცს ქონებას და უფლებას ანთმევენ, განა სიტუაციისაზედ ჭიფიჭობს-და ვინმე.

რამდენიმე ხმა. მართალია, ბეგო, მართალი!

პლი-თაშა. შენა მკითხამ, რა უნდა კქნათო, თუ იარაღი ხელში არ ავიღოთო? ერთი რაღაც დარჩა სათქმელად, და აი, ესლავე გეტყვი! შენ ამბობ, სულთანს ჩვენის ფრთების მოკვეცას რადა სცდილობსო? რა თქმა უნდა, მობეზრებულა ჩვენის უჩინობისაგან. ჩვენ ყველა ფირმანების წინააღმდეგ რაიებს ისევ ძველებურს წესზედ ვიქცევით და რაიები კი მოუთმენელად შეფოთვენ, მეტსა თხლად უღობენ, და ღმერთსა ვფიცავ, რომ თხლანით გაიტანენ კიდევ, ან არა და ძალით წაგვართმევენ. ტოიი რომ სულ მუდამ ჭებრო, ძმობილო, ერთხელ მანინც გაგისქდება, თუ გინდ ეშმაკის ტყავისა იუოს. ბოსნიაც სწორედ ისე ჩამოეცლება სულთანსა, როგორც სერბია...

ჩამილ. სულთანს თუ ჩამოეცლება, ჩვენ სომ დაგვრჩება.

მსმან. რასაკვირველია, რომ აგრე იქნება.

პლი-თაშა. ბატონებო, სიტუვას ნუ გამაშვებინებთ. ამაში არის ყოველის ჩვენის უბედურების მიზეზი, და აქვე შეგვიძლიან მოკვსოთ ეს მიზეზი. სჯობიან რომ, ჩვენთავადვე შევუმსუბუქოთ საქმე რაიებს, მცირედი რამე დაკეთოთ და გული მოვიგოთ იმათ ეკლესიებს და ქალებს ნულარ შევესებით; სადაც რაია მართალია, სამართალი მივსცეთ; ვინაც არა აქვს-რა, ის მცირედიითაც გამა-

ყოფილი იქნება, და ღიადაც, რასაკვირველია, გუფს შეი-
ჯერებს. მაშინ, სულთანსაც აჯანყების შიში აღარ ექნე-
ბა და ჩვენც ხელს აღარ გვახლებს. აი, ბატონებო, ჩვე-
ნი საშველი. მარტო ეს არის; იარაღით ხელში კი ჩვენ
არამც თუ ვერასოდეს ვერ გაკიტანთ, არამედ მოძეტე-
ბულს უბედურებაში ჩავცვივით.

შეიწ. ნეტავი აგრე იყოს და მაგით გვეშველოს რამე და კბ
ბევრი არაფერია. მაგრამ ვაი თუ მაგით ვერა გავს-
დეთ-რას!

რუსთან. ასეა ნიწამიყედ ზღადას იტყვი, და იმ სასაცილო ტა-
ნისამოსზედ, რომელიც უნდა ჩაგაკაცვან? ჩემს მოესა ვიფი-
ცაჲ, მე უფრო მაღე ჯვარს დავივიდებ გულზედა, ვიდრე
იმ ტანისამოსის ჩაცმასზედ ვახუფს გაგნდები.

ალი-ფაშა. ნიწამი სომ ბეგებისაგან არ შესდგება? ჩვენ შუა
ბევრია ზანძარი, ღარიბ-ღატაკი და ტიტყვედა, რომელიც
მხოლოდ იმითი ცხოვრობენ, რასაც ხელში მიახეჩებენ.
აი, ისინი ადგენენ ცხვირში ძმარს ქრისტისანებსა, და სათკა-
ლაჲში ჩვენ ჩავთვლიან ხოლმე. აა, ისინი გაგვწაინათ
სტამბოლში, ნიწამის შესაგებდად. მგონია, რომ ეს
უკეთესი ღონისძიებაა, რომ ბოსნიის გაიწმინდოს და ამის-
თანა ყარა-ყურა სალხი მოგვმოძროთ. მხოლოდ ამისათვის
და სხვა არაფერისათვის, — მადლობას ვეტყვოდი სულ-
თანსა.

ჩამილმ დიას, ძაღიან ჭკვიანურადა ბრძანებ; სრულებით შენი
თანხმა ვარ. თქვენ, ბატონებო, რას იტყვიან? (ბეგები წა-
მოადგიბიან და ჯგუფ-ჯგუფად გროვდებიან და ჩურჩულობენ.
ოსმან-ბეგი ალი-ფაშას მიუახლოვდება და დაბალის ხმით ეტ-
ყვის.)

მსმან-ბეგ. მე სრული თანახმა ვარ შენი, ალი-ფაშა, და ჩემ-
თან ერთად მთელი გრანისა შენი თანახმა იქნება; და ამის
სამაგიეროდ მე შენ ისევ იმასა გთხოვ ჯილდოდ, რაც
გუშინა გთხოვე.

ალი-ფაშა. დღეს მოკვლამაჩვენებ ჩემს ქალს. მეც დიდს გუ-
ლით მიწინა, რომ შენ ჩემი სიმე იყო.

მსმან. მე გისთავოს ისე არ დავანებებ თავსა, მანამდის შეს-
ვას-უხს არ გაგიგებ.

დურათ. ალი-ფაშა! ჩვენ სხვა ბეგების გარდაწუგუტალებას მო-
გუგდით; ვნახოთ, ისინი რას იტყვიან? რაზედაც სხვანი
დადგებიან, ჩვენც იმაზედ დავდგებით, იმიტომ რომ
ჩვენ სხვაზედ არც უფრო ჭკვიანები ვართ და არც უფრო
სულელები. (ყველანი დაიშლებიან, გზიან შუა კარებსა ალი-
ფაშა ყველას თვალს ფაადგენებს, მერე იჯყვის).

ალი-ფაშა. აბა, მოდი და ვინი სადავით ატარე, ძანც იქით
წავა, საითაც დახვეულია. (გადის მარჯვენა კარებსა).

2-რე სანახაში.

ნოვკო. (მარტო. შემოდის მარცხენა კარებიდან, ბიჭი შემოჭყვება;
მერე ისევ გავა). აჰა, ესეც მოკედი. უკან აღარ წავალ.
თუნდ რომ მიწინადეს ვიდეც, ველარ წავალ; ფაშას ვეკ-
ლაფერი უნდა ვუთხრა, მეტი გზა არ არის. ეს სახუმა-
რი საქმე არ არის. მომეცადნა ორიოდ დღე ვიდეც; რა
გამოვას ვინ იცის? იქნება მიწინადე უმთავრეს თავისი ქნას
და ჩემსა შვილსა ფაშას ქალი. მოჭსტაცოს და გააქციოს
სამწიღვარ-გარედ, მე ვი აქ თათრებში, როგორც მგლებ-

ში, მარტო დამადგოს. არა, ყოვან, ღმერთსა ვუვიცავ, მაგას არ გაქნკვინებ. აბა ტყუილად არ დავნიშნე ურმის ქალზედ. ქალი თეთრ-წითურია, ლამაზი, ტკბილი, ჩემი შვილი კი, — ეშმაკმა იცის იმისი თავი — ზედაც არ უყურებს. ამ ოსმალას ქალმა გონება გამოაცალა. ამას მე უურსაც არ ვათხოვებდი, მაგრამ გუშინდელს აქეთ, როგორც ვატყობ, რაღაცა ცუდი საქმე მზადდება. მე თვალში მოკვარ, რომ ჩემმა შვილმა რაღაცა მიჭმალა; შევატყე, რომ ფარულად რაღაცას აზიარებს. კიფიქრე, ვაი თუ მინამ ჯვარს დაიწერდეს, ქალი მორიტაცოს კიდევ და გაიპაროს. აბა ვინ გამოქრობს ამ ეჭვსა. ეჭვი ქვასავით ჩამჯდომია. ყველაფერს გაუმეფლავნებ ფაშას, საქმეს შევატყობინებ სახელს კი დავუმალავ. დეე, სიფთხილე იქონიოს, ქალს კარგად გაუფთხილდეს და რაც შეიძლება მალე გაათხოვოს. ჩემი შვილი ცოლს შეირთავს, რადგანაც ის ქალი გათხოვილი იქნება. ყველანი თავ-თავიანთ გზაზედ წავლენ და მეც სიფთხს გადავჩეხები.

3-მე სანახაში.

აღი-ფაშა და ნოკო.

ნოკო. დღე-გრძელობა, პატრივ-ცემულო აღი-ფაშა!

აღი-ფაშა. თქვენგან, ქრისტიანებისაგან ღმერთმანი დიდს ჭირში ვართ; რა რიგად გათამამდით და აძაყობთ! მითხარი, ნოკო, რაიები მთებში რისთვის გავიდენ?

ნოკო. სხვა ოსმალებიც რომ შენისთანები იყვნენ, ჩემს

სულს გეფიცები, მთელს ბოსნიასში ერთი ჭაიდუკიც აღარ იქნებოდა, ესლა კი... მომიტყევე... მე შენთან თავისუფალს დაზარაკს ვარ ჩვეული.

ალი-თაშა. სთქვი, რასაც ჭეფიქობ; ჩემის მიზეზით ნეკიც არ გატყინება.

ნოვკო. ამოდენა ტანჯვას და წვალებას გელარ უძლებენ. მართალიც არის: სიტყვა აღარ თქმულა, რომ საწყენი არ იქნას. ყველას თავისი საკუთარი მიზეზი აქვს, რომ ჯავრი იყაროს, თოფსა და ხანჯალს ხელს ჭეიდებს და გაბორბტებული მთებში მიდის.

ალი-თაშა. მიდის და იქ, ვინც კი მოხვდებათ, ტყვეთ რტყენ, სოტყენ, გინდ ქრისტიანი იეოს, გინდ მაჭმადანი. აბა, ნოვკო, რამდენი ხანია ჩვენ ვეწვალებით ამ ჭაიდუკების გამო; აი ესლა თქვენ უნდა ეწვალოთ.

ნოვკო. არა, თაშა! მართლად თუ გინდა, ჩვენ სხვასედ უარესი მოგვდის. ერთის მხრით — ოსმალებს გკოტაჯვენ, მეორეს მხრით ჭაიდუკები. ჩვენ ორ-ტყუცხელს-შუა ვართ. ერთს რომ თუნდ თაკვი დააღწიო, მეორეს ვერ წაუხვალ. ჩვენი იმედი მარტო შენა ხარ, ყველანი შენ შემოტყევიან. თუ შენ არ შეგვეწვი, სხვა ვერავინ შეგვეწვა.

ალი-თაშა. მეც მაგასა ვცდილობ და იმედი მაქვს ყველაფერი უკვე შეიცვალოს ძალე. მე მითხრეს, შენ თურმე ჩემთან რადაცა საქმე გაქვს. (ჯდება).

ნოვკო. დიხ, მე შენთან ვიხველი. შენ ჩემთვის ბევრჯელ გიშეკლია და მადლობა ღმერთს, მეც შემთხვევა მომეცა მაგიერი გადავიხადო და იქნება სირცხვილს გადაჯარ-ჩინო.

ალი-თაშა. რაო? სირცხვილსა! მე! რას სუჯულობ!

ნოვკო. ჯერ უფრო დამიგდე, იქნება არა ვსუჯულობდე. ჯერ
გი თვითი მომეცი, რომ ვის სსხესაც დაგიძალავ, ძალას
არ დამატან, მათქმევიწონ.

ალი-თაშა. ღვთის გულისათვის, ჭსტქვი. თვითი რა საჭირება
ხომ იცი, ვისაც ელანარაკები.

ნოვკო. არა, თუ თვითს არ მომცემ, ენა რომ მომგლიჯო, ენა
ერთს სიტყვასაც ვერ მათქმევიწონებ.

ალი-თაშა. (მოჭმუნვნილი) გაიურა! კარგი, ესლა ნურას შიში
ნუ გაჭკს. ჩემი სიტყვა ქვანედ მაგარია... სტქვი ძალე.

ნოვკო. შენ, ფაშავ, ხსალ-განდა, ღამაში, მამის-ერთა ქალი
გყავს.

ალი-თაშა. რა! ჩემს ქალზედა გაჭკს სათქმელი?

ნოვკო. დიხ, შენს ქალზედა.

ალი-თაშა. აბა, რას მტყუვი ჩემს ქალზედა. ჩემი ქალი სირცხვი-
ლისათვის არ არის გაჩენილი, ჩემს თვალებს მიჩხევიან.
თუ ტყუილად ბრალს რასმეს დაჭსადებ, ის გეჩხივნა რომ
შსამიან გველს ეკბინე.

ნოვკო. იმას არ ვიტყვი, რაც ზედ-მიწევნით არ ვიცი. და
თუ ვიტყუო, ფაშავ, აგერ შენი ხმალი და ეს ჩემი თავი.
მაშ იტყდე, შენს ქალს უყვარს ერთი. ყმაწვილი-კაცი და
იმ ყმაწვილ-კაცსაც გაგიყებით უყვარს შენი ქალი.

ალი-თაშა. (მაღავს უმაყოფილებას) ჯერ მაგაში ცუდი არა
არის-რა: ხსალ - განდა გული სიყვარულით არის სავსე.
ნუ თუ ეს არ იცი? ყმაწვილი - კაცი და ყმაწვილი - ქალი
ვერ იტყვხლებენ უსიყვარულად, როგორც დღის სი-
ნათლე უმსეოდ.

ნოვკო. ახლა ისინი რომ ერთმანერთსა ჭსკადამდენ ხლამე
სადმე... ღამე... დამაღვით? აქედამ კეთილი ხომ არა გა-

მოკა-რა. სხალ-გაზდებს გული სუსტი აქვთ, თოფის წა-
მალსავით უფეთქთ სოლმე და გონება კი ჭკრედ არა
აქვსთ რიგიანად შეძთავრებულაი, — ჭკრ იქმონენ რასმეს და
მერე ნანობენ. ეს სომ მე და შენც გამოგვიცდია, თა-
შავ!

ალი-თაშა. (გაფარებული) შენ თვითონ სომ არ მოიგონე ეს
სამარცხვინო ტყუილი? მაშ კინ გითხრა? მითხარი! მე
ამ ტყუილს უკანვე დაკუბრუნებ იმას, მერე ისე რომ
ძვალავით ყელში გაეხხიროს.

ნოეკო. მე იმის სასელს ვერ გატყუვი; მე და შენ ავი პირ-
ბა დავსდეთ; და რომ ჩემი თქმული მართალია, ამისა-
თვის თავს დავდებ. ეს კიდე დიდი ჭირი არ იქნებოდა,
რომ ბოლო მანც მოსაკვარებელი იყოს როგორმე.

ალი-თაშა. მაგითი მითამ რის თქმა გინდა?

ნოეკო. იმისი, რომ თუნდ ძალიანაც მოინდომო, ვერას გზით
ვერ მიათხოვებ შენს ქალს იმ უმწვილ-კაცს.

ალი-თაშა. ვერა? რატომ მერე? შენ მე გულს მიხეთქამ.

ნოეკო. მეშინიან, ვაი თუ რომ გითხრა, ძალიან შეჭსწუხდე.

ალი-თაშა. უმაგისოთაც გულს ციცხლი მომიკიდე. ესლავე
მითხარი. ეგელაფერი.

ნოეკო. ალი-თაშა, იმათ შუა ჯვარია.

ალი-თაშა. ჯვარი!! ჯვარი სთქვი? (სიჩქარით წამოხტება) ოჭ,
დმერთო! ჯვარის მაგივრად იქ ჩემი ხმალი ჩადგება!

ნოეკო. დამშვიდდი, უხმლოდაც შეკიდლიან გააშორე ისინო.
შენი ქალი გაათხოვე, მალე გაათხოვე; და მანამდის კი
ეური ვარკად უგდე, იმიტომ რომ ბოსნიასში წყევლი
ალი იცის, რომელიც არაგის სასლს არ დახოგავს.

ალი-თაშა. (საშინლად აღელვებული) ჭოი გიაურნო! დედა-მიწა

გასკდეს და თან ჩავიტანოთ! თქვენ მე ალით მისინებთ? ჩემის სიკეთისათვის მადლს მაგითი მიხდით, განა? აბა, ნოკო, მითხარი იმ ყმაწვილი - კაცი სხელი, თუ არა და ქვეყანას გამოეხადე.

ნოკო. თუ ალი-ფაშა თავის ფიცს გასტეხს, მეც მისადა ვარ.

პლი-ფაშა. აი წყუღიმიც იყოს ის ჩემი ფიცი, რომ მე ესლა გულის სელი დამაკრეფინა. წადი, თავი დამანებე, მე ხომ ვეკლას შევიტყე, რაც კი შენგან შესატყობი იყო. (ნოკო კარებთან მიდის) ეს კი იცოდე, თუ რაცა სთქვი, მარტალი არ გამოდგა, წმინდა ჭეშმარიტება არ არის, და თუ რომ ეგ ამბავი მარტო სიზმარში მოგეუბნადა, იცოდე შეთქი, რომ მე კაცი არ ვიქნები, თუ შენ როდისმე სიზმარს-და ნახავ.

ნოკო. ფაშავ, ვეკლას კარგად გამოიკითხე და მე ხელიდამ არ წაგივალ. (გადის).

4-ზე სანახაში

პლი-ფაშა. (მარტო) დიას, მეირიმა კარგა ხანია რაც დადონებული დადის. იმის თვალებს, იმის ღიმილს—მწუნარების ფერი ადევს. ღაშაჩაკსა წარბებს, ბაღში აღარ დასეირნობს; აღარც ვაკვილებზედ მიუწევს გული, აღარც ჩაცმა - დახურვასზედ. ფუ ეშმაკს! ვეკლასფერი თითქოდა მარტლას ისე იყოს, როგორც ნოკო ამბობს. (გადის).

5-თე სანახაში

(ოთახი ხალეებით დაფენილი, სავე რბილის ხალოშებით და მუთაქებით. ერთს მხარეს კედელთან დგას წალო, სადაც ოსმალები ქვესაგებს ინახვენ.)

მეირიმა და შერიტა (მეირიმა დივანზე ზის, მკლავზე დაყრდობილი. შერიტა ხალიჩაზე მოკეცილია შორი-ახლო და კარებისაკენ იყურება.)

მეირიმა. დანიშნულან! მამ წავიდა იმედი, ჩემი უგანასკნელი ჩუგეში. ესლა აღარა მუაკს ყივანი, თითქო თავის დღეშიაც არა მყოლია. ოხ, შერიტა, შენ რას ჭიჭიქობ? მითხარი, ხომ უსვინიდისოდ მომატყუა.

შერიტა. შენ წინადვე უნდა გცოდნოდა, რომ უბედურება გეწეოდა, რადგანაც იმან ისლამის მიღება არ მოინდომა.

მეირიმა. ჩვენ ხომ ერთმანერთს აღთქმა მივეცით, მტკიცე აღთქმა, რომ მე თავის დღეში არ გავთხოვდებოდი და ის თავის დღეში ცოლს არ შეირთავდა, რადგანაც ჩვენ ჩვენი კანონი გვიშლიდა. და იმან კი, იმან, მუხანათმა, მილალატა!

შერიტა. შენ იმას კარგად იცნობ: რასაც მამა კტევის, არ შეუძლიან, არ დაემორჩილოს. ვინც განდა იუოს, ყველას ყოჩაღად წინ გადუდგება, მაგრამ მამასთან ისეა, როგორც უსუსური ბავშვი. იმის მამას ძალიან უშინოდა თქვენი და ძალ-დატანებოთ ლუბიცაზედ დანიშნა.

მეირიმა. ოხ, შენ ყოველთვის ამართლებდი და ესლაც ამართლებ, რომ ჩემი მწუსარება ცოტათი მანც როგორმე გამიქარვო. ვნახოთ, რა იქნება. აი თუძცა ვთხოვე, შე-

გებუწე, ბაღში არ მთავიდა, რომ ერთხელ კიდევ მაინც დაძინახა, ერთხელ კიდევ გამეგონა იმისი სიტყვა და მე-რე, მე რე საუგუნოდ გაძმოსადმებოდით ერთმანეთსა. მოსკლ არ უნდოდა, რაღაც მიყუჩებს ამბობდა, და მე კი, მე კი, რა, საცა უნდა დამიბაროს, წავიდოდი. ჯო-ჯოხეთშია რამ ეთქვა, იქაც კი, თუნდა წინადაც მცოდ-ნოდა, რომ იქილამ კელარ დაკბენდებოდი თავის დღე-ში.

შერიოთა. იმას, როგორც მამა-კაცს, უფრო კარგად უიქრია. რომ კიდევ მოსულყო ბაღში, ახლა კიდევ მოინდომებ-დით, მე რე კიდევ, და ამას—რა თქმა უნდა—ბოლო ადარ ექნებოდა. რაღა საჭირო იყო ებეები? ტყუილ-უბ-რალოდ გულის უფრო დაიწყო უფლებით და იმის შიშით რომ ახლა შეგვიტყობენ და დავიღუპებით, უფრო მო-გემტებოდათ.

შერიომა. რა, ებ არ არის, არა! შენა სთქვი: ჩემისი გული დაგიკარგავსთქო; იმისი გული შენ ლიუბიტამ წაგართვა-თქო...» ასე სთქვი, ეს უფრო მართალი იქნება. ლიუ-ბიტა ახალ-გაზდაც არის და ლამაზიცა; დიდიდამ სალა-მოძღე სულ იმასთან არის; კალერსება, თავს ეკლებს, რა, ნეტა შენი დაეცემოდეს და თან განდითანოს. (პირს ზალიშებში დაჰმალავს ტირილით) რა, შერიო, მე ვერ გა-უგოდებ ამ საშინელს ტანჯვას გულისას!

შერიოთა. ებ ისეთი ტანჯვა არ არის, როგორც შენ გგონია. ის რომ ჩახე და იმისი გულის ჰსუსხი გაიგო, ისიც შესაწავით იტანჯება...

6-სე სანახაში.

პლი-თაშა, მეირიმა და შერიტა (შერიტა წამოდგება. მე-
ირიმა ფერ ვერა ჰხედავს მამასა და შერიტას ეუბნება.)

მეირიმა. ხუ მიდისხარ, შერიტა?

პლი-თაშა. (მიუახლოვდება) რა დაგეძმართა? ავად ხომ არა ხარ?
მეირიმა. დიას, თავი საშინლად მტკივა.

პლი-თაშა. შებღი, ხელები, მთელი ტანი ცხელი გაქვს. შე-
რიტა, ექიმისათვის გაგზავნე.

მეირიმა. (სიჩქარით) არა, საჭირო არ არის, გაივლის. მად-
ლობელი ვარ, მამა.

პლი-თაშა. კარგი, მაგრამ, სწუხლებს თავი არ უხდა მინე-
ბოს კაცმა.

მეირიმა. არა, ექიმი სწორედ საჭირო არ არის. ხვალ მე
ისე კარგად ვიქნები, როგორც ფრინველი; ჩემი ფიქრი
ხუ გაქვს, მამა!

პლი-თაშა. კარგი, ხვალა ვნახნოთ. წამოჯექი, დაშვიდდი, კი-
თომც მე აქ არც კი ვარ. (მეირიმა წამოდდება; პლი-თაშა
ოთახში გაივლის, გამოივლის; თავის-თავად) ღმერთმანი ეს-
ლა დრო არ არის, რომ გამოვკითხო. არა, ესლა არა-
ფერს არ ვეტყვი.

მეირიმა. მამა, რადა ხარ დაღონებული?

პლი-თაშა. მართალია, მალეიან დაღონებული ვარ.

მეირიმა. შეიძლება, მაგის მიზეზი შემატყობინო?

პლი-თაშა. მალეიან ცნობის-მოყვარე ჰყოფილხარ! მე სწორედ
უნდა გითხრა, იმიტომ შემოგვედი შენთან, რომ ჩემი

ნაღველი მეთქვა; მაგრამ ვინ იცის?... იქნება... ეჭვს
ბია, ხვალამდის დარჩეს.

მეირიმა. ღვთის გულისათვის, იქნება ჩემს თავის ტვივილს ერი-
დები? (ადგება) დამიჯერე, ცოტად გადამიარა კიდევ და
ლაპარაკში სულ გადავივლი, მეთხარი.

პლი-თაშა. კარგი, მაგრამ...

მეირიმა. შენი ჭირიმი, მამაკ!

პლი-თაშა. სასიამოვნოს კერას გატყვი და მეშინიან, ვაი თუ
ჩემმა ლაპარაკმა გაწყინოს

მეირიმა. ~~უთქმელადა~~ უარესი იქნება ჩემთვის. სთქვი, მამაკ.

პლი-თაშა. შეკითვა, წადი აქედამ. (შერიფა გავა) ყური დამიგ-
დე, მეირიმა, აი ჩემის ნაღვლის მიზეზი. მე თავი მომა-
ბეზრეს იმ უმაწვილ-გატებმა, რომელნიც ირევიან ჩემ სა-
სახლეში და შენს თავსა მთხოვენ. აქამდის ეკვლას
უარს ვეუბნებოდი, რომ შენთვის მამებინა. მაგრამ, ეს-
ლა კი აძღენს უარის თქმას ბოლო უნდა მოეღოს, რად-
გან ესლა დროც არის; გათხოვდე, ამ დღეებში შენი
თავი სამმა უმაწვილმა-გატმა მთხოვა. ერთი არის თა-
შის შვილი ბიგაჩიდამ, ოსმანი; მეორე ჩიზმიჩი, მდიდა-
რი ბეგი ლივანისა და მესამე თვით ზგორნიტკის თა-
შა. თუ ამათაც უარი შეუთვალე, ღმერთს გეფიცები, აღარ
ვიცი, უკეთეს ვის ამოარჩევ, თუ არ თვით მალაღს სულ-
თანს სტამბოლისას.

მეირიმა. ოჰ, მამა-ჩემო, შენს იმ უმაწვილ-გატებმა მოგაბეზრეს
თავი, რომელნიც შენ სასახლეში ირევიან, თუ თვითონ
მეირიმა?

პლი-თაშა. უმადურო! განა ეტეოი მასხუნი უნდა მიჭსტე მამა-

შენს? ვინც სხვის გულ-კეთილობას ანად ავლებს, ის ღიკსია რომ ანგმა შესჯამოს.

მეირიმა. ანგვი შექმამს კიდეც; ნუ იფიქრებ, რომ მინდობდა შენი გულის ტკენა. მე ვერ აქამდის არ ვიცი რომიერად სიტუვა-მასუხის მიტემა. მოშიტევე, შამავ!

პლი-ფაშა. ჭო, კარგი! შენ მხოლოდ ის მითხარი, რომელ ერთისაგან მივიღო ნიშანი და სიტუვა რომელს მივსტე? მეირიმა. ანც ერთს.

პლი-ფაშა. მაგას მართლად ამბობ? ანც ერთს? მეირიმა, ეს რას ნიშნავს?

მეირიმა. მე, მამა ჩემო, არ მინდა რომ შენ როდისმე მოგ-შორდე. თუ ჩემი აქ ყოფნა არ გიბმძის, ამ შენის სასახლის მატარა გუთხეში დამტოვე, მარტო ამას გეხვე-წები და გთხოვ.

პლი-ფაშა. კარგი, მაგრამ შენ ჭხედავ, რომ მე თან-და-თან სი-ბერე მეჩვენა, დღესა თუ ხვალე მიწა მიმიბარებს. მე დე-და-მიწა დიდ ხანს აღარ მამყოფებს თავისუფლად. მაშინ შენ რა გეშეულებას? ანა, მე არ მინდა, რომ ჩემს შემ-დეგ აქ უმეტრონოდ დარჩე, მარტო, თერთებ-ჩა-მყოფილი, როგორც დამტოულ კედელში უბედური გუ-გული.

მეირიმა. (დაფიქრდება) ანა, მაგარედ შენ სულაც ნუ შესწუხ-დები; მე შენზედ მეტს არ ვიცოცხლებ, თუმცა შენ სი-ცოცხლის ბოლოშა ხარ და მე სათაქში.

პლი-ფაშა. რას სულელობ, ნეტავი მითხრა!

მეირიმა. როცა კაცს გულში მწუხარება ჩაუდგება, გულს აფუ-ჭებს და ღრღნის უფრო მალე, კიდრე წელთა სამწავლე.

ქარი ახლად გაძმოსულ ყვავილს უფრო ადვილად მოსტეხს ხალძე, ვიდრე ძველს შტოსა.

პლი-ფაშა. (მოჭმუხვნილი) მეტე, შენ რა მწუხარება გაქვს მაგისტანს? მე უნდა, მე მიხდა ყველაფერი შეკითყო.

მეირიმა. რაც მწუხებს—ის ჩემი საიდუმლოა; მარტო ერთმა ღმერთმა იცის, სხვა კერავინ შეკითვებს.

პლი-ფაშა. (აღშფოთებული) შეძცდარი ხარ; მეც ვიცი; მაშ მართალი ყოფილა, — გრცხვენოდეს!

მეირიმა. (შეშით) რა იცი, მამაკ?

პლი-ფაშა. შენ გაიური გიყვარს; ეგ როგორ მოგივიდა ფიქრად, რომ გაიური შეიყვარე?

მეირიმა. შენ კინ... გითხრა ეგ?

პლი-ფაშა. რა, ღმერთმა ნუ ქნას, რომ იმისი სიყვარული დიდხანს შეგჩქეს.

მეირიმა. (მამის წინ მუნღებზედ დაეცემა) მე ის მიყვარს, ტყუილს ვერ გატყვი... ნუ ჯავრობ მამა, შემობრალე და ნუ დამწყეკლი; თორემ ნახამ, შენი წყევლა მალე ამისდება. ეს სიყვარული მე სიკვდილად გადამეჭტევა. (მამა მოშორდება ქალსა; ქალი პირის სახეზედ ხელებს მიიფარებს).

პლი-ფაშა. მაშ სიკვდილად გადაგეჭტეს... და იცი როგორს სიკვდილად? ესლავ გატყვი. რამდენს ქალი, რომელიც გაიურს შეიყვარებს, ვისიც შეიღი უნდა იყოს, თუ გინდ თვით სულთანისა, ტომარაში ჩასმენ და იმასთან იმავე ტომარაში ჩასმენ ვატასა და შხამინ გველსა, რომ კატამ თავის ბრჭყალებით გულ-მკერდი დაუხოკოს, გველი კიდევ უელზედ შემოეხვიოს და მეტე სამივეს ერთად წყალში გადაისკრიან, რომ მზის ნათელმა თავის დღეში ისინი აღარ იხსნულან. აი ასე ეჭტევიან რამდლები გაი-

ურის სიუყვარულსა. თვითონ გიაურს კი თავს მოჭსტრინ და სადმე გზის ჰიჩას დააგდებენ, რომ ნადარმა და მიფრინველმა ჭფლითოს ღ ჭგლიჯოს. შითხარი, ვინ არის შენი საყვარელი?

მეირიმა. (თავს მალა ასწევს) ნუ თუ ან იცნობ? უკვლავი გცოდნია, და ვითომ იმისი სახელი კი ან იცი?! განა ეკ დასაჯვრებელია?

ალი-ფაშა. იმის სახელს ეხლავე გათქმევიანებ, აქნა, ამ წუთსავე!

მეირიმა. (ადგება, გამხიარულებული) რა, რა რიგად მომეშო გულზე!

ალი-ფაშა. (თან-და-თან ფიცხდება) იმისი სახელი... იმისი სახელი მეტქი!

მეირიმა. ვითომ მე უნდა მათქმევიანო იმისი სახელი? ვითომ მე გამოგიცხადო ვინ არის?... დეე, წინად რა თავზედ წამომეჭტეს.

ალი-ფაშა. (ძალიან გულზედ მოსული.) გათქმევიანებ მეტქი, ძალით ამოგვლეჯამ შირიდამ იმის სახელს!

მეირიმა. ჯერ იმისთანა ძალა არ გაჩენილა ქვეყანაზედ, რომ იმისი სახელი მათქმევიანოს.

ალი-ფაშა. (გაანჩნლებული.) რას მიჭქარავ? შენ თითქო ჯიბრ-ში აწირობ ჩამიდგე. ანა ჭსტქვი, ან არა ღ ეხლავე სულს გაგათუთხობინებ.

მეირიმა. მე შენის სახჯლისა ან მეშინასა. შენ შეგიძლიან ლეკმა-ლეკმად მაქციო, მაგრამ მაგას კი თავის დღეში ვერ მათქმევიანებ.

ალი-ფაშა. ალლახ, ალლახ, ალლახ! თვალთ მიხნულდება (ხელს სტაცებს) შე ბოროტო, ეხლავე ჭსტქვი მეტქი!

მეირიმა. თავის დღეში... თავის დღეში არ გეტყვი! აჰა მომ-
კალი!

პლი-ფაშა. (დანის დაცემას უპირებს) სთქვი მეთქი... სთქვი!

მეირიმა. კერ გეტყვი მამაკ, მამაკ!... (გულს შემოეყრება და და-
ეცემა; ალი-ფაშა განცვიფრებული დგას და ხანდლით მოღერე-
ბულს ხელს დაბლა დაიღებს.)

პლი-ფაშა. ეს რა ამბავია?... გულს შემოეყარა. ამას რას
კმარებია!... რა, უბედურად მოხებოდა, ეს რომ შენი ერ-
თანდ-ერთი შვილია, ერთად-ერთი! (ხანჯალს ხელიდან გა-
ავდებს, მეირიმას აიყვანს ხელში და ღივანზე დასვენებს; უბლ-
ზედ ხელს დაადებს და მერე გულზედ.) გულ-შემოყრილია!..
აღარა ესმის-რა! ეს შერიფა რაღა იქნა?... (კარებისაკენ
გაიქცევა, მერე გაჩერდება) არა, არ მინდა რომ შერიფამ
ამ ყოფითა ნახოს. ჩემი შვილია, დეე, თვითონვე მოვი-
დეს გონზედ. განა თვითონ თავისგნით საკმაოდ უბე-
დური არ არის, რომ მეც არ მოვსულავი და ჭი-
რი ჭირს არ მომემატნა? რა, ერთი შეხედეთ!... ყველა
იტყვის რომ მკვდარია! შვილო, მეირიმა, კერ მკვდარი
არა ხარ და კერ ამიტანია, მართლა რომ მომკლამოდი,
რაღა მეშველებოდა. სამს დღესაც კვლავ გაქმლებდი ცოც-
ხალი. ვაიმე, ვაიმე, ეგ უბედურება იქნება კიდევაც მო-
მკლადეს. ესღა ცხადდა ვხედავ, რომ მკვრიდამ გულს
უფრო ძალე ამოგვლევდი, ვიდრე იმ წყეულს სიყვარულ-
სა. ვაი, უბედურად შვილო, ვხედავ, შენ დედი - შენის
სისხლი გიდუღს. დედა-შენიც აგრე ინახავდა სიყვარულ-
სა და იჭვიანობამ ძალე გამოასალმა წუთი - სოფელს.
(მეირიმას გვერდით დაედება და ღრმად ჩაფიქრდება. რამდენიმე
ხნის შემდეგ მეირიმა გონზედ მოვა.)

მერიძე. ახ! ახ!

ალი-ფაშა. შეიძლება!

მერიძე. ჯერაც აქა სარ? დმერთო! ნუ მტანჯავ; ან სიცოცხლე წამართვი, ან თავი დამანებე.

ალი-ფაშა. სიცოცხლე წავართვას? მე? ოჰ! შენ არ იცი, როგორ მიდიხარ. მე შენი სიცოცხლე.

მერიძე. აქამდის შენ გულ-კეთილი იყავი და ეხლა კი სხვა ხარ.

ალი-ფაშა. ვახუშტი, მე ყოველთვის ასეთი ვიყავი; ხომ ვაჩვენებ იცი მე გულ-ფიცხი ვარ; შენ კი მეტის-მეტად შეუშინდი ჩემს სიანხსლესა. ნუღარ მომატონებ, რაც ეხლა მოხდა. გონივ, სუსტადა ხარ... აბა ერთი შემომხედე. ოჰ, შეილო, მე და შენ მარტო ვართ ორნი ამ წუთის-სოფელში; უკრთმანერთოდ აბა რა ვიქნებით? (მერიძე თავს მამას მხარზედ დაუდეს.)

მერიძე. შენ კი მინც გინდა თავიდან მომიშორე?

ალი-ფაშა. (რამდენსამე ხანს ჩუმიდ არის, მერე ეტყვის) გამიგონე. მანამდის შენ გულ-შემოყრილი იყავი, ბევრმა შეიქმმა გამიარა თავში. ერთი იმთავანი შევიანახუნე: ვაჩვენებ, თუ რუდი, დმერთმა განახილეს. ერთს რასმეს ვიდევ გვითხამ: არ შეგიძლიან როგორმე დაივიწყო ის უბედური უმაწვილი-ვატი?

მერიძე. არა, არ შემიძლიან! მეცა მსურს დაივიწყო, მაგრამ ვერას გზით ვერ შევსძლედ.

ალი-ფაშა. ავრე ძალიან ვიყვარს?

მერიძე. (თავს აიღებს) მე... ისა? ოჰ, მამა! ავი გითხარი, რომ ეს სიყვარული მე ბოლოს მომიღებს მეთქი.

ალი-ფაშა. (ადგება) არა, მაგამდის მე არ მავიწყებ; არა! ად-

ზად ღვთის ნება ეგა ყოფილას; ალბად ასე განუგია ღმერთსა. ეხლას, ნურასფერისა ნულარ გეშინიან, გულ-ადსნილად მითხარი, ვინ გიუკარს.

მეირიმა. რა, მამა. მეშინიან, ძალიან მეშინიან.

პლი-ფაშა. ტყუილ-უბრალოდ ნუ გამაჯვარებ,

მეირიმა. შენ ერთს რასმეს შეამთხვევ, მამავ!

პლი-ფაშა. აგრე უსირცხვილოდ მე ჩემს ყურ-მოჭრილ ყმასაც არ მოვატყუებ, და ჩემს შვილს ხომ უფრო არა.

მეირიმა. თუ აგრეა, მამ კარგი; მე მჯერა შენი პატროსანი სიტყვა. ღმერთი იმასაც დასჯის, ვისაც ფიცია არა ჭსწამს, იმასაც კინც ფიცს გასტყეს. და თუ ეს უბედურება მეწვიას ეხლას მე, მამა, იცოდე ხვალეკ საფლავი უნდა გამითხარო!

პლი-ფაშა. რა საჭიროა მაგდენი ლაპარაკი!

მეირიმა. იმის სახელს დიდის თავ-მოწონებით გეტყვი, იმიტომ რომ, ვიარებში იმისი სწორი არავინ არის. შენ კარგად იცნობ ნოკკოს სახლ-გაზდა შვილს.

პლი-ფაშა. ყივანს?

მეირიმა. დიას... ის არის.

პლი-ფაშა. ეხლას მიუხვდები ნოკკოს, რაც საიდუმლო ჭჭონია. (მიმავალი) ერთს საათს უკან ისევ აქ მოვბრუნდები.

7-დე სანახაში.

მეირიმა. (მარტო) რას ავირებს მამა-ჩემი? გამოვას აქედამ რამე კეთილი? იმედითა მსჯეს და შიშითაც ვთრთი. მაგრამ, არა, მამა არ მომატყუებს. ყივანის სიკვდილს ფიქრათაც.

არ გაიტარებს. ეგ რომა ჭკმნას... იმის თვალ-წინვე გუღში დანას დავიტეძი!... არა, თავს მოვიწამლავ საშინელის საწამლაკითა... არა, იმ ძალად კოშკივადმ გადმოკარდები, რომ ლუქმა-ლუქმა ვიქტე და უფრო ძალიან გული დავწვა მამას, რომელმაც სიტყვა არ შეინახა.

8-კე სანახაში.

ალი-ფაშა და მეირიმა.

ალი-ფაშა. შეილო, შენ აქედამ წადი. ესლაკე ყივანი აქ მოვა; მინდა მოველაშაჩაკო.

მეირიმა. ყივანი! მეც აქ ვიქნები, მინდა თქვენი ლაშაჩაკი გავიგონო.

ალი-ფაშა. არ შეიძლება.

მეირიმა. ის ვერ დაშინახავს. მე აქ დავიძალები. (მიდის წაღოსვენ.)

ალი-ფაშა. შენ გინდა, რომ ყველაფერი შენს ნებაზედ იყოს. კარგი, აგრე იყოს. მაგრამ, რასაც კი გაიგებ აქა, ხმა არ ამოიღო, კინტი; არ გაინძრე.

მეირიმა. (წაღოში ძვრება) ფიქრი ნუ გაქვს.

9-კე სანახაში.

შივან და ალი-ფაშა.

შივან. შენ დაგობარებივარ, სახელთკანო ალი-ფაშა? მით-სრეს და აი იმ წამსვე გაიხელი.

პლი-ფაშა. ძალიან ცუდს ღრის მოხვედი. თუმცა მოხვედი, მაგრამ ველს გახვალ აქედამ.

შივან. მაშინვე; თუ შესუმბები?... რას აშობ მაცას. მართლად და სასე მოღრუბლული გაქვს. ღმერთსა ვფიცავ, რომ აქ სასუმბარი საქმე არ არის.

გორძე თავიდან ამეცდილებინა. როცა შევიტყე, ოსმალებმა მოიტაცეს, მაღალ ღმერთს გეფიცები, გამეხარდა. მაგრამ მამა-ჩემს ეგონა, ვითომც მე თვითონ გავატანე ქალი. ამან და იმ სიჩვენებამაც, რომ სხვამ მე საცოლო წამართვა, დამძლია და მეც ავდეგ, მდეგრად გამოვუდეგ ოსმანსა. ოჰ, რა ბედნიერება იქნებოდა ჩემთვის, რომ იმ მთებში მოკვდავით.

მეირიმა. შენს ღაპარაკს რომ ყური ვატსოვო, მართალი გამოჩნდება. მაგრამ არა! მე კარგად მახსოვს შენი უსიძვენიერო ღალატი. რის ყოფით დავიყოლიე მამა-ჩემი და როცა უნდოდა აესრულებინა ყოველივე ჩემი ნატვრა, ყოველივე ჩემი გულთაღი წადილი, მამინ, შენ, ყივან, დაჭკარ თეხი და გამეჭვდი. შენ დამტოვე მამინ, როცა ჩემს თავს გაძლეუდენ. არა, არა! თავის დღეში შენ ეს არ გეპატიება, არა!

ყივან. მეირიმა! გაფიცებ ღმერთსა, ამომართვი წელიდამ ეს დამხანაები და ორივე ერთად დამეცი გულში და მაგას გინუ მეტყვი.

მეირიმა. ჩემი სიტყვები ადვილად დაგაპიწყდება შენის საცოლოს კალთაში. იქ დაგაპიწყდება, იმის კალთაში, ყოველივე, რაც იყო, და ორივენი ერთად ინახნარებთ ჩემოდ და ჩემს გულის ტკივილზედ.

ყივან. ოჰ, მეირიმა, მეირიმა, ნუ მტანჯავ, ნუ მაწყვლებ აგრე!

მეირიმა. მაგრამ მე თავს მოვიკლამ და მაგ დღეს გი არ გაღიწებთ. შენი ჯვარის - წერის დღე იქნება ჩემი სიკვდილის დღე: მე სიკვდილის მეტი აღარა დამჩენია-არა.

შივან. (სიფიცხით) მოკვდი, და მეც შენთან მოკვდე; ცოდ-
ვა მამი-ჩემისა იყოს, რადგანაც იმან დამატანა ძალა.

მეირიმა. მაგას მართლაც ამბობ?... მითაშ? ნუ თუ შენ კიდეც
გიყვარვარ?

შივან. მეც, რადის არა შევარებისარ?

მეირიმა. მას გვიყვარდეს ერთმანერთი! წინ ცხორება უკავი-
ლებს გვიფენს და ჩვენ კი სიკვდილზედ ვლამარაკობთ!
ოჰ, ყივან! თუ არ მატყუებ, საქმე ჯერ კიდეც შეიძლება
გაკეთდეს. ალი-ფაშას მალე დაიყოლიებ და რამდინის
მოშორება ხომ უფრო ადვილია; შენ ერთი სიტყვა სთქვი
და ჩვენ სამუდამოდ ბედნიერები ვიქნებით. (ყივანის მარჯვენა
ხელს ხელსა სტაცებს და თავით ზედ დაეყრდობა) მთელს ბოსნიას-
ში შენ ჰირველი კაცი იქნები მამი-ჩემის სახელით და სიმ-
დიდრით და საკუთარის შენის ვაჟ-კაცობით და ჭკუით.
ბოსნიასში თუ არ ისურვებ დარჩენას, ალი-ფაშას სტამ-
ბოლშიაც დიდი სახელი აქვს და მიჩნეულიც არის. მდი-
ვანი იმის სიძეს ყველა კარებს გაუღებს და თავით სელ-
მწიფის გვირდით ადგილი გექნება. სიყვარულს, სიმდიდ-
რეს, ბატონობას — ყოველს სიკეთეს ამა ქვეყნისას გაძ-
ლევ შენ... მე... (მოეხვევა) ჩემო ყივან, ნუ თუ ყოველს
ამას უარსა ჰყოფ?

შივან. შენი ხმა, შენი სიტყვა, შენი მოსვენება, თვით ცაღამ
ჩამოსულ ანგელოზსაც კი დაიყოლიებდენ. (მოშორდება)
გამიშვი... მე რჯულის ვერ გამოვიცვლი... არ შემიძლიან,
არა.

მეირიმა. გულში რა რჯულიც გინდა იქონიე, რადინდ რამა-
ლობა დაიჩქვი! ოჰ! ეს შეგიძლიან, შეგიძლიან, ამასზედ
უარს ვერ იტყვი... შენც, ყივან, დაწითლე რამე ჩემის გუ-

ლისათვის. მეც ადამიანი ვარ. თუ ესლაც უარის თქმა გინდა; თუ ესლაც გინდა, მომიკლა იმედი, ნუჩას მეტევი, ჯერ მომიკალ.

შივან. (სიჩქარით დამბახას გამოიძრობს) შენ კი არ მოგკლამ, მე მოგკლამ თავსა, მე! ბოლო უნდა მოეღოს ამისთანა ყოფას. გეფიცები, სიტოცსლე მომწუინდა.

მეირიმა. (წაართმევს დამბახას) განა აგრე ძლიერად გწამთ თქვენი რჯული?!.. ვაჭიშე უბედურსა!.. მეც შეესწირავდი ვეკლავაკს, მაგრამ სიყვარულს... რა! სიყვარულის შეწირვა კი არ შემიძლიან; ჩემთვის სიყვარულზე უბღიერესი არა არის-რა; თვითონ ჩემმა რჯულმაც კი უნდა დაუთმოს სიყვარულსა. რა, წმინდა მატყალო, შემიხედე მე ბედ-კრულსა, რომ შენა გტოვებ და ჯვარს კეძლევი! რა, ყივან, შენი რჯული ესლა ჩემი რჯულია; აი, ესლა აღარაფერი აღარ გვიშლის შეერთებას -- სიძლიერე, შეძლებს, მოხეტეული მამა, თვით რჯულიც კი, სულ, სულ შენთვის შემომიწირავს, შენთვის უარ-მიყვას. წავიდეთ, გავიქცეთ აქედამ, ამაღამვე სხვათა ქვეყანაში გავიდეთ!

შივან. რას ამბობ? როგორ შეიძლება?! სხვათა ქვეყანაში!?! .. მე რე იცი, იქ რა მოგელის? მწარე, ღარიბი ცხოვრება! არა, მაკისთანა ცხოვრებაში მე კერ ჩავგდებ.

მეირიმა. წინაღვე მე თადარივი დავიჭირე! სამი ცხენი მზადა მყავს, ორი ჩვენთვის, ერთი ნივთებისათვის, რომელსაც მამა-ჩემს მოესტაცებ, აი საღაროს გასაღებიც. გავიქცეთ, მალე, ჩქარა! (ყივანი ჩემად არის და ჰფიქრობს) რას დას ჭეიქრობ... რა, რას განუმეულებსარ?... რას ოხრავ?

შივან. დაწყევლილ წუთს შევიყარეხით მე და შენ. წვეული იყოს ისიც, ჭისის მიზეზით ზირველად ჩვენ ერთმანერთს

შეგსვდით! ესლა მეუბნები მაგას, ესლა, როდესაც მე დანიშნული ვარ, და ამასთანაც სისხლის ღვრით სარალო დავიბრუნე და სტუმრებიც მოვიწვიე. ესლა სირცხვილს და უპატიურებას კვლავ წავუგაღ. ოჲ, ვეკლათერს ავიტან, უპატიურებას კი კერა!

მეირიმა. (ძალიან აღშფოთებული, ძლივს ამოხსნ) ოჲ, შე მურტალო, ეშმაკის ნაშობო! რატომ არ იტყვი, რომ ვეკლათერს ავიტან, მეირიმას მეტსა?.. რატომ არ იტყვი, რატომ, ჳა?.. მაგ შენის მურტალის ღაღატინათვის აქვე მომცემ უსუსს, აქვე!

შივან. რა! უპატიურება მსდი? მეძუქრები კიდეც? შენს მეტს სსგას არავის მოგუთმენდი მაგას.

მეირიმა. (სიჩქარით მიდის) დამატადე, შე ძაღლო, ნახამ შენს სეირს! (უვირის ხმა-მალლა) ეჭვი, ოსმაღებო, სადა ხარ? რასა გმინავთ? ჩქარა, ჩქარა, ხალში ქურდები შემოხარულან! (სიჩქარით გაიქცევა).

შივან. ოჲ, ქაჯო!.. წყეუღიმც იყავ!.. გველო, ესლა კი გიტან, რაცა ჳეოფილხარ!... თავს უნდა კუშელო. (მიდის, შერიფა გამოჩნდება).

შერიფა. ყივან!

შივან. შენა ხარ?

შერიფა. უიჭ თქვენ... მეხი კი დაგეტყვოს! თქვენის მიზეზით მეც ვიღუპები ესლა.

შივან. გამიღე როგორმე კარები. გზა აღარსაით არის.

შერიფა. გასაღებები სულ თან წაიღო.

შივან. მაშ აღარსაით არის!.. შენ მინც წადი აქედამ! აქ უნდა მოგჭკვდე. დემრთსა ვეიტყავ, იათად არ დაუუსვამ ჩემს

თავს. (ხანჯალს ამოიღებს და კბილებით დაიჭერს; და ორივე ხელში თითო დამბახას.)

შერიტა. რას ჩადისხარ? ხეზედ ადი და დაიძალე, ბნელა, კე-
რაკინ დაგინახავს, და როცა ხმა მიჭსწუდება, მაშინ მე
გსახს გასწავლი. აი, ჭრატებით აქეთგენ მოდიან, ჩქარა,
ჩქარა, ხეზედ ადი.

შივან. დავიმალე, როგორც შეერთხადი ქალი?... რა გაეწ-
ყოხა... ესღა სხვა არა მოხერხდება-რა. (უფანი გადის მო-
შორებულ ხეზედ ასასვლელად; შორიდან მოჩანან რამდენიმე
ოსმალთა ჭრატებით და დიდის დანებით ხელში; ბაღს გარს შე-
მოუვლიან.)

(ფარდა დაეშვება).

(დასასრული შემდეგს ნომერში.)

ნახული და გაგონილი,

(მგზავრის უენიშენები).

წინა-სიტყვაობა:—სოხუმი და აფხაზეთი.—აფხაზეთი უაფხაზე-
ბოდ.—მამულეზუდ უერთა-გლეჯა.—ახალნი მცხოვრებნი აფხაზე-
თისა: ბოლგარები, მალო-რუსები და სხვ.—აფხაზეთის სიმდიდრე.
—მისი ჰვა.—რა ეჭირვება აფხაზეთს?

ერთმა ძველმა ფილოსოფოსმა შემდეგი მოკლე დაწიგე-
ბა მისცა ადამიანს: «გაიცანი თავი შენით». ერთი ამისთანა
ფილოსოფოსიც რომ ესლანდელს დროში გვეუფლად, ამისა-
ვე მზგავს სიტყვებით მიმართავდა იმ ასალ თაობას, რომე-
ლსაც თავის ჰვეენის სამსახური უნდა და ეტეოდა: «გაიცანი
ჰვეუნა შენით».

მაგრამ ამისთვის ფილოსოფოსობა რა საჭიროა. ესლა
თითქმის ძემე-მწოკარმა ბაკშმაც კი იცის, რომ თუ ნიადგი
არ გავიცანით და დრო არ შევერჩიეთ, თქალს ნაყოფიერად
ვერ გავაზნვეთ და სამწუნსრო ეს არის, რომ თუშცა ვიცით,
მაგრამ თითქმის არავინ არა ვცდილობთ ჰვენს ჰვეუნა ჰვენს
გავიცნოთ და სხვასაც გავცნოთ. ყოველს აქვის ვადად-
გმაზედ ჰვენს ჰვეუნაში სხვა-და-სხვა მოკლეინებას, სხვა-
და-სხვა ზნეს, ჰვეულებას და ხალხს შევეუროებით და ყოველ
ამის ცოდნა და აღწერა, თუ ესლა არა, მომავალში მიხინც გა-
მოგვადგება ესლა არა გვეცდიან დაწკრილებით იმის ჩამო-

სათკლელად, რა ღრმად მოგვინას, რა ღრმად დაგვტყუა უფრო უნდა მიეჭტეს ჩვენი ყურადღება. ესლამს მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ ყოველ სოფლის მასწავლებელს ან სოფელში მცხოვრებ წერა-კითხვის მტოდნე პირს შეუძლიან მრავალ იმისთანა მოგვინას დააკვირდეს და გამოაცხადოს, რომელიც პირველის შესხედვით თუმცა უმნიშვნელოა, მაგრამ მტოდნე გაცის თვალში კი საკსკა მნიშვნელობით.

ამ სტრუქტურების დამწერს სშირად შემხვდება გარემოებისა გამო ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეში სიარული და ვეცდები, რასაც კი შესანიშნავს ვნახავ, «ივერიის» მკითხველებსაც წააკითხოს. ამ შემოდგომასზედ მე შემხვდა აფხაზეთში ყოფისა და ამ წერილში მკითხველს წარუდგენ ნახულსა და გაგონილს ამ მხარეში.

*
* *

დილის ექვსი საათი იყო, როდესაც ცეცხლის გემი დაღალულ კაცსავით ქშენით და ჯაჭვების ჩხარუნით გაჩერდა სოხუმის ყურეში და ჩაუშვა ღუზა შავს ზღვაში. ჯერ მსე არ იყო ამოსული, მაგრამ აფხაზეთის ტყიანი მთის წვეკები კი გაეწითლებინა იმის სხივებს. ცა სრულიად მოწმენდილი იყო. უკანასკნელ ომიანობის დროს მინგრეულ-მონგრეული და დამწვარი სოხუმი ირგვლივ შემოხვეოდა დაწინაბუღლს ზღვის ყურეს. ეს პატარა და ლამაზი ქალაქი თუმცა სრულიად გაახრეს ოსმალებმა და აფხაზეთმა 1877 წელს, მაგრამ ზოგიერთის სახლების აშენება და ძველების განახლება კიდევაც მოუსწვრიათ; ერთი ბატალიონი რუსის ჯარისა, რომელიც ომიანობის დროს მთაში გაიხიხნა, დაბრუნებულა და თითქმის ყოველ-დღე ათამაშებენ მას სოხუმის ვრცელს მოედნებსზედ; ბევრი სახლები გაუახლებიათ, მაგრამ უმრავლე-

სი კი ნანგრევებს წარმოადგენს; ზოგან წარმოადგენს მხოლოდ ოთხს კედელს, რომელთ შუაგ სამს-ოთხს წელიწადში კარგა მოზდილი ხეები ამოსულან და, ადამიანების მაგიერად, ფრინველებს ამღებენ ბინას; ზოგა სახლები; მეტადრე რომლებშიაც დაწესებულება იყო რამე, მიწასთან გაუსწორებისათ და კედლებიც კი არ დაუნდვიათ.

ზოგიერთ მკითხველებს არ ეტოდინებათ მიზეზი — რად ამოუბუგავთ ასე უწყალოდ ეს კომპია ქალაქი. ამ მკითხველებს აკუხსნი ორის სიტყვით მიზეზს და ვინც იცის, მომიტეოს უდროოდ სიტყვის გაგრძელება.

ამ ოთხის წლის წინად რომ ოსმალებთან ომი ასტყდა, აფხაზეთში ესახლნენ აფხაზები, რომელთაც მთავრობისაგან იარაღი აყრილი ჰქონდათ, ოსმალებმა იცოდნენ რომ ეს მხარე კარგად არ იყო დაცული და რამდენიმე ჯავშან-მოსილი ცეცხლის გემი მოაყენეს სოხუმს ჯარით. რუსის ჯარი წინ ვერ აღუდგებოდა უმრავლესს ოსმალოს ჯარს და გავიდა წებულდაში, მთიანს მსარეს, რომელიც სოხუმიდამ ოცს-ოც-და-ათს კერსზედ არის მოშორებული. აფხაზები ორცეცხლ-შუა მოჭყენენ: ან უნდა უაღაგო ალაგას გახიზნულყვენ და ოსმალოს ხმლისა და ცეცხლისათვის შეეწირათ მთელი თავისი ქონება, ან ოსმალებს მიჰკედლებოდენ

აფხაზები მიემხრნენ ოსმალებს, ხელში მისცეს თავისი ქვეყანა, მაგრამ, რამდენსამე შეტაკების შემდეგ რუსის ჯართან ოსმალები იძულებულნი იყვნენ დაენებებინათ თავი აფხაზეთისათვისაც, სოხუმისათვისაც და შუჩის-მიების საგნად რომ აფხაზები უკან არ დაეყარათ, თან წასხეს ოსმალებითი წასვლის წინად ოსმალებმა და აფხაზებმა იმ აზრით იმოქმედეს, რომ თუ მე არ მიქნება, თუნდ ჰვა ჰვაზედაც ნუ იქნებაო და ბოლო

მოუღეს ყოველისთვის, რაც კი ხომალდებზედ არ დავიდა. აფხაზების აურებელი საქონელი და ცხენი გასწვევითეს მამინ სოხუმის ახლო-მასლო, ასე რომ თურმე ორ-სამს თვეს მმოგონის სული ასდიოდა იმ არე-მარეს. სოხუმის სახლები სულ ერთიანად დაანგრეს და მოსწვეს. მაგრამ უკაცრავად «სულ ერთიანად» არა: რადაც განგებისა, თუ ადამიანის წყალობით გადაჩენილა მხოლოდ ერთი ღამაში სახლი, რომელზედაც თურმე ეწერა: «სოხუმის საქალაქო სკოლა».

რას უნდა დაკაბრალოთ ეს საკვირველი ამბავი? იქნებ ოსმალებს აქ ლახარეთი ჰქონდათ და გელარ მოასწრეს, ავად-მყოფების გაყვანის შემდეგ, იმის დაწვას; იქნებ ეს სახლი, რადგან საუკეთესოა, ოსმალოს სარდლის სადგური იყო და ამ სარდალმა ძეგლებურ გშირებსავით უგანსგუნელმა მიატოვა აფხაზეთის ნაპირი, მაგრამ ჩვენ უფრო გვჯერა, — ოსმალებთან სარდალი იმდენად განათლებული პირი იყო, რომ უბძანა ჯარს ამ სახლს ხელს. ჩუ ახლებთ, რადგან სასწავლებელი მტრისათვისაც კი დასაშური არ არის.

დღესაც ამ სასწავლებლის შენობა საუკეთესო სახლი მთელს სოხუმში ეს სასწავლებელი მართლ-მადიდებლობის გამაგრებელ საზოგადოების ხელშია და გარეგანის მხრივ ჩინებულად არის მომართული. სასწავლებელთან არის პანსიონი, რომელშიაც ოციოდ ბავშვსა აქვს ბინა, უფრო მთის ხალხის შვილებს. სოხუმში არის აგრეთვე საქალაქო სკოლა და მხოლოდ ეს ორი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი განათლების გამაგრებელი მთელს აფხაზეთში.

ამის წინად სოხუმი კარგა მოხდილი ქალაქი იყო; გარშემო მას აფხაზები ეხვია და თუმცა მიწის ნაწარმოებით უკლებლობა მამინაც ძნელი იყო უგზობობის გამო, საქონელი მაინც

ბეჭერი ჭეჭვდათ და ეს საქონელი, ერბო, ყველი შეადგენდა კაჭრობის უმთავრესს საგანს. ესლა ეს კაჭრობაც შემწყვდარი და თუ ცუცხლის გემი გაჩერდება სოხუმთან, მხოლოდ იმისთვის, რომ სოხუმის მცხოვრებს მიუტანოს მათთვის საჭირო საკაჭრო და არა აფხაზეთის ნაწარმოების გასატანად.

რასაკვირველია, სიცოცხლე და მოძრაობა სოხუმს ამ კაჭრობისა და განათლების კვალობაზედ დაეტყობა. მის ფართო და მიუჩრებულეს ქუჩებზედ ათასში ერთხელ თუ გაივლის მგზავრი და ისიც უფრო რუსის სალდათი, ან მეგრული მედუქსე. მთელის სოხუმის კაჭრობა მართლაც და მეგრელების ხელშია, რომელთაც ისეთივე მნიშვნელობა აქვთ შავის ზღვის აღმოსავლეთის ნაპირზედ კაჭრობაში, როგორც თბილისის კაჭრობაში სომხებს.

თუმცა ესდანდელი მდგომარეობა სოხუმისა და მთელის აფხაზეთისა არაფრად სანუგეშოა, მაგრამ მომავალში საკვირველი ბედი მოელის ერთსაცა და მეორესაც, თუ მთავრობა იმ გზას დაადგა, რომელიც ხალხისათვისაც და ქვეყნისათვისაც სამკობინარია. რა არის ეს გზა, ამას მკითხველს ეხლავე შეატყობინებ.

* *

ძვირად შეკვადებით იმისთანა ნაყოფიერს და მოსავლიანს ნიადავს, როგორც საზოგადოდ აფხაზეთის ნიადავია. ზღაპარი გვგონებათ, რომ გითხრათ: ერთი აუთი სიძინდი ოქოქით მოჩინქნილა მიწაში ჩაბნეულ დღიურზედ ასისა და ას ორმოცდაათს აუთს იძლევა მეთქი; მაგრამ ეს სრულებით ზღაპარი არ არის, და თუ სიცრუე წამომცდა, მხოლოდ იმაში, რომ ასისა და ას ორმოცდაათის მაგივრად, რატომ ას სიმოცი და ას ოთხმოცი არა უთქვი. თითქმის ადამის-ყამიდაშვე

უნხავის მიწისათვის ეს საკვირველი არ არის, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ამისთანა ძვირფასი მიწა მოუვლელი წევს, რადესაც იქვე გაკრძოთ სამეგრელოში ერთსა და ნახევარ ქტვას მიწაში შეკრელები ერთმანერთს თავებს ამტკრევენ რომ ვერსად მოთავსებულან.

ნაყოფიერის მიწის გარდა, ტყეც აუარებელი აქვს აფხაზეთს. მე აქ არაფერს ვიტყვო საგანგებო ბზის ტყეზედ, რადგან არ მინახავს და მხოლოდ გამიგონია, რომ ის ტყე რაში რენიძე მილიონი ღირსო. სხვა ტყეებიც ბევრია ძვირფასი. ბევრგან კაკლისა და მუხის ტყეა და წაბლის ხეებს ხომ ანგარიში არა აქვთ. ზღვის პირებზედ ამ ძვირფას ხე-ტყეს დიდხანსია რაც ევროპელები ეტანებიან, ასე რომ ზღვის პირიდან ათს-თხუთმეტ ვერსტზედ, სადაც კი კაკლისა და მუხის საშენებელი ტყე იყო, სულ გაზიდულია მათგან; მხოლოდ შიგნითი აფხაზეთის ხელ-უხლებელი.

ვინა საჩუკებლობს ესაა ამ ბუნების უხვ სიმდიდრით? ვის ეკუთვნის ეს რაქონს ფასი მამულები? რა გზებია გაკეთებული მიწის ნაწარმოების გამოსატანად და მოსახმარებლად? ამ კითხვების პასუხს მოგცემთ, როგორც ვა შევიძელ შეტყობა პატარა მოგზაურობის დროს სოხუმის ახლო-მანლო ადგილებში.

* *

ჰერ ეს უნდა გითხრათ, რომ აფხაზეთში მოგზაურობა მხოლოდ ცხენით და ზრგან მხოლოდ ქვეითი შეიძლება, რადგან ურმისა და ტარანტასის გზა სოხუმიდან მხოლოდ ოც-და-ათს ვერსზეა გაუვანილი ზუგდიდისკენ და ისიც ჰერ ჰერობით თავ-მინებულად. მე ამ ახალს «მოსეჩედა» მომიხდა მოგზაუ-

რობა და თუ სადმე ეტყობა სიტყვებზე აფხაზეთს, რასაკვირ-
ველია ამ გზაზედ უნდა ეტყობოდეს.

გაკვირვებით თუ არა სოხუმიდამ და დაკვირვებით ზღვის ზი-
რად, გზის მარცხნივ ჩამდინიძე რიგინად შემუშავებული მა-
მული დაგვხვდა. ეს მამულები ეკუთვნის ვიღაც ვოლგოგებს,
ვკედენსკის და სხვ. ეს უგანსგნელი ის ვკედენსკის, რომელ-
მაც ჩვენს ქვეყანას ვაზის გამაოხრებელი ჭია—ჭილქსეკრა
უძღვნა. გაუმჯობესების სურვილს ისე გაეტაცნა ეს ვაჟ-ბატონ-
ნი, რომ საფრანგეთიდან ვაზები დაეხარებინა და ისევე არ ეფიქ-
რა, რომ ვაზებს შეიძლებოდა თან დაუხარებულე სტუმარიც
მოჭყლოდა. ამ დაუფიქრებლობას ეს მოჭყვას, რომ ესლა მთე-
ლი ვაკასისა ჭილქსეკრას შიშშია და იმის ღამზად გაშენე-
ბულ ვენახის მაგოვრადაც, ესლა იმ ადგილას წყლისა დაგუბე-
ბული. მკითხველს ეცოდინება, რომ ჭილქსეკრას გასაწყობად
წყლის დაგუბება იმ ალაგას, სადაც ეს ჭიანა გაჩენილი—საუ-
კეთესო საშუალებაა. სოხუმის ახლოც ეს დონის-ძიება უხმა-
რიათ. ვკედენსკის მამულის ახლო რომ ვაკინათ, დავინახეთ,
ჩამდინიძე სალდათი დაჭეფსეფსებდა ნახევარ-დღის მიწას, რომ-
ელზედაც შარშან, შარშან-წინ ვენახი იყო, და ესლა კი ტბად
გადაჭეფულა.

სოხუმიდამ ორს-სამს ვერსზედ კი კარგად შემუშავებუ-
ლი მამულები გვხვდებოთ, მაგრამ ჰატარას რომ გასტადებით,
ისეთივე სიჩუმე, უკაცურობა და უდაბურობაა, როგორცაც ამე-
რიკის ტყეებშია კვოხე მკირად მესვდეთ. ვაკვირვით ათს,
თხუთმეტს, ოცს ვერსს თვალ აუწვდენელ ტყეში და ვერსად
შეხვდებით ნიშანს ადამიანის მოსახლეობისას. ნატრობთ, ნეტა
ან ღობე მანც დავინახო, ან ძაღლის ყეფა ვაკვირონო, რომ

ქვეყანა ისე ცალიერი არ მებეჭენოს, როგორც ალაძიანის გა-
ჩენის წინადადებო.

— რა გასაკვირველია, რომ აფხაზეთის უმთავრეს ქალაქის
ახლო-მასლო ასეთი სიჩუმე იყოს, როდესაც აფხაზეთში აფ-
ხაზეთი აღარ არიან. რაც გადასახლდა, მათგანი ბევრი აღარა-
ვინ დაბრუნებულა და ვინც დაბრუნდა, იმათ სოხუმშიც რა-
ღა-ათს ვერსად ახლო დასახლებების ნება არა აქვთ.

— მაშ რა ეპატრონება ეხლა აფხაზეთის მიწებს, ვკითხე
მე ჩემს თანა-მგზავრს?

— არ ეს ტყე, ქვრივი რომ არის კალუბიაგინისა, იმისა,
მიზასუნა იმან.

— სადამდის?

— ჯერ შორის არის... ახსენებს რომ მივალთ, იქამდის სულ
იმისია.

— იმას იქით ვიღასია?

— ღენკრალ გრავჩენკოსი.

— რომელი გრავჩენკოსი; სოხუმში რომ ჯარს უფროსობ-
და ოსმალების შემოსვლის დროს?

— ჯო, სწორედ იმისი.

— ეს ვიღასია? ვკითხე იმას რამდენიმე კერძის გაგლის
შემდეგ.

— კვ კომენდანტად იყო სოხუმში და იმის ქვრივისა.

— უნდად გასცემდი, ზღვართაგა შესდის და გაედინებისა

— მომაგონდა ჩვენის რუსთაველის სიტყვები და ვითუქვე —
ეს აფრიცხველი სიმიდიდრე შავის ზღვის შემწეობით ჩვენს ქვე-
ყანას მალე «გაედინება», მაგრამ «შეედინება» თუ არა, კვ
ღმერთმა უწყის. ერთის სიტყვით, სოხუმის მანქანის მამულებ-
ზედ ერთა-გლეჯა ვითილას; დიდსა, თუ ვატარას, მღვდელსა,

თუ ერს, ყველას წაუტანებია ხელი და ყველა დაჭაპატრონებია უბედურ აფხაზების მამულებს. მე სიტყვის მასალად რადი ვამბობ აქ: «მღვდელსა, თუ ერსა» მეთქი: მღვდლებსაც თავისთა წილი არ დაჭკლებიათ და რასაკვირველია მათაც ხარისხოვნების კვალობაზედ ერგებოდათ მიწები; ბევრგან უბრალო მღვდლებს სამოც-სამოცი დღიური რგებიათ და ბლალჩინებს კი თითო სს-ოცი.

ყველას რგებია თავისთა წილი; მაგრამ ბევრი მამული კიდევ დარჩენილა უქმად. მოუნახავთ მსურველები დასახლებისად მსურველებიც ბევრნი გამოჩენილან, მეტადრე მეგრელები. მაგრამ სოხუმის ახლო-მახლო არცერთი მეგრელი არ მინახავს საჯარო მღვდელთა მიწაზედ. მხოლოდ ზოგიერთა მამულის შატრონებს და ისიც აფხაზეთის მკვიდრ მცხოვრებლებს, მიუცნათ მეგრელებისთვის სამეოთხედოდ მამული შესამუშავებლად, — თითონაც უსარგებლიათ, იმათთვისაც უსარგებლებიათ. თ. გ. შარვაშიძეს დაუსახლებია ორასამდე კვამლი მეგრელი თავის მამულში მდინარე კოდორზედ ოთხ რიგად. უეჭველია, რომ ამ მოსახლეებს უკეთესი ბედი მოელოთ, კიდრე სხვა ქვეყნიდან გადმოსახლებულ ბოლგარებსა და ბერძნებს. რისთვის? ივითხამს ზოგიერთი მკითხველი, რომელსაც წარმოადგენილი აქვს, რომ უოკელივე რაც კი ევროპიულია და ევროპიულია ჩვენებურს უნდა სჯობდესო. იმისთვის, მივუბნებ მე, რომ ჯერჯერობით აფხაზეთის ბუნება ქალწული ბუნებაა და ციებ-ცხელებას შეჭურის მას, ვინც კი გაჭბედავს პირველად მის ხელის შესებას. მხოლოდ ჭაობიან ადგილს შეჩვეულს მეგრელებს შეუძლიანთ ჯერ-ჯერობით მისი მოჩუყლება; მხოლოდ ამ ტანად-დაბალს და გაყვითლებულ ხალხს შეუძლიან აფხაზეთის სანადირის ატანა; ის თავის ჭაობიანს სამეგრელოში ისე შესჩვევია

ხელ-ხელა მოწამლულ ჭავას, როგორც მუდამ ცოტ-ცოტას
სმით ადამიანი საწამლავს შეეჩვიოს. მეგრელი ჰატარა, მაგრამ
მარდი; ტანად სუსტია, მაგრამ ძაღვით ღონიერი; სახით
ყვითელია, მაგრამ ბევრს ყვითელს მეგრელს მომეტებულის
ატანა შეუძლიან, ვიდრე ღაყ-ღაყ ლოყებიანს რუსის გლეხს და
ცხრ:-მთა გადაღმიდამ გადმოსულს ბოლგარს.

* * *

სოხუმიდამ რომ გამოკვირდით, გზასეუდ დაკინახეთ
მთელი ჭრუჭრუ კაცისა და დედა-კაცისა. გამოკითხვის შემდეგ
აღმოჩნდა, რომ ისინი მოსულნიყვნენ აფხაზეთში დასასახლებ-
ლად ბოლგარიდამ; თვითუელს დაჭპირების რც - და - ათის
დღის მიწას: თითონაც არ იცოდენ ჭერ სად უნდა მოეკიდათ
ბინა, მხოლოდ ვარაუდით გვანიშნებდენ ხელით: «აი შორს
რომ ჭერი ღაყვარდად მოჩანს, იქა გვპირდებიანო». ღრმა სევ-
და ეტყობოდათ იმ საცოდავებს სახსრედ და ალბად მეტის-
მეტმა გაჭირვებამ მოაშორა თავის მიწა-წყალს და მისცა მსხვერ-
პლად აფხაზეთის ციებ-ცხელებას. კაცები კიდევ ინახავდენ გულ-
ში დარდს, მაგრამ ზოგიერთა დედა-კაცები ცხარის ცრემლი-
თა სტირდდენ; სტირდდენ თავის წარსულზე და არ იცო-
დენ კი რომ მომავალშიაც ჭქონდათ მიწეზი ტირილისა. უეტკე-
ლია გადმოსახლებულების მძლავრი ბუნება ვერ მოერევა აფხაზე-
თის ბუნებას, გაუტყდება და ღონიერი მხარ-ბეჭი მოუუძღურ-
დება. მაშინ ვინ იცის, რა მიწაზე ბუდი მოელთ ამ საცოდა-
ვებს!

წელან გაკვრათ ჩამოკოვალეთ აფხაზეთში გადმოსახლე-
ბულები: ბერძნებსა და სემიტებსეუდ ვერას ვიტყვი, რადგან ჩე-
მის თვალთ არ მინახავს, მაგრამ როგორც ისმის არც იმათ
ადგიათ კარგი დღე. სიმდიდრეს ისინი ჭერ-ჭერობით ვერ შე-

იძენ, წადგან, წასაც ვერ შესჯამენ და ვერ მოისმარებენ, თითქმის ყოველისფერი უნდა უგზო-უკვლობის გამო შინვე დაუღპეთ და სიამოვნით ცხოვრებასაც ვერ დაიკვებებენ, წადგან უშირკელესს საჭიროებას ცხოვრებისას—ჟან-მრთელობის მოძცემს ჭყარს—მოკლებულნი არიან. მე ვნახე მხოლოდ ბოლგარების ორი სოფელი და როგორც ვთქვი, თუ თავიანთ სამშობლოში ისინი კანის გაეყარნენ, აქ უარესს ვუის შეეყარნენ. იჭნება სხვების სამაგალითოდ დასახლდენ, რომ იმ მხარის მცხოვრებთათვის რიგიანი მიწის მოკლას ესწავლებინათ? ეს რომ იქაურ მეგრელს უთხრათ, სიცილს ვერ შეიმაგრებს. აი რა მითხრა ამ საგანზედ ჩემმა მეზავრმა—მეგრელმა, როდესაც ბოლგარების ხალხი გავიარეთ:

— ეს ბოლგარები კარგად უნდა უვლიდენ მამულს, კვითხე მე.

— ისევე კარგს მისცემთ მავათ ღმერთი! აი, ხომ ხედავ ამ სიძინდს, რომ გვიძრასაგან არის წადებული, ეს ბოლგარებისაა. სიძინდს ორჯერ მანც უნდა თახნა და აქ ისეთი ძალოვანი ბაღახია, რომ თუ მუდამ ძირი არ უჩინქნე სიძინდს, ტაროს არ გაიკეთებს. ხალა, იცი, ყურძენს როგორ ჭკრეფენ ეტენი. ხესე რომ ვერ აღიან, დაარტყმენ ცუღს და ძარს დაუშვებენ ხეს.

მე არ დავიჯერე მეგრელის თქმული, კიდრე ჩემის თვალით არ დავრწმუნდი: მართლაც და რომ შეჭხედოთ ბოლგარებისაგან მოკლილს მამულს, მაშინ ჩემის მეზავრის თქმულს ნაციონალურს მძულვარებას არ დახბრალებთ. აფხაზეთის ბუნება ისეთი ძლიერი ყოფილა, რომ ხეც კი სამს-ოთხს წელიწადში უშველებელი იზდება და თუ ჰატარა ხანს კაცმა თავი მიაჩება ბაღახი დასჩავრავს და ბოლოს მოუღებს მთელს მო-

საკვალს. აფხაზეთის ნიადაგზედ განსაკუთრებით ერთი ბალახი
 ხარობს—გვიძრა, რომელსაც ნოტიო და თბილი ადგილი უყვ
 კარს. აი ამ გვიძრას აქვს დაჭკრილი თითქმის მთელი თავის-
 უფალი ადგილი და ამასთან უნდა იყოს ბრძოლაში კაცი, გი-
 საც კი სარჩოს მოყვანა უნდა. არც ის სასაცილო ამბავი გა-
 მოდგა ტყეელი, ყურძნის მოკრეფაზედ რომ მიამბო. აფხაზე-
 თის ტყეებში მრავალია მსხალი, ვაშლი, კაკალი, ლეღვი და
 უკვლასეოდ ძვირფასი არის ყურძნის ძაფელები. თვალაყვდო-
 მელს ძაღვს ხეებს ვაზები შემოჭხვევიან და თეთრისა და შა-
 ვის ყურძნის მტევნები კვლავად ჩამოიცილებიან. შემოდამ-
 ხშირად ერთის ხილამ მოკრეფედ გადადის ვაზის დიდროვნის
 ტოტები, თითქმის დევის მსგავს ხეებს ერთმანერთისკენ მკლას-
 კები გაუწვდენიათ და ერთმანერთს შემოჭხვევიანო; ბევრჯან ამ
 ბუნებრივს ხეივანს გზა სრულიად დაჩრდილებული აქვს. აი ამ
 ბაყილოებისათვის გამოუცხადებიათ რძი ბოლგარებს და რა-
 მელს ხეზედაც კი გაუჭირდებათ ასვლა და ყურძნის მოკრეფა,
 უწყალად ძიქსა სტემენ. ყურძნის ბაყილოები აფხაზეთისათვის
 ერთს სიძლიერის წყაროს შეადგენს და ასე ურჯულად მოქ-
 ცევა, რასაკვირველია, სასტიკად აკრძალული უნდა იყოს. მეგ-
 რელებს კი ხეზედ ასვლა რაგორ გაუჭირდებათ; რამწამს ყურ-
 ძენი შემწიფდება, იწებენ კატებსავით ცოცვას ბაყილოებზედ,
 ჭკრეფენ ყურძენს და საკმაოდ სასიამოვნო სასმელს ღვინოს
 სწურვენ. მეტადრე წითელი ღვინო არ დაუკარდება ქართლის
 ღვინოებს და ბევრად უკეთესია იმერულს მყავე ღვინოებ-
 ზედ.

*
*

უხვად მომცემი მიწა უხვად დაურეგებიათ ამ უცხო-ქვეუ-
 ნელებისათვის. ჰირველში თითო ბოლგარისათვის მიუციათ

სამოც-სამოცის დღისა და ეს მიწა ეხლაც კი, ათის-თორმეტის წლის შემდეგ მათს დასახლებისა, უნაყოფოდ ჰქმევს. ორის დღისას კი მოსწავენ, სიძინდს დათესვენ და ეს ორი დღისა, თუმცა არ არის რიგინად მოკლედი, მინც იმდენს საჭიროს ბძლევს, რომ წლითი-წლამდე ჰყოფინთ. ბოლგარები ისეთს აღვასა დგანან, რომ არ ეთქმით, მუტი რომ მოკიუჭანათ, სად უნდა გაკვიდართ. ორი ზემოხსენებული ბოლგარების სოფელი სოხუმიდამ ოცს-ოც-და-ათს კერსზედ არის და ურმის გზა კარგი მიდის იქამდის. სოხუმში აუთი სიძინდი სამაბანად, სამაბან-ურსათუნად იყიდება, ასე რომ შატრას გამჭრინახობა რომ ჰქმინდეს ამ ხალხსა, კარგს სიმდიდრეს შეიძენდა. მაგრამ რას შეიძენს, რომ ციებისაგან სრულებით დანე წართმეული აქვს და მხოლოდ იმიტომ მუშაობს რომ სიმშვიდით სული არ ამოუვიდეს.

* *

დასასრულ ჩვენ მივუთითებთ ორს უძთავრესს საჭიროებაზედ, რომლის შესრულებასაც შეუძლიან აიხანეთი ფეხზე წამოაყენოს და მისი ნიადაგი ააყვავოს.

პირველად აფხაზეთს ეჭირვება იმისთანა ხალხი, რომელსაც იმის მძლავრ ბუნების დამოწმობა და იმის ჰავის ატანა შეეძლოს. მაგალითად მეგრელები და თითონ აიხანები. აფხაზების ერთგულებაზედ ეჭვის შემოტანა ეხლა თითქმის შეუძლებელია. წარსულს ომში ისეთი გაჭირვება გამოარჩეს და ისეთი დღეები ნახეს ოსმალეთში გადასახლების შემდეგ, რომ თავის მიწა-წყლის გაშორებას აღარ მოინდომებენ და მშვიდობიანს ცხოვრებას აჩვენებენ.

ეჭირვება აფხაზებს გზები, რომ აურიცხველი სიმდიდრე, რომელიც იმის მამულში წევს რიგინად მოსმაძღეს ხალ-

ხსა. ესლას ურმის გზას მხლელად ღრმად - სამოც კეცსობით
 ითვლება მთელს აფხაზეთში და ისიც იმისთანა მდინარეებ-
 ზედა გადის, რომელიც არიან კელასური, კოდორი და ასე,
 რომელთაც დიდ - წყლობისას მრავალი მგზავრი უმსხვერ-
 ჳლიათ და შავის ზღვის ტალღებისათვის ჩაუბრებიანთ. ესლას
 ახრადა აქვს მთაწრობას გზის გაყვანა უზბანამდე და ზუგდი-
 დამდე სოხუმიდამ.

აი, ჩვენის აზრით, რაც ეჭირება აფხაზეთს და თუ ეს
 შეესრულდა, უკველია შემდეგში ისეთი ბედი მოეწიოს, რომ
 მელიც შენატრებათ კავკასიის სხვა კუთხეებს.

სისხლის აღება

(ამბავი ირლანდიის ცხოვრებლად).

მისს ლაჭინისა.

(თარგმანი).

იყო შაქსკევი—ბაზრის დღე გალტიტაუნში. ხალხი ჯგუფ-
ჯგუფად იდგა და ისეთს საშინელს სიტყვას და მტკრის კო-
ნიანტელში ვაჭრობდა, რომ ყველანი შერთო შესტკეროდენ
წმინდა ჭაქში მონაკრდე მერცხლებს. პოვოსკებში შებმული
ვირები, რომელთაც ბუზებისაგან საქმე გაჭირვებული ჭქონ-
დათ, მოთმინებით ელოდებოდენ, რომ მათ პატრონ დედა-
კაცებს დუქნებში ვაჭრობა გაეთავებინათ და ეყიდნათ თავიანთ
ქმრებისა და შვილებისათვის მთელთს კვირის ხორაგი. აქა-იქ
მოჩინდენ სოფლელების ცხენები პოვოსკებზედ გამობმულე-
ბი. მეთევზე ბლანეის ცხენი იდგა მიბმული მასტრის რა-
შის პოვოსკის ბოლოს. მისტრის რაში იყო ცოლი ჭერმე-
რისა, რომელიც გალტიტაუნის ახლო, მთაში მდებარე სოფელ-
ში, სცხავრებდა. ეს დედა-კაცი იჯდა ეხლა თავის პოვოსკის
გვერდით, მადიანადა სჭამდა ცალიურ გამხმარ ჰუქსა და თვალს
ადევნებდა გამეყელ-გამომეყელ დედაკაცებს, რომელთაც ხანდის-
ხან გამეყელაზანაკებოდა ხოლმე. დედა-კაცებში ყველაზედ მე-

ტად შესანიშნავი იყო იქაურის ჰასტორის ეკონომკა, რომელსაც მთელს ქალაქში პირველ მეჭორედ იცნობდენ. ბაზარში ის თავის ბატონისათვის წიწილების სასუიდლად მოსუდიყო.

— როგორც გინდა სთქვი, მისტრის მურჭი, — ეუბნებოდა ეკონომკა ერთს მოკატკე დედა-კაცს — მაინც წიწილებს მეტად ძვირად აფასებ. ეჭვს წიწილასში ხეთის შილინგის მოცემა როგორ შეიძლება. მისტრის რიღმა დღეს დილით რთხი გასუქებული მამალი ნახკვარ კრინად იყიდა.

— ქალ-ბატონო, — მიუგო მისტრის მურჭიმ, — ტყუილად რად იჩვენებთ. მე ჩემს წიწილებს ისევე უკან წავიყვან და გროშს კი ან დავუყვებ.

— კარგი, მე არ დავიშლი. ისევე უკან წავიყვანე.

ამ სიტყვებზე შეძვეტ მიუბრუნდა ერთს სხვა მოფლელ დედა-კაცს და მდაბალის ხმით უთხრა:

— მისტრის ადერნ, როგორ უნდა გაუბედონ და უთხრან კლიფორდებს, რომ ლაუდერი დღეს სალამოს ჰბრუნდება აქ თავის სახლის შატარძლით.

— დღეს ხალამოს! გაიკვირვა მისტრის აგერნმა: — ღმერთო ჩემო, შანსკეკს დაიწერა კვარი და შანსკეკსაკე ჰბრუნდებიან! ღმერთო შემინდე და მე არ მიხდა ვიყო ლაუდერის ალაგას, რომდესაც ჩარლი კლიფორდი იმას დანახავს...

ამ სიტყვასზედ მეზობელმა ხელი ჰკრა მისტრის აგერნს და სიტყვა შეაწყვეტინა. მისტრის აგერნმა მიიხედა რომის ურმისკენ და დაინახა მეთევზე ბლანკი, რომელიც ცხენსა ჰკმარავდა და თანაც პოლიციის მოხელეს ელაშანაკებოდა.

— ლაუდერი სწორედ სულთა-მსუთავია! შეჭვირვა ერთმა მოკუზულმა ბებრმა დედა-კაცმა, — ჩვენ დღეს უწყება მივიღეთ ჩვენის ქონის დაღლის თაობაზედ. ის ქონი ჩემის ქმრის

პაპისაგან არის აშენებული, რომელი წელიწადის იმის ჭერი თაკზედ გვაფარის და ესლა უნდა დავცალათ... მე... სული ამომივას... ჩემი შვილი, დეემსიც, ინგლისიდან ჩემ კვირას დაბრუნდება, რადგანაც სამუშაო ვერ უშოვია და ამისთანა უოფაში გარედ უნდა გამოგვეყარონ. შემომხედეთ ერთი; უწინ ასე ვიყავი? ერთ დროს წიწვასზედ კვირათბით საუთარის პოგოსკით მივიდოდი ხოლმე, შიითკადაც გეფერნანის სახლო, ბაში ასი სტერლინგი მივიტანე და იმისთანა დოშაკი, რომ ოთხმა კაცმა ძლივს შეიტანა ოთახში. ესლა კი აი ამ ძღვო-მარეობაში ჩაკვარდი; ბაზარში სამადლოდ მოვეყვარ მეზობლის ცოლს უბრალო პოგოსკით, რომელშიაც ვირი ახია ოს, ღმერთო ჩემო, ეს რომ ჩემმა ნათესავებმა იცოდნენ!..

— ეს... სწორედ... მერია... მერი... წარმოსთქვა ეკონომკამ ისეთის კილოთი, თითქო აგონდებოდეს იმ ბებერის დედა-კაცის სასული და ნამდვილად კი არ იცოდეს.

— დიას, ქალ-ბატონო, მე მერი ბრატოვ გახლავართ, მაგრამ გეფერნანს მიძახან.— მიუგო დედა-კაცმა.

რომელი წელიწადი ჰქვავდა ის ცოლად კონ გეფერნანს, მაგრამ თავის-თავს ჯერ კიდევ ბრატოვის სახლობის წევრად სთვლიდა, ის დიდის თავისით მიუყვდა პასტორის ეკონომკას, და ეკონომკამ კი გვერდზედ შეჭნუდა მას თავის ბატონის გამონაცვალს სთავალებით, რომელიც თუმცა ცხვირზედ ძალიან კარგად მოსვლოდა, მაგრამ თვალებზედაც კარგად მოსდიოდა, თუ არა, საუკულო იყო.

— რამდენი ვიღე შენს წიწვლებში? ჰკითხა ეკონომკამ.

— სამში თხუთმეტი პენსი, მიუგო მერი გეფერნანმა, — მე ისინი ბანკირის კანტორის გამგეს მივუდიე; ისეთი კრიყანგი რამ არის, რომ ჩვიდმეტი პენსიც არ მომცა.

— ისინი უკუვლანი მაგისტანს აჩიან! ერთბაშად წამოიძახეს
 იქ მდგომმა დედა-გაბებმა.

იმათ კარგად იცოდნენ, რისთვისაც მიჭყიდა მერიმ ხან-
 კირის კანტორის გამგეს სხვებზედ უფრო იათად. მიზეზი ის
 იყო, რომ მის ქმარს, კონ გეფერნანს, ეძარბა ხანკის გამგესი
 რც-და-ათი სტერლინგი და რადგანაც ღრმოდ ფულის გადახ-
 და ვერ შესძლო, მეორედ ექვსის თვის ვადა უნდა ეთხოვნა.
 იმ რც-და-ათის სტერლინგიდამ ზოგი მიწის მატრონი-
 სათვის მიეცათ ღაღა, ზოგი სიმინდის ფქვილი ეყიდნათ და
 დანარჩენით იმედი ჰქონდათ, ესლა მანც გადასახლებისაგან
 თავი დაესხნათ. უკანასკნელი ორი წელიწადი მეტად მოუ-
 სავლო იყო. მათი დაქორწილებული შვილი ინგლისში სამუ-
 შაოს ძლიერ ძნელად მოულობდა და იმათ ქალებსაც, რომელ-
 ნიც ნიუ-იორკში იყვნენ და რომელთ ნამუშაურისა უფრო მე-
 ტი იმედი ჰქონდათ, იმდენი არა რჩებოდათ-რა, რომ დედ-მა-
 მისთვის გამოეგზავნათ. ამათ ესლა მხოლოდ ერთი სურვილი
 ჰქონდათ: ხანკის კანტორის გამგესთვის ექვსი თვე კიდევ შე-
 ეტდევინებინათ.

— მე გავიგე, წამოხსთქვამისტრის აგერნმა, — რომ ღაუ-
 დერს ცოლის მზრთველი ოთხი ათასი გიჩვენეს სტერლინგი
 აუღია.

— ოთხი ათასი, განიმეორა ეკონომკამ: — ნამდვილია. მაგ-
 რამ ღაუდერს თავისიც ბევრი აქვს. ის წელიწადში ათას გირ-
 ვანქა სტერლინგსა მოულობს და შირველად კი შიშველ-ტიტ-
 ველი მოვიდა. უკუვამ რემად შეჭხედეს ერთმანეთს.

— ოთხი ათასი! წამოიძახა მერი გეფერნანმა გაკვირვებით,
 ოთხჯერ ოთხს მილიონზედა ლაზარაკობდენო. მანც იმან არც
 ათასების ანგარიში იცოდა, არც მილიონებისა.

— ოთხი ათასი! წარმოსთქვა დატინგით მისტრის აგერნმა: —
 მას უხლა იმდენი ექნება რომ შეუძლიან გადაუხადოს მერი
 კლიფორდს...

ერთს იქ მდგომ დედა-კაცს უნდოდა მისტრის აგერნი-
 სათვის პირზედ ხელი დაეთარა, მაგრამ გვიანლა იყო, რადგა-
 ნაც მისტრის რომა უკვლა გაიგონა და მრისხანედ შეჭყვიანა:

— რა? გადაუხადოსო? შენა სთქვი, მისტრის აგერნ, გა-
 დაუხადოსო! იცი მერე ეკ ვისთანაცა სთქვი? დედა-ჩემი კლი-
 ფორდის ქალი იყო! გადაუხადოს! აბა გაჭბედოს ფულის გა-
 მოგზავნა და ჩვენ სამაგიეროდ ცხელ ტუეიას გაუფგზავნით
 იმ წუეუესს, უნამუსოს...

— ამინ! დაიძახა მერი გეფერნანმა; რომელსაც ნახევარც აწ
 გაეგონა მისტრის რომის ნათქვამი.— მე ჰოვოსკაში ჩავჯდუ-
 ბი, უთხრა იმან მერე თავის მეზობელს, რომელმაც ბაზარში
 წამოიფიგანა.— ისე დავიღალე, რომ ძლივსა ვდგეკარ ფებსზედ.

ლაუდერი იყო მოურავი ლორდ-გოლტიმორისა, რომ-
 ლის მიწაზედაც სცხოვრებდა თითქმის მესამედი ბაზარში თავ-
 მოყრილის ხალხისა. ის ექნებოდა რომოცის წლისა, მოხდუ-
 ნილის და სასამოგნო სახისა. ლაუდერმა თავის გამრჯელო-
 ბით მიაღწია იმ მდგომარეობამდე, რომელშიაც იმ უამად იყო.
 კათოლიკების წესზედ მონათლულმა ამჯობინა პრეტესტანტე-
 ბის რჯული ფულის ინტერესის გამო. ჯერ იყო უბრალო
 მწერლად კანტორაში, მერე, როდესაც გამოიცადა, თითონვე
 გახსნა კანტორა; შეიძინა ფული და იყიდა პატარა მამული.
 შეიღი წელიწადია, წაგ ის ლორდ-გოლტიმორის მოურავად
 აწის. პირველად რომ ლაუდერი მოვიდა გალტიტაუნში, ლორ-
 დი იდგა თავის ხალ დიდს სასახლეში. შემდეგ ის სხვა-
 გან წავიდა თავის სახლობით და როგორც ეტყობოდა, აღარ

აპირებდა მალე დაბრუნებას. ეს თითონ ლაუდერს მოეხერხებინა, რომელსაც არ უყვარდა სხვის ბატონობა. ვიდრე გოლტიმორი თავის სოფელში იდგა, ლაუდერს დიდი გაკლენა ანა ჰქონდა და ამისათვის სცდილობდა რომელიღაც ლორდი თავიდან მოეშორებინა. ბევრის ცდის შემდეგ ლორდი გოლტიმორი მოიშორა და თითონ მის სასახლეში გამართა კანტონა.

ლორდი გოლტიმორი ანათრით არ იყო შესანიშნავი კაცი, მაგრამ ძეგმეურებს კი უყვარდათ იგი, რადგანაც ზდილობიანად იქცევოდა და იცოდა რა კილოთი უნდა ელაპარაკებინა ხალხთან. მაგრამ ეს ზდილობიანი ქცევა არ უშლიდა დაღის მომატებას იმ მიწებსად, რომელთაც ფასი ემატებოდათ. იმის მიწების საღალად ასაღებად პირობის წერილის შეკვრა სჭირდა არ იყო წერმეურებისთვის, რადგანაც სიტყვიერად ურიგდებოდა მათ და სიტყვიერადვე სელ-ნელა უმატებდა დაღს. ლორდმა გოლტიმორმა თავის უმაწვილობა ინგლისში გაატარა, სადაც დიდი კალები დაედო. უკანასკნელად ინგლისში ყოფნის დროს მას მოუვიდა ბევრი მრისხანე წერილები ძეგმეურებისგან, რომელს გამომც შინ დაბრუნება ველად გაჭებდა. შეიქნა თუ არა იმისი უფროსი შვილი სრული-წლოვანი, მამინვე მოინდომა მამამ კალების გადახდა და დააპირა თავის მამულის ერთის ნაწილის გაყიდვა. ამის გამო მოიწადინა მოემარტა ძეგმეურებისათვის მიწის დაღა, არა შემოსავლის გულისთვის, არამედ იმისათვის, რომ მამული მუტად გაყიდულიყო. ლაუდერმა ეს ამბავი არ იცოდა, მაგრამ სოფლელებმა კი მალე შეიტყეს და ამისათვის უფრო შესძაგდათ მათ მებატონის მოურავი.

ლორდ გოლტიმორს ისეზი კეთილი გული ჰქონდა, რომ

არ შეეძლო აეტანა ვისიმე უბედურება, შეტადრე უბედურება წარმომდგარი იმის მამულის დაღის მომატებისაგან და თავს არიდებდა. ჭაუდერი კი არ იყო ამისთანა. ნაზის გულისა, მართალია, ხშირად ხალხს კეთილის გულით ეჩვენებოდა, მაგრამ ხალხს არ უყვარდა იგი, როგორც გაიკურს და უეტრად მალდა-აწყული კაცი. ხალხს სიძულელი ჭაუდერმა უფრო იმითი შეიძინა, რომ ამტკიცებდა გლეხის გაუნათლებლობის საჭიროებას, ამბობდა, თუ გლეხმა სწავლა მიიღო, უსათუოდ სხვა თავის მოძმებს არ უყვარდა და მმართველობის წინააღმდეგი გახდებოდა. გოლტიმორის შეუღლებე ეთანხმებოდა იმას ამ საგანში, მაგრამ სხვებ კი ბევრი უთანხმოება იყო მათ შორის. ჭაუდი გოლტიმორი იყო კეთილის ხასიათის ქალი; თავის დღეში არავის აწყენინებდა და არც ბრჯის დაამდაბლებდა. თუ რომელიმე ჩვეულება ხალხისა მას არ მოსწონდა, მაინც არავის არ აგებინებდა თავის არჩნს იმ ჩვეულებაზე და იმზე აქტუვობდა, თითქო მოაწინებდა. იმისი თავისიანი ქტევა ხალხს ძლიერ მოსწონდა, ჭაუდერისა კი ეზიზღებოდა, რადგან ამ კაცს ცუდი ხმა ჰქონდა დაყრილი. ის მოვიდა გალტიტაუნში ცოლით, მაგრამ სამი წელიწადი იყო, რაც დაქვრივდა. დარჩა ერთი ბავშვი და სახლის მოსაგლეჯად მიიწვიო ერთი ხნიერი ნათესავი ქალი, რომელმაც მხოლოდ ორი წელიწადი დაჰყო იმასთან. მიზეზი იმის წასვლისა იყო სკანდალი, რომელიც, როგორც ბაზარში ლაშარკობდენ, უნდა ჭაუდერისაგან მეორე ცოლის შერთვის გამო მომხდარიყო.

ჰასტორის ეკონომკამ ბოლოს იყიდა მისტრის მურყის საგან წიწილები და იმსაკე გაატანა ჰასტორის სახლში.

— მე არ მიყვარს მურყის სახლობა, უთხრა ეკონომკამ ერთი იქმდგომ დედა-კაცს: — ხდილობისა არა გაეკებათ-რა. გახსოვთ,

რას სჯემე უყვეს ჰასტორს დან მუჩის ქორწილში?... არ გაგი-
გონათ? იქნება მართლაც! აი როგორ იყო: ჰასტორმა ერთი
სტერლინგი სთხოვა ჯვარის დასაწერი ფული. მეფეს კი ჯი-
ბეში ცამეტი შილინგის მეტი არა ჰქონოდა. დანმა სთხოვა ჰას-
ტორს, ცოტა მომითმინე, ვიშოვნი და შეგისრულებო. ჰასტო-
რს ხანს შემდეგ დანმა მოიტანა დანარჩენი ფული და შემდეგ
ჯვარის-წერისა გადასცა ჰასტორს. გინათ: იურცელი. დახედა
თუ არა იმ ქალად, ჰასტორს ელდა ეცა. თუმცე იმ შეჩვენე-
ბულს საყდრის კარებთან ჩამოკიდებული ჰასტორის წამოსას-
ხამი წაეღო, შვიდ შილინგად დაეგირავებინა და ერთი სტერ-
ლინგი იმით შესრულა.

— რა თავხედი და სამაგელი რამ ყოფილა! დაიძახა მის-
ტრის აგენმა. მისტრის რაშმა კი ამ ამბავზედ საშინლად
გადისარხარა. ის ძველი პრეტესტანტის სახლობისა იყო და
დან მუჩის ქცევა დიდად მოეწონა.

— ახად უქნია! წარმოსთქვა მდაბლის ხმით მერი გეფერ-
ნანმა, რომელსაც დანახა რომ მისტრის რაშს მოეწონა მუჩ-
ის ეშმაკობა.

— ის ეხლაც ისეთივე აკანაკია; ამბობდა ეგონმა: — ამ
დღეებში იმისთანა ჩხუბი ასტეხეს, რომ ძლივს გააშველას პო-
ლიციამ. დან ერთს თავის ნათესავს ცოცხლის ბატითა სცემ-
და და თს კიდევ ინდაურით იგერებდა.

— ინდაური ძალიან ნაზი რამ არის, ვერ აიტანდა მაგას;
წარმოსთქვა ღრმად ჩაფიქრებულმა მისტრის აგენმა.

— ლაუდრამ უნდა სულ გარეგოს ეგ გვარეულობა; მაგრამ
ის თავის დღეში იმას არ სჩადის, რაც საჭიროა.

— ოთხი ათასი აუღია მშითვალ! წარმოსთქვა მისტრის
რაშმა და ისევე ისე დაუბრუნდა ეგელასთვის სანტერესო სა-

განს.— ნეტავი ვიცოდუე, როგორია იმის ცოლი! თუ ემაწვი-
ლია და მაგდენი ფუელიცა აქვს, კაი ბედს შეჭყერია ლაუდერი.

— ემაწვილიც არის და ლამაზიც, — გესლიანად წარმოსთქვა
ეკონომკამ.

ეკონომკა არც ლაუდერს იცნობდა და არც იმის ცოლს,
მაგრამ უნდოდა უფრო მეტად შეემაგებინა ხალხისთვის ლა-
უდერი და ცუცხლსედ ნაკთი დაესხა.

— ჭო! წარმოსთქვა მისტრის როშმა: — მაგასთანა ხალხს
უოკელთვის ბედი აქვს. ერთი ნახეთ როგორა სცხაგროსა,
როგორი ცხენები და ძაღლები ჭყავს, რა მშენიერი კაბრილი-
ლეტი აქვს! ჯიბეებიც სავსე აქვს ფულით და არაფერს კი არას
აკეთებს. მხოლოდ ზის კანტორაში, იღებს შემოსავალს და
იჭნება ხანდისხან კი პატარა ბარათი დაბლაკნოს რამე.

ლაუდერი მშრომელი კაცი იყო, მაგრამ მისტრის როში
სთვლიდა შრომად მხოლოდ მინდორში მუშაობას, ან ერბოს
დღეებას სიცხიანს დღეში.

— ნახვამდის! წარმოსთქვა როშმა და ჩაჯდა თავის პოკოს-
კაში. გეიერნანიც დიდის გაჭირვებით, მთლად გაწითლებული,
ამერა პოკოსკაზედ. როდესაც გზას გაუდგნენ, გეიერნანს მო-
აგონდა თავისი გაჭირვებული მდგომარეობა, და რა დაინახა
გზის პირას პოლიციის მოხელე, მუშტი მიუღწერა და შეჭყერია:

— ეი, პოლიციელო, თუ წელს ჩემის სასლიდამ გამომაგ-
დებენ, იცოდუე ლაუდერს მოუკლავს არ გაკუშკუბ. პოლიციის
მოხელემ შეჭყედა დაუძღურებულს ბებერს დედა-კაცს, რომე-
ლიც ისე მრისხანედ უჩვენებდა მუშტსა და გადინარხარა. მის-
ტრის როშმა გასათუთხილებლად ხელი წაჭკრა, რომლის გამოც
მისტრის გეიერნანი დაეცა პოკოსკის ძირში ჩადებულ თი-
კაზედ და პატარა ხანს უკან დალაღულობისაგან მიიქინა.

სეთი მიღო ჭქონდნთ გასაკლადი საქმდის, სადაც მისტრის-
 რში და გუბერნიანი ერთმანერთს უნდა განშორებოდენ. ქა-
 ლაქიდაჲ ექსის ნასკვარსკედ გამოვიდენა დაქანტული ვირი წყნ-
 რად მიხანსალებდა, თუძცა ვი შინისკენ მიდიოდა. ხანდისხან
 ტვირთის შესამსუბუქებლად მისტრის რშია გადმოხტებოდა
 ხოლმე და ქვეითი აწიკვდა სააწიულს. მისტრის გუბერნიანს კი
 ტუბილად ეძინა, მზე ხასული იყო, როდესაც რომა უკოლს-
 გა შეაჩერა. გუბერნიანს გამოეღვიძა და უკოლსკიდაჲ ჩამოვიდა.

— ღმერთმა ჩემდაგვიერთ სიკეთე გადაგინადოს, კეთილფ-
 სულა! — წარმოსთქვა მერი გუბერნიანმა და მოვიდა სასვე ტო-
 მარა აუკვილით, რომელიც ბასარში იყოდა.

- ხასკამდის, მერი გუბერნიანს.
- მადლობელი ვარ ნაც სიკეთისათვის, მისტრის რში!
- მადლობა დაწინაღობის. ხასკამდის.

წარმოსთქვა თუ არა ეს, მისტრის რშია გაუტლადმუ-
 ხა ვირს შოლტი და შინისკენ გაემგზავრა. მუც გზასუდ მუ-
 რი გუბერნიანს თავისი ქმარი დასკვდა, რომელიც მიელო-
 დებოდა. ის იყო მოსუტუბული ვატი, ძლიერ გამსლარი, სა-
 სუსუდ ეტყობოდა, რომ სშირად აკად-მყოფობდა. ცოლმა რომ
 დაინახა თავისი ქმარი დასდო მიწასუდ ტომარა, მოაწმინდა
 ორივე ხელით ოფლი და უთხრა:

წიწილები გაყვიდე ოჭ, რამდენი ხაღნი იყო! აი თამ-
 ბაქოც მოგიტანე ვონა ოჭ, რა მძიმეა ეს ტომარა. გზასუდ
 სული ამომივიდოდა, იმ კეთილ დედა-კაცს რომ უკოლსკით
 არ წამოკეფანე.
 სთქვა თუ არა ეს, მოვიდა ტომარა და შინის-
 კენ გასწია. ვონამ მოუვიდა ჩაბუსს და წინ გაუძღვა, მერი
 ძლიერ მისდევდა თავის ქმარს და თანაც აწიკვებოდა უღაპრად.

კებოდა. ეგულა მისკდებოდა იმ აჩქარებულ ლაშარკებზედ, რომ კარგი ამბავი არა მოეტანა-რა თავის ქმრისათვის და უნდოდა იგაკებით მიესხებინა.

— მისტრის რაშმა თავის ერბოში ათი ჰენსი აიღო. მშვენიერი ერბო იყო. იცი, კონ, ტომარა ძლიერ მძიმეს! მისტრის აგონმა თავის შვილისგან წერილი და რჩი სტერლინგი მიიღო. აწერებს თურმე რომ ნიუ-იორკში ვარა, წერილი კი ბრუკლინიდან არის მოსული. აგონის გაარყულობა თავის ღლეში მართლად არ იტყვის, თურმე კვირასი თორმეტ დოლარს იღებს.

— თორმეტ დოლარს კვირასში? ეგ რჩი სტერლინგი და ათი შილინგი მოდის, წარმოსთქვა მოხუცმა. — ნეტავი მეც უმადწილობისას ამერიკაში წავსულავიყავ. — თქონდაში იყავი, მერი?

— ვიყავი, მაგრამ წერილი არა არის-რა.

ამ ლაშარკში ისინი მიუახლოვდნენ თავიანთ ქოხს, რომლის კარების წინ კრუხები წიწილების ნაგავსა ჰქვედნენ. მერმ გაჭყანტა ქათმები და შეაღო კარები. შიგ ქოხში სიბნელე სუფთავდა. მერმ აიღო ხმელი თეჩხი, ხელით მიანგრავ ერთ მხარეს ნაცარი, შეუკეთა მუგუხლებს და განაღო ცეცხლი. მერე მივიდა ერთ კუთხეში, სადაც სამ-თეხიანი ქვები იდგა, აიღო ხელში და წავიდა წყალზედ. გარეცხა ქვები, ნახევრად წყლით გაავსო. შეიტანა შინ და დასდგა ცეცხლზედ.

კონი იყო ჩამომჯდარი კარის წინ და ჩიბუხსა სწევდა. როდესაც ჩიბუხში ცეცხლი გაუქრა, შევიდა ქოხში და ცეცხლის ნაპირას ჩამოჯდა. სამ-თეხიან ქვებში წყალი კადრად დუღდა; მერმ ჩაჭყარა წყალში ფქვილი და კოვზით აურია. აზრიალებული ცეცხლი ანათებდა ღარიბად მოთოულს

ქონს, სადაც ერთ კუთხეში ეწეო ექსიოდე ჯამი, ორი ლიტ-
რა და ჩამაკებული ჩაინიკი, რომელსაც ტუჩი მომტყრეული
ქონდა.

— როგორ გაჭყიდე წიწილები? ჭკითხა კონმა.

— ოთხ შილინგად და ექვს ჰენსად. სამი წიწილას დოქსს
მიყუიდე თხუთმეტ ჰენსად.

— მეჩე არაფერი არ დაგაბარა?

— როგორ არა. მითხრა: ტუეილად ნუ გაიჩქება და აქ
ნუ მოკაო, ამღვრეულის ხმით წარმოსთქვა მეჩამ. კონმა ამ
სიტყვასედე ჯერ ცოლს შეხედა, მეჩე ჩაჭკიდა თავი და მწი-
რედ ამოიოხრა.

ფაფა ქვებში დუღდა. გაჩაღებულმა ცუცხლმა ნელ-ნელა
წაშალა დღის სინათლე და მოჭფინა შუქი მოხუცებულის კა-
ცის ჭაღარა თავს და მეჩის გახუნებულს წითელს შალს, რომ-
ლის წვერითაც იწმენდა იგი ჩაცვიანულ ლოყებზედ მომ-
დინარე ცრემლებს.

მისტრის რომს მეჩისთან გაშორების შემდეგ კიდევ ორი-
მილი უნდა გაეარა. კარგა დაღამებული იყო, რომელსაც ის თა-
ვის ფერმას მიუახლოვდა. ორდობეში შემოყვარა მოზდილო-
გოგო, რომლის კაბის წვერი ეჭირა. ხელში ოთხის წლის
ბავშვს. ბავშვი ფეხ-შიშველა იყო. მხე-მოკიდებულს სახეს
უმშვენებდა ოქროს-ფერი ხუჭუჭი თმა.

— დედა, დედა! დაიყვინა ბავშვმა და შუა გზასედე მოკოს-
კას წინ გადაუდგა.

— ჩამოდექი, ლაწიარაკო! დაუყვინა მისტრის რომში.

— ხმელი-ხილი რა უყავი? ჭკითხა ბავშვმა და თან დახ-
ტოდა მტვერში.

მისტრის რომში, როგორც ეტყობოდა, ძლიერ დაღა-

ლუდიუო და ამისათვის ბავშვს ისე მრისხანედ გამოეყენებოდა. როდესაც იმის საუკარელოდ შეიღმა კენიამინმა მოაგონა დაპირებული სმელი-ხილი, რომლის უიდეაც ბაზარში დახარკვის დროს გადაავიწყდა, ძალიან გაჭკავრდა:

— ხმელი ხილი! როგორა ჭებდავ და მთხვ ხილსა? ნორა, რატომ ბავშვს აქამდის არა სძინავს?

ბავშვი გაკვირებული შეჭყურებდა თავის დედას, რომელიც თავის დედაში ასე მრისხანედ არ მოქცეოდა.

— ნორა, შენ სულ გაუფუჭე ხასიათი კენიამინს! ტომ, დაუძახა მერე თავის ქმარს: — მოდი, პოგონკა თავის ალაგას დადგი.

ამ სიტუვასზედ წინ წამოდგა ძალია, მოსული კაცი, რომელმაც იმ წამსვე აღასრულა თავის ცოლის ბძახება.

იმათ სახლს ეტყობოდა, რომ ისინი ღარიბნი არ იყვნენ. ბოსლის კარებში მოსჩანდა ორი ბხრ ბოძთან მიბმული. ძროხები სძროდენ ბაღასს იქვე მიხდორზედ. ქონის უკან კარტოფილი და ქერი იყო დათესილი. გუბეში ბატები იწუნწკლეობდენ. ღობის ძირას ინდაურები, ქათმები და იხვები დაეძებდენ საკენკს. ეზოში ბაღასი მუხლამდის იყო ამოსული და ალაგ-ალაგ ბავშვებისაგან დატკეპნილი. ნორას გარდა რომსა ჭყავდა ორი ქალი და სამი კაყი. უფროსები სასწავლებლებში იზღებოდენ; თითონ რომში კი თავის დედათა და ცოლით ოჯახს ეგლიდა.

როში იყო ზარმაცი და უთაური; უგლიდა მამულს მამა-პაპურად, ორს მეზობელთან ერთან იხარებდა გაზეთს «Free man» (თავისუფალი კაცი) და მუდამ იმას ჭკითხულობდა. წლისა და წლის თავზედ ისდიდა მიწის ღაღას და ხმას არ იღებდა, როდესაც მებატონე ამ ღაღას მოუმატებდა ხოლმე.

ჟერ რჯერ მიემატა მიწის პატრონს ფერმის ქირა და მესამედს ელოდებოდენ მიმატებას. რომი პატრიკას სტედა ლორდ გოლტიმორს მაგრამ ლაუდერი კი არ უყვარდა, რომი, სასაკიროკელია, თავის ეროვნების მომსრე იყო და ხშირად დიდოდა იმ ყავახანაში, სადაც მისი მეზობლები თავს იყრიდენ.

ეს არ მოსწონდა იმის ცოლს. თუძვა კი არა იცოდა-რა იმ შეკრებილებაზედ, და არც ის, თუ რაზედ ლაშარაკობდენ, მაგრამ მისკედრილი კი იყო.

კარებთან მისტრის რომს მიეგება დედამთილი ხელში ცომის ზელოთ.

— კარგა დაიგვიანე, მერი-ანა, წარმოსთქვა დედამთილმა:— მე კიდევაც ბულების გამოცხობას ვაპირებ. ტომს უნდა ვახსმადი ადრე ჭამოს, რადგან ყავა-ხანაში წასუფას აპირებს.

ამ სიტყვასზედ ორივემ ერთმანეთს შეჭხედეს.

— სახლი ამბავი რა იფი? ჭკითხა დედამთილმა.— მისტრის კონორმა შემოგვიარა ბაზრიდამ. გეფერანანის შვილი იმ კვირისა შინ დაბრუნდება, სამუშაო ვერ უშოგნია თურმე და როგორცა სჩანს, მათ ფერმიდამ გარეკენ. მერი კლიფორდი გუშინ კორკში წაიყვანეს და იქილამ ამერიკაში გაგზავნიან.

— მე, როგორცა ვხედავ, თქვენ სახლი ამბები ყველა შეგიტყვიანთ.

— ლაუდერსზედ და იმის ცოლზედ რაღას ამბობენ? ჭკითხა დედამთილმა, რომელმაც ლაუდერის გარემოება თავის მძალზედ ნაკლებ არ იცოდა.

— რაღაც ამბავი მოხდება! წარმოსთქვა მისტრის რომმა.

— დიას, დიას! მიუგო დედამთილმა. დღეს ბაზარში არც ერთი კლიფორდი არა ყოფილა. მაგრამ ეს გასაკვიროკელიც არ

არის: საწყლები იმალებიან; ლაუდებს დღეს მოჭყვას თურქე
თავისი ცოლი.

როდესაც მისტერ როში შინ შემოვიდა, ცოლმა წერ-
მით ჭკითხა:

შენ დღეს ყავა-სახაში რა გინდა?

მისტერ როშიმა ხმა არ გასცა, მხოლოდ მოჭყვა ზუ-
ზუნით რაღაცა ნაციონალურის სიმღერას, ვიდრე ბუღკი გამოც-
ხვებოდა. ვასშმის შემდეგ ააღო ქუდი და გავიდა გარედ.

ბნელადა, როცა როში გამოსცილდა ორღობებს და
დაადგა შარ-გსას. დღისით მზისაგან გაცხელებული ჭკერი
ბლომად ჩამოცვივებულ ხმს გაეგრილებინა. გაიანა თუ არა
რამოდენიმე ნაბიჯი, მოესმა:

— როში! ეი, როში!

— ჩარლი, შენ აქ მიტდიდი?

— ჭო, დღეს სად იყრიან თავსა?

— ბრუეთან იქ იქნების ჩვენი მეზობლები და ქალაქიდან
მოსულებიც. მაგრამ გესმის, ჩარლ, ხმა გაიკმინდე. ფენტონ და
გაინსიც იქ იქნების. უფთხილდი... საშიშია.

— გარწმუნებ, ტომ, წილის-ყრის ნებას არ მოგცემთ... მე
უნდა მოგვკლას, მე... ამას ვერაჟინ ვერ დამიშლის.

— კარგი, სუფელთ, ნუ ცხარობ. შენ არავინ არ გეცილე-
ბა მაგრამ რად გინდა, რომ დაგიჭირონ. ნუ დაგვიშლი, წი-
ლი ჭყარონ და შენ მე, ბრუეთს და კონონს მოგკენდე. გა-
ინსმა და ფენტომმა არამცა და არამც არ უნდა იცოდენ, ვის
იქნება მინდობილი ეკ საქმე. ჩვენ ყველას მოვასურსებთ.

— ოს!... მაშ ვიდევ მეორედ უნდა შევიყაროთ ამ საქმი-
სათვის... გუთიცები, ერთი კვირაც არ გავიჯდის...

— დამშვიდდი, ჩარლე, გასწვევტინა სიტყვა როშიმა, — უო-

ველასტერი ისე მოხდება, როგორც გსურს; მაგრამ რად გინდა, რომ თავი გაიფუტო? ან ეველამ არ უნდა ვყაროთ წილი? განა ეველას არა გვაქვს მიხეზი სიმულვილისა? კონარის და გევერსანის სახლობასაც მამულადამ გამოარეკას არ უზიარებენ?!

— იმათი საქმე და ჩემი ერთია? უზარებსა ვმადწვილმა-კაცმა. როშმა ზახუხი არ გასცა და რჩივენი განუებულნი მიდიოდენ.

მალე ყავა - ხანამდინაც მიაღწიეს. ყავა - ხანა ეკუთვნოდა შიტერ ბრუფს, რომელიც ჰატოხსან და სვინიდისიან კაცად ითვლებოდა. იმის ყავა-ხანაში ცხრა მიწის მეპატრონის სიკვდილი გადაწვეტილსა და ის გადაწვეტილებანი ასრულებულან კიდევ.

როში და ჩრდი კლიფორდი ეველასზედ ბოლოს მივიდნენ. ყავა-ხანა ხალხით სავსე იყო. იქ იყვნენ უბრალო მუშები, მდიდარის ფერმერების შვილები და კაი შეძლებულებიც. ბევრს მათგანს ძილი ეკიდებოდა, რადგან ის იყო ყანის მკა გაეთაკუბინათ ჭ ძალის დაღაღუღიყვნენ. სულ რამოდენა-და-ათ კაცამდის იჭნებოდა. თითქმის ეველანი ჩიბუხსა სწევდენ და ფანჯრები რომ ღია არ ყოფილიყო, საშინელი სიტყე და ბოლი იდგებოდა. ყავა-ხანა რჩის ლამპით იყო განათებული. ერთი იქ მყოფთაგანი იჯდა მუხის სტოლთან და სწერდა წიგნში ნომერს იმ პირებისას, რომელნიც იქ იყვნენ მისულნი. ის იყო სეკრეტარი იდუმალის სიზოგადლებისა. როში და კონარნი მოუსხდენ სტოლას. კლიფორდი ჩაფიქრებული იჯდა კუთხეში. ეს სამნი და ყავა-ხანის პატრონი იყვნენ მოთაჯენი იდუმალის სიზოგადლებისა.

— უკანასკნელ ყრილობის შემდეგ, წარმოსთქვა სეკრეტარმა: — მეთვრამეტე ნომერმა შემოიტანა რც-და-თხუთმეტი ში-

ლინგი, რომლის სამი მეოთხედი, როგორც ჩვენი წესდებულება მოითხოვდა, გაიგზავნა დუბლინში. ამას გარდა ორი წიერი კიდევ მოგვემატა.

— დაგწევალათ ღმერთმა თქვენცა და თქვენი წესდებულებაც, წამოიძახა ჩრდი კლიფორდმა: — მომეცით მალე თოფი, რომელსაც დამპირდით.

— გაჩუმდი, ჩრდი, ნუ გვიძლი, უთხრა რომმა: — მაგასაც მოვესწრობით.

— აი თოფი აქ არის, მაგრამ ჰევი გი არსადა სჩანს, დამახს ვიღაცა კაცმა, რომელიც მოშორებით იჯდა. — ნეტავი ვიცნოდე, ვის უნდა გადავცე ეს თოფი. მთელი დღე თან დამაქვს. დილით ამოვიღე იმ ადგილიდან, სადაც ჩაფლული იყო და კარვად გავსწმინდე.

ამ სიტყვების შემდეგ თოფი მიიტანა და სტოლზედ დასდო. ყველანი შეაჩერდნენ თოფს, რომელიც ქონით მალზედ იყო გაწმენდილი. რომმა გაიშვირა ხელი და რომ უნდოდა აეღო, იმ დროს კლიფორდმა ხელიდან გამოსიტაცა ისეთ რიგად, რომ ყველას ყურადღება მიიქცია.

— ჰევი მოვა? იკითხა ვიღაცამ.

— არ ვიცი, ფენტონ, მიუგო სეკრეტარმა ხმა-მალა: — დღეს ბლანსიმ მითხრა, ჰევი ჩრდიკვილში წავიდაო.

ჰევი ერქვა გლეხს, რომელსაც კორკში ერთი მებატონე მოეკვლა. ის იყო კარგი თოფის-მსროლელი, ბევრი ჭიჭირობდნენ, რომ ამ ხელობით ის თავს ირჩენდა. იმისი თავი მმართველობისაგან ორი ათას სტერლინგად იყო დაფასებული, მაგრამ მკვლელი არსადა სჩანდა; დანიშნულ თუფს ხუთი წელიწადია საჩუქრული ზედ ემატებოდა, და როგორც ეტეობოდა, იმ თუფის ამღები თავის დღეში არ გამოჩნდებოდა.

შეკის სახლობა სცხვრობდა გალტიტაუნში, შატარს ქუჩაში, სასამართლოს უკან. ის სშირად ნახავდა რომელიღაც დღისინაც კი თავის სახლობას.

სეკრეტარმა, ბრუემმა და რომმა ფენტონის კითხვასედ ერთმანერთს შესადაც, რადგანაც იმას ვაშუშობას ვხვდებოდნენ უნდოდან იმისთვის გზა და კვალი აკრიათ. რომმა ხელი ჭკრა კლიფორდს გაეთხილებს იმხანად. კლიფორდმა მოუთმენელად თავი გაიქნა.

— უკვლავიერი რიგით უნდა მოხდეს, განაგრძო სეკრეტარმა:— წილი ვუარეთ.

— ტომი გეიგონანის ჰასწერეთ, რადგან ერთხან კვირის უკან ისიც დაბრუნდება. თუ გამოვიტყუთ ამ საქმედამ, დიდად ეწყინება, — დაიძახა ერთმა ტომის მეგობარმა: — ამ შენიშვნის შემდეგ ჩაიწერა კიდევ ოცნა წევრის სახელი, რომელნიც შეკრებილებასში არ მოსულიყვნენ. სეკრეტარმა დაიწყო ნომრების წერა შატარ-შატარს ქადაგებზედ. ვიდრე ამას გაათავებდა საზოგადო ლაშარაკი შეიქნა.

— განა მართალია, წარმოსთქვა ერთმა ამერიკულად კილარს მიქტევით: — რომ ღორდ გოლტიმორს უნდა მომაკაღს წელიწადს თავის მიწები ხელმეორედ დააფასებინოს იმ დღეს, რა დღესაც იმისი უფროსი შვილი სრული-წლოვანი შეიქნება.

— ებ მე ვიცი, რასაც ნიშნავს, წარმოსთქვა რომმა: — აღბად უნდა მოგვიძატოს ლაღა მიწის გაყიდვის წინად. ერთხელაც ეგრე მოიქცა; მას უკან თხუთმეტი წლიწადი იქნება. ის არწმუნებდა თავის ფერმერებს, მითამ უბრალო ფორმისათვის უმატებდა ჭიჩას და არა ფულის ინტერესისათვის; მაგრამ იმ წელიწადსკი მიჭყიდა ის მამულები ერთს ინგლისელს, რომელმაც მიწის ჭიჩას ერთი გროშიც აღარ მოუგლო. ხალ-

ხნო, ამისთანა ქცევას ბოლო უნდა მოჰყუდოთ... ამისთანა ობ-
ნები ჩვენთვის საშიშია.

— ბრუო! დაიძახე სეკრეტარმა:— ზორტერი მოიტა.

— ახლავე, მიუგო ყავა-ხანის პატრონმა, რომელიც იმ ქა-
მად სხვებს ემსახურებოდა.

— შენ ამბობ, რომ გეოგრაფი იმ კვირის დაბრუნდება, წარ-
მოსთქვა ერთმა უმაწვილმა-გაჯმა, რომელსაც ჯერ ხმა არ ამოუ-
ღო:— რადგან ის გლისში სამუშაო ვერ უშოვიან? იმისი ცო-
ლი კაპიტან კროფორდთან მიუშაობს და კიდევ გამოუცხადეს,
თუ ფუფს არ გადისდით, მამუღილამ გამოგიყვანთო. მკრე
საიღამ უნდა გადაიხადონ, რომ არა ახა ახადიათ-რა!

— გადაიხადონ! წამოიძახა სეკრეტარმა. — გადაიხადონ კი
არა!... მთელი მთის ეკრემერები ყელამდის კალებში არიან ჩა-
ვარდნილნი. ტვინის-მწოკველს უნდა თორმეტ სახლობას სული
ამოაწოკვას, რადგანაც იმისი ოთხმეტრი სტერლინგი მართებთ.

— ეკ. ყოველთვის ეგრა, როდესაც ვატი კაფს იღებს, იმ
წამსვე თოკს ყელში წაუჭერენ, წარმოსთქვა იმავე ამერიკელის
კილოთი მოლაპარაკე პირმა და მივიდა სტოლთან.

ის იყო უმაწვილი-გაჯი ოც-და-რვა წლისა, სახელად კას-
სიდი. ყოფილიყო ამერიკაში, სადაც ახალ-გაზდობის მოთა-
ვედ ითვლებოდა. რადიკალობას ჩემობდა და ლაპარაკში ხმა-
რობდა სხვა-და-სხვა ტერმინებს. მდაბალს ხალხს ჰროლეტა-
რიატს ეძახდა. კაპიტალი და შრომა, ურთი-ერთთან თანხმო-
ბა და მონობოლია — იყო ხშირად მისი სალაპარაკო საგანი.
თავის დღეში კვლესიაში არ დადიოდა და მთელი სამღვდე-
ლოება საშინლად ეჭავრებოდა. უმაწვილ-გაჯობა გულ-მოდგი-
ნებით უბღებდა ყურს იმის ადტატებულს ლაპარაკს, რომელსაც
ისე მჭკვრ-მეტყველობით არა ჰქონდა გავლენა, როგორც სი-

მართლის განცხადებით. ის თავის დღეში არაყს არა სვამდა. იმას ესწავლა ჩქარი წერა და უნდოდა ყურნალისტი გამხდარიყო; ჭკნაენიდა სტატიებს სხვა-და-სხვა გაზეთებში. ამას გარდა კარგად ჭკითხულობდა ლექსებს და თავის დროზედ ჩაუერთავდა ხოლმე ლაშარაკში საუკეთესო პოეტების ნაწარებს. ამით მოხუცებულ მუშებს მოაგონებდა ორატორებს ნორჩის ირლანდიისას და ზოგიერთ წარსულ ამბავს. ამის გამო კასიდის თან-და-თან ემატებოდა გაკლენა მუშებში. ხალხი ცუდს დღეში იყო და ისიც ამ საგანზედ ელაშარაკებოდა. ეკელა ფერმერები ზ მუშები ეკლამდის კალში იყვნენ ჩაფლულნი, ფულს კერსად შოულობდენ, თუ არ დიდის სარგებლით. ეკელასა ჭქონდა მიზეზი უკმაყოფილებისა და ამისათვის დიდის ყურადღებით უგდებდენ ყურს იმის მკაცრ სიტყვებს.

სეკრეტარი ამ ყრილობისა იყო დახლიდრად ერთ მედუქნესთან, რომელიც დიდის სარგებლით ასესხებდა ხოლმე გლეხობას ფულსა ზ, იმას ბლომად ჭქონდა თამასუქები. რასაკვირველია, მოკალეები ვალდებულნი იყვნენ იმისაგან ეყიდნათ საქონელი. ამ ნაირ გაჭირვებულ მდგომარეობიდან როგორ გამოვიდოდენ გოლტიმარის მოურავის სიკვდილით, არ იცოდნენ, მაგრამ ამ გვარი ჩვეულება ჭქონდათ ჩანერგული ზ ამ გვარივე შურის-ძიება იცოდნენ ნაციონალურ სიამაყის დასაკმაყოფილებლად. ლაუდერი თერთმეტის წლის განმავლობაში მამულის პატრონის მოურავი იყო ზ თავისუფლად უმატებდა მიწის ქირას იმ ფერმერებს, რომელნიც თავიანთ ქოხს ან ერთს ოთასს მიუშენებდენ, რომ თავიანთი მოზდილი ქალები ძმებისა და მუშებისაგან გაეტალკებებინათ; ან თუ ჭაობიან ადგილს ნაყოფიერ მამულად აქცევდენ. თუ რომელიმე ფერმერი დასტოვებდა თავის ნაქირაკებ მამულს, იმის სამაგიეროდ დასაყენებელ შირს მოურავი მალე

შოულობდა. თავის დღეში იქ მიწა შეუშუშავებული არ დარჩებოდა, რადგანაც მამული ძეიერი იყო. რა უნდა ექნა ხალხს ამ მდგომარეობაში? კანონი არ იფარავდა იმათ ინტერესს. თუ გლეხ-კაცობა სასამართლოში იჩიულებდა, რასაკვირველია, ტყუილად დროს დაჰკარგავდა, რადგან მოსამართლეებდ თითონ მიწის პატრონებივე იხსდენ.

მაშ აქამდის რატომ არ მოჰკლეს ლაუდერი იმიტომ რომ, როგორც ხალხური ანდაზა ამბობს, საზოგადო საქმე არავის საქმე არ არისო.

კასიდი ახსნიდა ამ მოკვლენას იმით, რომ ხალხში ანტი-ცარტორი, საქმის დამწეები არავინ იყო. როდესაც ჩარღი კლიფორდმა ლაუდერის მოკვლა მოინდომა თავის დის გაუშატიურების გამო, ვეუელს მაშინ მოაგონდა მისი დანაშაულობა თითოეულ მათგანთან და ვეუელამ მოითხოვა სისხლის აღება. ვეუელამ კი ნამდვილად იცოდა, რომ ჩარღი ლაუდერს ცოცხალს არ გაუშვებდა, იმის მოკვლას არავის დანებებდა და წილის-ყრას სრულებით საშიში არ იყო.

— ლორდი გოლტიმორი არ იყო ურიგო მებატონე, წამოიძახა კონორმა:— იმასთან კაცი მორიგდებოდა: ის თავის დღეში ფერმერებს არ უშლიდა მიწების დაყოფას, არავის არ სდევნიდა, იღვა თავის მამულში და ღარიბებს სამუშაოს ამჟღავნებდა.

მართალია, კონორს ამ საიდუმლო საზოგადოებაში პირველი ადგილი ეჭირა, მაგრამ რადიკალი კი არ იყო. ის იყო კაი მუშა-კაცი და თავის დროზედ იხდიდა მიწის ღირსს. კითხვა და წერა კონორმა არ იცოდა. ლორდი გოლტიმორი პარტიკულარულად მას, რადგანაც ერთხელ, როდესაც გზაზედ შეხვდა და შემთხვევით ჰკითხა: «იცი თუ არა წერა-კითხვა?»

შესუსად მიიღო: «აჩნ, მილელო, მე არც წერა ვიცი, არც კითხვა და რომ მცოდნედა, კიდევ, რა სარგებლობას ვნახავდი!»

— რა ბრწყინებელი სარტ! წამოიყვირა უცებ კასსიდომ: — თქვენ კმადღიერებით მებატონეს იმიტომ, რომ სამუშაოს გაძლეეთ, როდესაც ისინი უნდა გამაღიერებოდნენ, რომ მუშაობთ. ჭკვა-მძიმე მონებო! თქვენის აზრით მებატონეს უნდა ჭკონდეს ნება ღორებსავით გაგყიდოთ და გიყიდოთ! ის დრო დიდი ხანია წავიდა. თქვენ კი კაცნი არა ხართ!... თქვენ აძლეეთ ნებას კალაცა სამართლის კუდაებს თქვენი თვე გამდიდრდნენ და თქვენვე პირობებისათვის მოგეტყვენ. ვინა ურთან, ერთი მითხარათ? ვინ მისცა იმათ შაგის უფლება? ან თითონ გოლტიმორი ვინა ბძანდება? იმის წინა-შარი გრომკელის ოფიცერი იყო ღ ღორ-დობა იმიტომ მიიღო, რომ დუბლინში შარლანტის გაუქმების დროს დაესძარა. იმათი მიწები უწინ ოქლეტებს და ეკლესიას ეკუთვნოდა. ჩამდვილნი მთლობელნი ირლანდიისა გოლანტში განდევნეს. საეკლესიო მიწები ხალხს ეკუთვნის და ოქლეტების მამული კი უნდა იმათ ჩამომავლობას დაუბრუნდეს.

— დიან, დიან, დაემოწმა რაში.

— ირლანდია ირლანდიელებისა არის, განაკრძო კასსიდომ: დრო არის განთავისუფლდეთ ინგლისელების ხელთაგან, რომელნიც მთელის ქვეყნების შემოსავლითა სარგებლობენ და თითონ კი არას აკეთებენ. ერთი ხანეთ, რამდენი ნიუ-იორკში, კალიფორნიასში და სხვა ამერიკის ადგილებში მოგროვილი ფული, ინგლისელების ხელში გადადის ღალის სამაგიეროდ. გუფერხანის ქალები ნიუ-იორკიდან უგზავნიან მოხუცებულ მამას ფულს ღალის გადასახდელად. უნდა დასვა ღალის ფერმაში, დაწყებინო მიწის შემუშავება, ღალაც გადასდევინო და თითონაც თავის ოფლით აცხოვრო! რაში მუშ-

ჩიანებთან მოუწავებთ, მიწის შეპატრონეები, მანი'ატრები, თი-
რან დედოფალი! მე ვკვლას იმით გუთანსუდ, დუაფრადი და
თავიანთ შრომით მრავალეუბიანებდი სასდლას.

— ზო, შრომით, პატრონის შრომით, დაუძტანს ციყვა
ტენტონმა.

ის, როგორც ეტუობოდა, ვკვლასუდ, გულ-მოდტანედ და
თანატრმობით უტდებდა ყუფს გასსიდის. მეორე ჯაშუში, გა-
ინსი, სრულებით მთკრალა იყო, რადგან ანაყრედ დაეპატოი-
ნა. ოთხი ყავა-სანის სტუმარი, რომელნიც ცუდის თვალთ უტ-
ქეროდენ მას. მაგრამ ჯაშუშების აწავის ეშინოდა. დეე, წი-
სუდრეჭენ და მიეტანათ ეს მოსამართლის თუტყ, ან პოლი-
ციის უფროსისათვის, რომ ესა და ეს ამ გაცის მოკვლას აპი-
რებსა. ვის უფრო დააკლდებოდა ამითი პოლიცია მოკვლას
ვერ დაუშლიდა და მოკვლის შემდეგ ვერც მოკვლელს გამ-
ანენდა და ვერც დანაშაულს დაუბტვიტებდა. არა თუ მანტო
ეს ჯაშუშები აბეზდებდენ მთავრობასთან შემთქმელებს, თი-
თონ ბრუიცი ვისრულობდა ხშირად დაბეზდებს, რომ ყავა-
სანის შენსვის უფლებს არ წართმეოდა. პაიდუძლო საზოგა-
დოების წევრთ ეს კარვად იტოდენ, მაგრამ არავინ არ ატსა-
დებდა სამდურავს. რაც შეესებოდა ლაუდერის სიკვდილს, ეს
საზოგადოების საქმე არ იყო, მაგრამ მოთავეებმა — რომმა,
ბრუიცი, კონორმა და სეკრეტარმა ეს საქმეც საზოგადოებას
მოახვიეს, რომ კლიბორდისთვის სული გაემართნათ და სი-
ოფათისაგან დაესხნათ.

— ქადაგდები მხად არის, — სთქვა სეკრეტარმა და ხაჭუა-
რს ქუდში ერთი მუჭა დასორსოლავებულ ქადაგდებისა, რომ-
ლებსუდაც სომირები ეწეა.

ვეკვამ თითო ქადაგდი ამოიღო. სხვაგან მეოფთ მს-

გიორგად, საზოგადოების მინდობილობით, რომი იღებდა და იმანვე ჩქარა გამოაცხადა რომ წითელი ჯვარი სამოც-და-მეორე ნომერს უზისო. ბედმა გეგერნანსკედ მიუთითა. კლი-ფორდმა ზღვის სახესკედ ხელები აიფარა. ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა და მოჭყენენ მთქნარებას; ეტუობოდა შინ წასვლა ეჩქარებოდათ.

— ის აქ რჩებათს, ან სამშაბათს იქნება, სთქვა რომმა და სესე წამოდგა. — ერთის კვირის უკან ჩვენ კიდეკ შევიურობით და შესანიშნავს ას:ლს. ამბავს გავიგებთ. მინამდის კი მშვიდობით, ღმერთი იუოს თქვენი მფარველი!

უკანასკნელ სიტყვებს განსაკუთრებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმათთვის, ვინც იცოდა საზოგადოების საიდუმლოება და ორს ჯაშუშს მასინვე შემოესხია ექვსიოდე მარჯვე უმაწვილი-კაცი, რომელთაც შინამდის გააცილეს აგინი და მოუსპეს ღონის-ძიება — მასინვე დაეუზღებინათ პოლიციისათვის ყავა-ხანა-ში დაჩენილი მოთავკენი საზოგადოებისა.

ყველანი რომ წავიდ-წამოვიდნენ და თქვის სმა შესწყდა შოლის, ბრუთმა ჩაჭკეტა ყავა-ხანის კარები.

— აბა, ჩარლი, უთხრა კონორმა: — საქმე კარგად მიდის. რომ შარასკვეს აქ იყრილობა აღარ იქნება.

— კლიფორდ, დაუმახა სკერეტარმა: — აილე პატრონები და ეს თოფის ბუდე. მუ სხვებს გავუვები უკან; ამით უფრო გსას დაკუბნევთ.

სკერეტარი საჩქაროდ გავიდა გარედ.

— ჩარლი, უთხრა ბრუთმა: — მომავალს შარასკვეს გარტ-სკრიპის ეკლესიაში კაცებს აღსარებას ათქმევინებენ. დაუდერი ყოველ-დღე სადილს უკან ბაღში გამოდის სიგარის მოსაწე-ვად. შინ ხომ იგი ის თხრილი, რომელიც ბაღიდან მოვიდუ-

ბული კართოფილის მინდვრამდე მიდის. იქ შუაში იწინაა ჩვენი
 ღრმავებული ალაგია სწორედ ლაუდერის კარებას შიდა-შიდა
 ჩემი ბიძაშვილი იმასთან მოახლოვდა სისხლად და ასე მთხრან სწო-
 რედ შვიდის ნახევარზედ გამოდის ბაღში იგივე რაიასა — თუ
 უცებ გადაჭრებს, წყალში გახვალ — სომ იცნ თონი სადაც
 ამ შემოდგომასეულ თევზს ვიჭერდით — და სხიქაროდ იჭრე-
 დობს შეუდგები, მაშინ თუნდა ასე კაცს დავაფიცებთ, რომ
 ლოცვის დროს ეკლესიაში იყავი. ნურაფრისა შეგეშინდება.
 იქ სულ ჩვენები იქნებიან.

— წესი დაუმატა რომა: — მეც კარგად ვიცი ის თხრობა
 ბუნების იმის წინ და თანხრობიდა: არა სხანსა საუდამდის
 იქილამ შვიდის მიღის მეტი არ არის. მაგრამ იცოდე ჩანლი
 სასძელი გემოთ არა ჩახო. თონთან ერთი შეგობარე დაგხვდე-
 ბა და გიშეულის თერდობზედ ასეცხს.

კლიფორდს მაგრად ეჭინა ხელში თონი და ყურადღებით
 ისმენდა მეგობრების ლაპარაკს. ღამშვები გამქალაიყვნენ და მხო-
 ლოდ სანთლის ალი ბუჩუტადა გუთხეშინათასში მძიმე სუ-
 რი იდგა. რომელსე კარგად შექეიფიანებულნი იყვნ და კადევი ის-
 ხავდა ბოთლიდამ არაყს.

— იცი, თონით არსად გამოჩნდე, უთხრა იმან კლიფორდს
 და თვალბ უყრ.

— მაშ სად წავილა? იკითხა მოუთმენელად კლიფორდმა.

— შე მომეცი აქა, თონი, ბუდეც, მიუგო ბრუემს: — პატ-
 რომები კი შენ წაიდე. მე მაგას მშრალს ალაგას შევინახავ.
 თხრობაში, იქ იპოვნი.

— თუ მოგიტყუილებივარ, კი შენს დღეს, — წამომასა
 კლიფორდმა და დაუნდობლად გაუშვა ხელიდამ თონი.

— ნუ გეშინიან, უთხრა ბრუემს, გამომართვა თონი და

შესდრეკებულნი შუა გამოტენილს თიჯში: — აი აქ იდრს მას-
კისკევამდის.

— კარგს ჩავდივართ ამახს მეტე?! წაბუტბუტა კონკრძა.

— კარგს ჩავდივართ! გაიმეორა ბრუფი: — მას რა გქნათ,
ერთი მითხარნი? მარტო შიშით შეიძლება იმათის ჯავრის ამოყ-
რა; თორემ ყუჩსაც არ იბერტვენ, გველეჯვენ და გვცარცვენ
უწყალოდ.



დანიშნულს დღეს, ესე იგი, პირველს მარსკევს შემდეგ
საიდუმლო საზოგადოების ყრილობისა ბრუფის ყავა-ხანაში,
ჩაჩქეს კლიფორდის ნელის მხაბიჯით მიდიოდა გზა-გზა იმ ადგი-
ლის ახლო რამდენიც ლაუდერის სადგურის გვერდით იყო.

მიუხსლოვდა წაბლის და ცაცხვის ხეებს, მიუხვია მინ-
დვრებისკენ და ღობის ძირში სიარულით, ცაცხის წუთის შემ-
დეგ, მიაღწია იმ თხრილამდე, რომლის ახლოც კართოფილი
ეთესა და ჯრთხილად მიიხედ-მოიხედა. კართოფილი დასრუ-
ლებულნი იყო და მარშხანას ამოღებას უპირებდენ. კლიფორდს
ჩაღამაც მოაგონა ეს გარემოება, დილით ვიღაც ბებერის დე-
და - კაცისაგან ნაამბობი. ლაუდერს ის დედა - კაცი დღეში
რვა პენსად დაეჭინა.

კლიფორდს მოაგონდა დედა-კაცის სიტყვები და შესცქე-
რდა დასრულებულს კართოფილს. ადგილი კარგა დიდი ეტი-
რა და მოსავალსაც კარგი ჰქონდა. ნაცრის-ფერს მცენ-
რეულობაში აქა-იქ მოსჩანდა ყაყჩოს ალის-ფერის ყვავილები;
მინდორს ზემოდამ ჰეპელები დაჭურვისავდენ, კვლებში დასტო-
დენ ყვავები და იმალებოდენ მურყნის ხშირ ბუჩქნარს იქით.
კლიფორდმა კარგად გააჩნია წინა-მხარე ლაუდერის სადგურისა,
ეს იყო ძველი დიდი შენობა, გალესილი უვითლად და მარ-

უალი წერილი ფანჯრები ჰქონდა. ხანი თეთრის კრამიტით იყო დახურული. ორსავ მხარეს დიდის დაფნის ხეები იდგნენ და ჰფანჯრადენ მოსამსახურეების სადგურს; მოსჩანდა მხოლოდ ნახევარხედ გაღებულ კარი სჯჯინიბოლი. ქვიშა-მოყრილი ეზო გარშემორტყმოდა სახლს და დიდ შესავალ კარებთან დაეკრ-გოთ ყვითელი ვარდი და სამხასი. კარგა მოხდილი ბაღი კარ-თოფილის მიხდვრამდე თავ-ქვე დაშვებული იყო. ერთ-ერთს უწინდელს მიფლობელს ეს ბაღი იტალიურად მოეწყო; მაგრამ დროთა-ბრუნვისა გამო კიბის გვერდით ქვის მოაჯირი ერთ მხარეს ჩაქცეულიყო და ყვითელი ვარდებიც თან ჩაქცანა.

ლაუდერი აზირობდა მალე აქედამ გადასახლებას და ამიტომ ბევრს არას დასდევდა ამ შენობას. კარები ღია იყო და დერეფანი მოჩანდა. კიბეზედ ასალი ხალიჩა დაეკრთა, მაგრამ თითონ კიბე კი დაძველებულიყო; ფანჯრებზედ ასალი ფარდები ეფანჯა, მაგრამ თითონ ფანჯრებს კი საღებავი გადასვლოდათ.

სამინელი სიტხის ბუდე იდგა, თითქმის ყველა ფანჯრები ღია იყო და გახურებულს ჰქაერში მოისმოდა ბუხებისა და კრასანების ბზუილი. მთელი თხუთმეტი წუთი კლიფორდს მოკეცილი იჯდა და შესავალ კარებსა და ფანჯრებს თვალ-შეუცვლელად შესცქეროდა. ეზოში დაძველებულმა საათმა დაჰკრა ეჭვისი. ეს მწუხარე ხმა კლიფორდს რამდენსამე ხანს ყურებში უბუჟოდა და თითქო რაღაცა უბედურებას მოასწავებდა. გავიდა კიდევ რამდენიმე წუთი. ალაფათის კარები გაიღო და მადლებმა ყეფა შექქნეს. ლაუდერი დაბრუნდა, თუ მუშები გავიდნენ? კლიფორდს კრიჭა შეეკრა და გასტერებით შესცქეროდა კარებს, არავინ არ გამოჩნდა. იქნება ლაუდერი შინ უკანა კარებიდამ შევიდა. კლიფორდს იქ აღარ ედგომებოდა; ის

პირ-ჩვე დაეძხო, ხოსკით შეუკან მინდოებს ღმადეკან თხრილ-
 ში. მუხლებითა და ხელებით გაჭყყა ამ თხრილს და არ აქ-
 ცკვდა ყუქადლებას არც ჭინჭარს, რომელიც უსუსხავდა ხე-
 ლებს, არც იმის გნკშემო მსტომარე ბაყაყებს. რამდენსამე
 წუთის შემდეგ საშინლად დაღალული იწვა გულ-აღმა ღრმად
 თხრილში, რომელიც ბადისა და კართოფილის მინდოებს შუა
 იყო. იმან მალე იპოვნა თოფი მაღახუბის ქვეშ რიდასივ სო-
 რში შენახული. თოფი სრულებით მშრალნი იყო. გამთილო
 ბუდიდამ, გასტენა და მოხილნ გვერდით. დაჭკდა საათს: იყო
 თორმეტი წუთი შვიდის საათისა; კიდევ ოცი წუთი უნდა
 ედოდა.

მხოლოდ ეხლა იგონდა, რომ საშინლად ცხელია; რამე
 თმა დასუკლებოდა და შუბლზედაც თოფი მოსდიოდა. გმოფ-
 ლო ჯიბიდან ხელსახოცი, მოიწმინდა სახე, გვერდზედ უდაბ-
 რუნდა და დიდ ხანს უძრავად იწვა. უეტყად წამოხტა, და-
 ნება თავი თოფს და მიხოსდა იქვე ხესთან, რომლის უკანაც
 შექმლო ამოფარება. აქ შექმლო წელში გამართულიყო და
 მინც ვერაინ ვერ დაინახა. ხელა გასწდა შტოები და შე-
 აცქერდა სახლს. იმის პირ-და-პირ პუჩის საჭმელ რთახის ფან-
 ჯრები იყო, მაგრამ თითონ რთახი ვე კარვად არა სხანდა. აი-
 ერთს ფანჯარაში თეთრს თავშალი გამოჩნდა. ეს გოგო უნდა
 უფაილიყო. კლიტორდი ფანჯრებს თვალს აღარ ამოკრებდა,
 სუნთქვა შეიძარა და შტოები გაწეული ეჭინა. შტორს ხანს
 უკან ვიდაც მიუძღა მეორე ფანჯარასთან, რომელსაც ფარდა
 ჭკონდა. ჩამოიარებულნი, მაგრამ არ იყო მირამდის დასული
 და რაღაც თეთრი გამოჩნდა; ფარდა ხელა აინხდა და კლი-
 ფორდმა დაინახა ქალი თეთრს ტანისამოსში. კლიტორდი და-
 აკვირდა ქალს: ის იყო მალაღის ტყნისა, კარგი წამოსადეგი.

გულზედ ვარდები ჭქონდა გაკეთებული. ეს ლაუდერის ცოლი უნდა ყოფილხყო. კლიფორდი სასტიკად უყურებდა მას. ის იყო ხანჯ-გაზდა, ლამაზი და ქერა-თმიანი. ქალმა უკან მიიხილა. ამ დროს იმასთან მივიდა ლაუდერი და თანჯარა გააღო.

საშინელი წყევლა ამოუვიდა კლიფორდს გულში და იმ დროს რომ ხელში თოფს სჭერდა, რომეცა მოჭყვდავდა. ლაუდერი და იმისი ცოლი მოშორდნენ თანჯარას. კლიფორდმა დაუშვა შტოები, ჩახტა თხრილში და გამოაჩინა ტუბისაგან ჯამბაჯები და კბილებს. რამდენსამე წუთის შემდეგ ის ისევ თავის ალაგას დადგა, ხის უკან. უელში თითქმის რაღაც მოკბუნისა და საშინლად მოსწყურდა, მხედველობა სრულებით აურია. დრო მეტის-მეტად ხელს გადიოდა. იმან მიუგღო ყური, მაგრამ ამარღ; სახელში სრული სინემე იყო. მხოლოდ უცნაურად გარკვევით მოისმობდა ფურცლების ბზუილი უჭვილებში, ჭრიჭვიანი მერცხლებისა, რომელნიც თავიანთ ჭერებში (გაკეთებულ ბუდეებს) დაჭხროდნენ და თანაბარ ჭრიჭინი ხმელს ბადახში გასკვეულ ჭრიჭინასი. უეტრად ამოვარდა ნიკო, შეანძრია ფოთლები და მათმა შრიალმა ხსე შესძინა კლიფორდი, რომ მას შინვე ჩახტა თხრილში. გაიარა ერთმა წამმა, კლიფორდი ალაგა და წავიდა იმ ადგილას. სადაც თოფი დასტოვა. თხრილის ნაპირზედ კვლის ბუჩქები იდგა. ძნელი იყო დამალვა, მაგრამ კლიფორდმა მანც აიღო თავი და შეისიდა სახლისკენ.

ჭარბში იდგა ლაუდერი. ის იყო ლამაზის სახის კაცი, მაღალი. ჭქონდა შავი თმა და სქელი წვერები. ტანზედ მონადირეების სერთუკი ეცვა და ძალიან შეეხიდა. ისა სწყევდა სიგარას. ერთს წამს კლიფორდმა დააკლო თოფს ხელი და გასდო ხეზედ. ამოიღო ნიშნში და თითიც მხად ჭქონდა ჩახმანხედ დადებული; ამ დროს ლაუდერთან მიიხიბნენ იმისმა

პატარა ვაჟმა და რაღაცა სთხოვა. საშინელი წამი იყო. კლიფორდმა გაუშვა ხელიდამ თოფი, პირსედ ხელები დაიფარა და მეტის-მეტის ტანჯვისა და გაბორბულებისაგან მწარედ ამოიკენეს, შუბლზედ ცივი ლაღი გამოასკდა და გარკვევით გაიგონა, რომ ლაუდერმა უთხრა თავის შვილს: «წადი, წადი იმასთან». ბავშვი შინ შეიჭრა; ლაუდერი პირში სიგარით გამოვიდა ხელში. გავარდა თოფი, ლაუდერი შეჭვრათა და დაეცა პირ-ჭკე თავის კარებზედ.

კლიფორდმა იმ წამსვე მიატოვა თოფი და გაიქცა თხრილის გასწვრივ; ხოხვით მივიდა მინდვრამდე, ელვასავით გაიბინა იგი და ღობე-ღობე გაიარა მდინარემდე, გასისხლიანებულმა და ტანისმოს-ჩამოფხრეწილმა ჰენჭრისა და კელებისაგან ძლივს მიაღწია წყლის პირამდე. ფრთხილად მოიხედა უკან; არავინ არ მოჩანდა; კიდისივ ძროხა სვამდა წყალსა და გაუთხა მისი თევზის ხმისეოდ. კლიფორდი მიიჭრა ფონთან, გაიხადე წაღები, ზემოდ დაიჭირა და შეტრავა წყალში, რომელმაც მეკრდამდე მიუწია. გაჩერდა და ცხარედ დაეწია წყალს. მკრე დაიბნა ანუ-პირი და ხელებიდან სისხლი მორიყცხა. მკრე ნაპირას რომ გავიდა, დაჯდა და წაღების ჩაცმა დაპირა, უცრად ხეების უკანიდამ კიდაცა გამოვიდა და დააკვირდა მას. კლიფორდმა გულ-მოსუღმა შეუკურთხა, ეს იყო მკრე გეორგინის შვილი.

— მოკლწრობო, უთხრა იმან კლიფორდს და მიაწოდა ანა-ყით ბოთლი.

— კლიფორდმა უცხად დასცალა და მიაგდო ბოთლი. გეორგინას გაეცინა.

— ბუნებრივს წაჭკეკე, ჩარლი, და საუდარძო უკანა კარებიდან შედი იქ ჟიულანო გელანს.

— უიცი, კიცი, დაწუეგლეს ღმერთმა, მომშორდი! აწავინ დაგინახოს.

— ჩემი ჯაგრი ნუ გაქვს, უზასუს გეფერნანმა. — მაგრამ შენ რა დაგეძრათა, თითქო გეშინიანო?

კლიფორდს მთელი სსკეული უგანკალებდა და ტურებოკდ დუეი მოსდიოდა; იმან ციმართა ხელი გეფერნანისკენ, თითქო დარტყმას უზირებსო, მაგრამ იმ წამსვე გიყსავით მოტკურცხლა მინდგრისკენ.

ჯემს გეფერნანმა ახლო ბოთლი, ჩაიდო, ჯიბეში და მივიდა წყლის ნაპირას იმ ალაგას, სადაც კლიფორდი გამოვიდა. ფეხის კვალთ სრულებით არა სჩანდა და კლიფორდის ტანისამოსისაგან ჩამოწუნწკლული წყალიც ბალახს შეეშრო. კლიფორდს კიდევ ხუთის მილის გაგლა მოუნდებოდა სიტსეში და ამ დროს ტანისამოსი მოასწრობდა შესწრობას და თუნდა არ შესწრობილიყო, მაინც კერავინ რას შეამჩნევდა.

მზე ჩასული იყო და დამურებიც დაჭურინავდენ სასაფლაოზედ, როდესაც დაღალულ-დაჭანცული კლიფორდი შევიდა გარტყერების საუდარში. კუთხეში ათამდის ძლოცველი დინოქილნი იდგნენ. სრული სიჩუმე სუფევდა; ტრაპეზის წინ პატარა ლამპა ბუუტავდა. პატერი გათედრიდამ ჭქადაგებდა ღ იქიდან ურუდ მოისძოდა იმისი ხმა. კლიფორდი მივიდა ტრაპეზის წინ, დაეცა მუხლის თაკებზედ. ეგვლა თვალს ადევნებდა მის ზოგმა ერთმანერთს შეჭხედეს. რამდენსამე ხანს ის უძკავად იყო; ტურები უგანკალებდენ. მერე წამოდგა და შორს კუთხეში მივიდა, დაეცა ძირს და იდო ისე უგრძნობლად, კიდრე სხეებმა არ გამოიყვანეს.

გეგეჩნანი დაიჭირეს, როგორც ბრძოდებულ დაუდუ-
 რის მკვლელობაში, რადგან იმის დედამაჲ ეძღუებოდენ და
 უდურს. მაგრამ იმან წარმოადგინა მოწმეები, რომელთაც ფი-
 ცის-ჭკეპ აჩვენეს, რომ ის მთელი საღამო საყდარში ზედად
 სარკების სათქმელად და თავი განითავისუფლა. მასუგან კლი-
 ფორდი დაიჭირეს, მაგრამ ისიც იმავე მოწმობის ძალით გან-
 თავისუფლეს. ამ გვარად სუთასი იჭრანკი, რომელიც დაუდუ-
 რის მკვლელის დამჭერს დაენიშნა, მიემტაც სიძახლბს ფულს,
 უსარკებლად შენახულს დუბლინის ციხეში.

თეატრი,

I

ახალი მოთამაშეები.

რადგან ჩვენი ცხოვრება — შეუყენებელი მოძრაობაა, ამიტომაც ვინც წინ არ მიდის, ის უეჭველია უკან ჩამორჩება; რაც დღეს მოსაწონს საქმედ გვეჩვენებოდა, იქნება ხვალ არათვრად ჩვეაგდოთ, რადგან მეტს მოკვლადღოთ და საქმე კი ერთს ადგილას გაჩერებულა.

ეს უბრალო ჭეშმარიტება მოგვკარგუნდნა ხოლმე, რაც ჩვენს აქტიორებს კურცქერით. ჰირკულში ხშირად დავდიოდით თეატრში და გულ-წრთელად ტაშს ვუვრავდით ყოველ სიტყვას, რადგან მათში ვხედავდით ნიჭს და კეთილ საქმეს; გაჩნდა ორმა-სამმა წელმა და გრწმუნდებით, რომ იმათ დაკვიანთ ნიჭი საკმაოდ არ შეუმუშავებიათ და კეთილ საქმეს უმეტრად და უბრალოდ ეკიდებიან.

აი ნამდვილი მიხეზი იმ გარემოებისა, რომ ჩვენ ჩვენი თეატრი მოგვბეზრდა. ზოგნი ამბობენ, სულ ერთნი და იგივენი თამაშობენ და იმიტომ ადარ გვეხალისება თეატრში სიარულიო. მაგრამ ეს შემცდარ აზრად მიგვაჩნია. სხვა ქალაქებში, ხშირად ერთი და იგივე აქტიორები ათს, თხუთმეტს, ოცს წელიწადს ერთსა და იმავე სცენაზე გამოდიან და

თან-და-თან უფრო აყვარებენ თავს ჰუბლიკას. გინდ მაგალითად ავიღოთ მოსკოვის თეატრი: ამ ათიოდ წლის წინად, დიდი ხნის განმავლობაში, პირველ როლებში მხოლოდ შუმსკი, სადოვსკი, ყივოკინი, სამარინი, აკიმოვისა, ჭედოტოკისა და ნიკოლინისა თამაშობდენ და მოსკოვის ჰუბლიკა იმათ თამაშობისაგან უოკელთვის აღტაცებაში მოდიოდა, რადგან ესენი ერთს ადგილას კი არ იდგნენ გაჩერებულნი, — ახალს როლებს თამაშობდენ, ახალს ამჟღერს ირჩევდენ, ძველს როლებს აუძვობესებდენ, ისწორებდენ თავიანთ თამაშობას და ბოლოს თავის საკვირველ სელოვნებით ასე აოცებდენ მაყურებელს, რომ ეს ერთსა და იმავე პიესის შესატყურად ზედიზედ ათჯერ-თხუთმეტჯერ მიდიოდა, (მაგ. ლიუბიმ ტორცოვი — სადოვსკი, ან სკაპინი — შუმსკი); ამ პიესის-გამქორებაში აქტიორები ისვენებდენ და დროს პოულობდენ უფრო კარგად შეესწავლათ ახალი როლები.

მკითხველს, რასაკვირველია, შეუძლიან მოშიგოს, რომ ჩვენი ჰუბლიკა — მცირე ჰუბლიკაა. მოსკოვში და სხვა ქალაქებში სულ სხვა-და-სხვა ხალხს შეუძლიან საინოვო და ჩვენში კი სულ ერთნი და იგივენი დაკვირვებულნი. მაგრამ კითხვა ამის მთქმელს ესეც მოიგონოს, რომ სხვაგან ეგრე ძლიერად არ იცვლება ხალხი თეატრში, როგორც გერმანია. (ამას გვიმტკიცებს გავრცელებული ჩვეულება აბონემენტის აღებისა) და ამის გარდა ქართველი ჰუბლიკა, თუნდ ერთი და იგივე იყოს, ეგრე ხშირადაც არ დადის თეატრში, რომ კარგი თამაშობა მოჰბერდეს; ქართული წარმოდგენა კვირაში ერთხლის შეტად ძლიერ იშვიათად იმართება.

ჩვენს აქტიორებს თამაშის გაუმჯობესობა დიდად არ ეტყობა! ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელიც დამტკიცებას არ მოით-

ხოვს; ყველაზე აშკარად პიესის გამეორებაზე სჩანს: მეორედ და მესამედ ნათამაშეკ პიესას თითქო უფრო სუსტად თამაშობენ, კიდრე ახალსა. მხოლოდ ერთს მოთამაშეს შევატყუებ სსსიზმოვნო ცვლილება. ბ. კ. მესხა, რომელიც ამ ორის წლის წინად თამაშობდა იმერლის და ზოგიერთ ქოდევილურ როლებს, უხლა ეჩვენა პუბლიკას დრამატიულ როლში, პიესაში «შეშლილია». კ. მესხმა თავის ახალი როლი ზოგ ადგილს კეთილ-სინიდისიანად და ხელოვნურად აასრულა, მაგრამ, თუ-ცა ამ აქტიორის სამშლაკ-გარედ გასავსავსად გაიმართა კონცერტი და ორი წარმოდგენა, მაინც ის ერთის წლის სწავლის ან დასკვნების შემდეგ, ორი თვის განმავლობაში მხოლოდ ერთს როლში გვეჩვენა (ორს უაწყა ვოდევილში როლს არ განგარიშობთ) და ნება გვაქვს ვთქვათ, რომ არა გვეჩონდა შემთხვევა დიდი რამ წარმატება შეგვემჩნია ამ აქტიორისათვის. ეს არის მიზეზი, რომ დიდის სიამოვნებით მოკვლადით ყოველთვის ახალს მოჩამსშეებს. პირველი დებიუტი ერთი ბ. ხერხეულიძისა. ის თამაშობდა «ყვარულზე ათაბაგი» წყნარ, ყოველად მომთმენ, საყვარულს ქმრისგან დატანჯულ ცოლს და «შეშლილიაში» იმგვარსავე როლს. სუსტი ხმა, უნერვიის ნაკლებეკანება თამაშობაში, გვგონია, ვერ მისცემს სიხარულს ახალ აქტიორისათვის ითამაშოს ძლიერი დრამატიული როლები, მაგ. «სამშობლოში» ქეთევანისა, ან «ორს ცაცხლს-შენში» მათილ-დასი. მაგრამ ქართულ რეპერტუარში ბევრი მცირე დრამატიული როლია სხვა-და-სხვა კომედიისა და ეს როლები შეეფერება ბ. ხერხეულიძის ნიჭს; მაგ. «შემოსწავლიან ადგილში» ვიშნევსკის ცოლისა, «პეპოში» კეკელი, «დახურულ ოჯახში» მაიკოსი, ან შემოსწავლებელი როლები «ყვარულზე ათაბაგი» და «შეშლილიაში». ამ გვარ როლებისათვის სხვა აქტიორისა არა

გაყვას; კომიგური მოთამაშეები ამ გვარ როლებში ან გაცინებენ, ან გვამინებენ და ბ. სურსეულიძის დეკლამაციას, თუძისა კი შექაქტოს, ყოველთვის სიამოვნებით გუგავთ უურს.

გვიკვირს, როგორ გამოუშვეს პირველად სტენაზე რუსიევის ქალი ისეთ ძნელ დრამატიულ როლში, როგორც ახანისა სუნდუკიანცის 'კიდევ ერთს მსხვერპლშია'. მოდებიუტეს არ ეტეობოდა სრულებით სტენიური ნიჭი, და გინდაც ჭკონოდა ეს ნიჭი, ვერ გამოიჩინდა იმას, რადგან პირველ გამოსვლას ედევ ისეთ როლს ათამაშებდენ. ამ გვარ დაუდგენლობით რუსისოცნის შეუძლიან გული გაუტახოს სხვებსაც, რომელთაც სტენაზე გამოსვლა სურთ. მართალია თამაშობით ვერაფრად გვასიამოვნა რუსიევი-უორჩიბოვის ქალმა, მაგრამ თავის სახით და ტანადობით შეუძლიან ცხოველი სურათები (და არა 'ცოცხალი სურათები'), დაამშვენოს. ეს სურათები ქართულ წარმოდგენებზე ორჯერ გაიძარცა და ორჯერვე ხელოვნურად. რა კი როლები დასწავლა უძნელდება ჩვენს თეატრის დასს ახალის უაზრო ვოდვეილების მაგიერად ისევ ამისთანა სურათები გვიჩვენოს ხოლმე.

შველასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პუბლიკაზე ალექსეევ-მესნიევმა. ეს პირველად გამოვიდა 'შემლილიაში' ვიღაც ქართულუტა ძიანტის პატარა როლში, შემდეგ 'დაქცეულ ოჯახში' თამაშობდა უმთავრეს მომქმედ პირს — თავადს ინდოს, რომელიც იტანჯება თავის ცოლის ღალატით. ამ დრამატიულ როლში გამოიჩინა ახალმა მოთამაშემ ნამდვილი ნიჭი; იმის გრძნობიერი, ელექტრიული ხმა, იმის სტენის ცოდნა, ბევრჯერ დაავიწყებს მათეულებელს, რომ ის თეატრშია. 'დანგრეულ ოჯახის' წარმოდგენაზე ბევრი ატირა ჩვენს ქალები და თავის მონოლოგებით საკმაოდ გაათბო ჩვენი ცივი,

ცალიერი თეატრი. ამის შემდეგ ეს აქტიონობა თამაშობდა მიხეილის როლს «კიდევ ერთ მსხვერპლში»; ეს როლი ახალ-გაზდა კაცისა, რომელსაც უყვარს დედ-მამის წყალობით დაშორებული ახანი და რომლისაგანაც შეეკარებუღია, — ნაკლების ხელკუნებით იყო ასრულებული. აქ ცხადად დაეტყო მოთამაშეს ისეთი ნაკლულებანება, რომელიც უეჭველად თავიდან უნდა აიშოროს, თორემ ნიჭი კერას უშეკლის და იმისი მნიშვნელობა გაქარწყლდება. ეს ნაკლულებანება არის: 1) ქართულის ენის, ან იქნება როლის უცოდინანრობა. სუნდუკიანცის პიესაში ის ხშირად შეხერხებოდა ნახევარ სიტყვასე, ან ნახევარ ფრასესე, ენა ებმოდა და დრამატიული მონოლოგები შუა უწყდებოდა. 2) ხშირად მიჭბამავს ხოლმე ცრუ-კლასიკურ იქს და მეტის-მეტად სენტიმენტალურად, ან ტრაგიულად დაზანაკობს; უამისოდაც გრძნობიერი ხმა აქვს და ძალის დატანება საჭირო აღარ არის.

ეს ნაკლულებანებანი რომ აიცილოს თავიდან აღექსევე-მესხივემა, შესაძლო იქნება ჩვენს სცენასზე დრამების წარმოდგენა. იმის მისერა-მოხერა, შესედულობა, ხმა, სცენის ცოდნა, ნიჭი ნებას აძლევს ახალ-გაზდა მოარშიყეთა როლები ითამაშოს. კარგი ჭკუა იხმარა ბ. მოხევემ, რომ ამ როლებს დაანება თავი და ესლა-მოხუცებულებს არდგენს. ახალ-გაზდა კაცის როლებში იმას აკლდა სიცხოველე, მოძრაობა, გრძნობა, ბებერს კი თამაშობს დიდის სინამდვილით (ბრილიანტოვის როლი, «კიდევ ერთ მსხვერპლში»).

უკანასკნელი რჩევა კიდევ ახალს მოთამაშეებს: ვთხოვთ, ნუ ენდობიან ვერაგ ტაშის-კვრას, თორემ ძალე ეს ტაშის-კვრა მთქნარებად გადაექცევათ; ნუ დაივიწყებენ, რომ ისინი ჯერ შეგირდები არიან და საჭიროა ჯერ კიდევ ბევრი სწავლა. თუ

ეს გულში ეჭნებათ, იმათ ჰუბლიკა არ უღალატებს ასე, როგორც უღალატა იმათ ამხანაგებს.

II

«მოძაგვდავნი», კომედია 4 მოქმედებად (მიხაკვა) თ. გ. შარვაშიძისა. — (ქართული თეატრი, 11 ნომბერს.)

თვით პიუსასე აქ ჩვენ ბეკს ვერას ვიტყვი, რადგან ეს ახლას არას წარმოგვიდგენს ქართულს რეპერტუარში. ეს არ არის ხასიათების დამტყვევებელი და ყოველ-მხრივ გამომხატავი კომედია (როგორც გვარწმუნებს «დროებაში» რეცენზენტები ემბე), რადგან არამც თუ მეორე მომქმედ პირების, თვით უმთავრესის პირის გრიგოლ ბატონი-შვილის ხასიათიც კი ვერ გაგვივია და, ამას გარდა, ვერც ის შეგნიშნეთ, რა თვალთუყუარებს ავტორი ჩვენს ცხოვრებას. გრიგოლ ბატონიშვილი კვებისულობს თავის აღბლიანობას ქალებში და ენიძლავება ერთს ზოლიციელს, რომ ვინც ქალი დამხვდება, ორის დღის განმავლობაში იმის გულს სრულიად მოვიგებო. ამის შემდეგ, ხედავს დავდარინთ მშვენიერ ქალს, სალომეს, და სთხოვს თავის ჩაცნობს ქვრივს მართას, ამ ღამეზე ქალთან შეძვარყო. მართა სალომეს მავიერ ბნელს ოთახში თავის გოგონსთან შეჭყურის გრიგოლს და ამასაც ჭგონია სალომესთან ვსტკბებიო. გრიგოლი ნიძლავს იგებს და კვებისულობს სალომესთან დაახლოვებას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ესმის თავის შეცდომა და ბოდიშს იხდის იმ ჰეტიოსთან ქალთან და მის ჩაინდ საჭმელსთან. აქ ხასიათი კი არ არის, უხასიათობაა.

ეს პიესა—ინტრიგის პიესაა, ეკუთვნის სერიბის შკოლას და როგორც სხვა მრავალთ - უძრავლესი ამ გვარი ჩრანტიული პიესა, სასხვა ეშმაგობით და სტენიურ ეფექტებით ვინც პირველად წახდავს მას, აღტაცებაში მოდის; ავტორი ყოველწამს რამე შარდას, გამოცანას ეუბნება ძეუერებულს და ოსტატურის შემთხვევით ან სიტყვით უხსნის ამ გამოცანას. მეორედ და მესამედ მოგებურდებათ ამისთანა პიესების წარმოდგენა, მეოთხედ და მეხუთედ კი თქვენსავე არ მოგიკათ თეატრში წასვლა.

სულ სხვა თვისება სჭირს ხასიათების კომედიას ან დრამას. ადამიანის გული მეტად ძნელი გამოცანაა; აქ ახირებულ შემთხვევას ან მოსწრებულ სიტუაციას დიდი მნიშვნელობა აქვს, აქ ცხოვრების სისამაგლის სურათი პირველად გუნებას გიფუტებთ, ნანობთ კიდევ რომ თეატრში მოხვედით, შინაც შეუყოფა ჩემი ყოველ-დღიური უსამოგონობა, თქვენთან მავრად, ავტორი თუ ნიჭიერია, შეუნიშნავად, ცოტ-ცოტად და მასთანავე საფუძვლიანად გახსლოვებთ მომქმედ პირებს, უნებურად უმეგობრდებით ზოგს მათგანს და ზოგს ემტყნებით, და ბოლოს შეეხვევით იმათ ისე, რომ როცა გამოდიხართ თეატრიდან, ხშირად იგონებთ და ადარებთ თქვენს ნაცნობებს, ნათესავებს და თქვენს თავსაც. მეორე და მესამე წარმოდგენაზე პიესისაგან აღტაცებაში მოდიხართ, მეოთხე და მეხუთე წარმოდგენაზე ჩემიანად იხსომებთ საუკეთესო სტენებს, და შემდეგ, ცხოვრებაში, ხშირად საყვარელ დრამის ენიი დაზარავობთ. ამ გვარი პიესები, ჩვენდა სამწუხაროდ, ქართულ აუპერტუარში ძლიერ ცოტაა, იმათ ემზავსება მხოლოდ სუნდუიანცის პიესები, დანარჩენი ახალი ძარსები და ძელდრამა.

ქები «კინტო», «მათიკო», «შეშლილია», ან ასედი თხზულება თ. გ. შარვაშიძისა კუთვნიან შირველ რაგს პიესებს.

აქ რამდენსამე სიტყვას ვიტყვით აქტიორების თამაშობასედაც. ინტრიგის პიესაში, რაც უნდა სუსტი იყოს იგი, დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველს სიტყვას. ეს მეტადრე თ. შარვაშიძის პიესასე ითქმის, სადაც დახლართული შინაარსია. მოთამაშემ ამ გვარ შემთხვევებში თავის მხრივ არც არაიერი უნდა დააკლოს, არც დაუმატოს.

ჩვენმა აქტიორებმა «მომაკვდავებს» დააკლეს მეორე მოქმედების ბოლო, ის ადგილი, სადა მართა გრიგოლს, სალომესთან მიყვანის მაგივრად, თავის გოგოსთან მიიყვანს. ამის გამო პიესა თითქმის გაუგებარი დარჩა მსურებლებისათვის. თუ ეს სტენა მეტად უმატებულა იყო, შეიძლებადა სსკვ: რამ მოეგონათ და პუბლიკა კი სასტად არ დაეკლოთ.

პიესას კარგად თვალ-ყური ვერ ადევნა პუბლიკამ კიდევ იმიტომ, რომ ზოგიერთა მოთამაშენი ცდილობდენ სახის გამოყვანილობით, ტანისამოსით, სიტყვების გამოთქმით სხვადასხვა კერძო შირებისთვის მიებაძათ. ყველა ამით სახეს, ტანისამოსს და სიარულს უყურებდა და დახლართული ინტრიგის გასაგებად კი დრო არა ჰქონდა.

ჩვენ იმ აზრისა არა ვართ, რომ კისმეს უსაყვადურით: კერძო შირთა მოქსედება საჭეყუნოდ სასაცილოდ რად გამოიყვანეს. კაცის მოქმედება თუ დიქსია დაცინგისა და თუ კაცი საზოგადოებას ავებს თავის ავის ყოფა-ქცევით, ამ გვარის ყოფა-ქცევის დასჯა ვადა მწერლობისაც და თეატრისაც, რადგან ორივე უნდა თავ-განწირვით ემსახურონ საზოგადო სიკეთეს. მაგრამ ნუ შეეხებით კერძო შირთ სახეს, იმათ ხმას, იმათ ტანისამოსს, ეს სულ უქმი საქმეა, მსურებელის თვა-

დის ამცდენია. გამთავრებულ ბოლოში ადამიანი სცენაზე ისე, რამ ქვეყანამ იცნოს გარეგანობით კი არა, მის მოქმედებით, მის აზრებით, მის გულგონით. თორემ თუ თეატრში სამდიდრო პირობის პორტრეტები წამოგვიყენეს თვალ - წინ, შეიძლება ბევრი ცილის-წამება მოხდეს: შეიძლება, მოთამაშემ პატრიარხს და ღიწკეულ კაცს სახე გაიკეთოს და რომელიმე აკაცაკი კი წარმოადგინოს.

აი ამიტომ საუბრეთეს თეატრში ევროპაში უკრძალავთ თავიანთ მოთამაშებს ცოცხალ პირობის ამ გვან ბუნებრივ - მძიმე ჯავრებს.

ბ. თ.

თეატრი

თეატრი

ზინაური მიმოხილვა

ქვეყანა ვისია—ოქრო და ხმალი— ხმალი და გუთანი— სახე-
ლოსნო-სამეურნო სკოლა—სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს
პროექტი—ჩვენის თეატრის გამო

ქვეყანა ვისია? «ყოველივე ჩემია, ამბობს ოქრო. ყო-
ველივე ჩემია, იძახის ხმალი. ყოველსფერს ვიყიდაო, მოჭ-
კვესს ოქრო. ყოველს ფერს ხელში ვიგდებო, იქადის ხმალი.
მითან ეგონა? არა გგონია. ჩვენის ფიქრით, თავ-მოწონე-
ბუღს ოქროს და გაზვიადებუღს ხმაღს, —ამ ოღს ჰატოღსანს
მეტოქეს დაჭვიწუებიათ, რომ ქვეყანაზედ მაგათ გარდა არის
ერთი ვიდევ რაღაღა, რომელსღა, თუ არ ჰირველი, უგანსღენე-
ლი დღიღი არ უჭირავს ქვეყნის განაწიღებღში. მართაღია,
ის ერთი რაღაღა ქედ-მოხრიღია, ჩემი, წუნარი, უწუნარი,
ტანად-მრეღე, მაგრამ გუღით მართაღი და ჰირად ბწწინგა-
ღეა. იგი ხმა-ამოღებღიღე, ხმა-გაკმენდიღი, ფეხ-მძიმედ დაღა-
რება ქვეყანაზედ: არღა ჰკვესს, არღ ხაქიაღბს, არღ არაღის ერ-
ღის, არღ არაღის ეციღება და საქმობს თავის-თავად დინჯად,
აუშოღოღებღად სულ მუღად და დაუღინებღიღე. იმღს რომ ერთს
ბეწო ხანს ჩაჭსთვღიღიღს, არღ ოქროსღა ექმნება რამე სას-
უიდაღი და არღ ხმაღს მოღსატაღებღიღი. იმღს რომ ერთს ბეწო
ხანს ჩაჭსთვღიღიღს მეთქი, არ ვიცი ქვეყანას რა დაემართებღ-
და, თუნდა ოქროს მთები იღგას და ხმაღების ტყეები. უღიღ-

სოდ ოქროს ქვეყანაზედ მოედანი არა აქვს და არც თვითონ ძალოვანს ხმაღს დიდი და ხანგრძლივი მანძილი. ის ერთი რაღაცა—გუთანია.

აი ამ ტუტია გუთანს შეუძლიან ოქროსა და ხმლის შუა ჩადგეს და თავისებურად დინჯად და მშუიდობიანად უთხრას: «შენ, ოქროვო, უჩემოდ უქმი სარ, არაფერში გამოსაყენებელი. უჩემოდ გაბათილებული გექსილი ხარ, ანუ, უკედ გქსთქვათ, გაგუტრებულის კაცის თამასუქი: ექნება რამე, მიიღებ, არა და შირში ჩაღა გამოიღლე და თუნდა თავი წყალს მიეცი. შენ შენით რა ხარ? სახეღარი და სხვა არაფერი. თუ მე აკვიდე რამე, ხომ რა კარგი, თუ არა და ზედაც რომ არავინ შემოგხედოს, ბევრს არას დაჭკარტავს. სძალო, შენ კი... იქნება უჩემოდ შესძლო რამე, მაგრამ ისე კი როგორც ნიაღვარი: მოვარდები, წარღვნი, წაღეკაკო, მიღეწ-მოღეწ, ბოლოს კი, როცა იქნება, ჩაივლი და ჩაშრები და თუ მე მიმიძსრობ, მაშინ კი ქვეყანა ჩვენია.» დახს, ბატონებო, ჩვენის გულისთადის ფიქრით, ქვეყანა იმისია, ვისაც ერთს ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანია. მარტო ხმალი, მართალია, თავისითაც ძლიერია, მაგრამ ვერსად ხანგრძლივ ფეხს ვერ მოიკიდებს, თუ ამხანაგად გუთანია არ იყოფა. ამისი მაგალითი სხვათა შორის მონგოლები არიან. ამათ მარტო ხმაღს დაუჯერეს, ისინი მარტო ხმაღს მიენდნენ: მიესივნენ ქვეყანას, დაიპყრეს ქვეყნებო, დაჭსწვეს, შეჭმუსრეს, მიანგრ-მოანგრეეს და ბოლოს ხომ თითონაც მტკრად აღგვიღ იქმნენ.

წარჩინებულნი ერთი ევროპისანი თითქმის სულ ხმლით მისეულნი ერთი არიან. მაგრამ საცა კი მივიდნენ, ყველგან გუთანია მიიმხრეს და აჭა დღესა ვხედავთ, რომ ყოველად მტკიცენი და მკვიდრნი არიან თავის ადგილებში. იმათი ადგილი-

დამ დაძვრს კელარაიუკრმა ვერ შეჭსძლო. არიან და იქნებიან უკუნისამდე.

მორს წასვლა საჭირო არ არის. მაგალითი თვალ-წინ გვიდგას. მაგალითები ჩვენ თვითონ ქართველები ვართ. ეს ერთი მუჭა ხალხი რამ შეგვიხსნას? ხმაღმა და გუთანმა. ჩვენ რომ დღეს ბინა გვაქვს, ადგილზედ რომ ფეხ-მოკიდებულები ვართ, სხვებსაგვით არ დავიქსაქსენით, არ გადავცვივდით აქედ-იქით, ჩვენ რომ ამდენს დაუძინებელს მტერს გავუძელით, გავუძელით და გადავჩინით, ჩვენი ერთი რომ დედა-მიწას შევჩნა და დედა-მიწა ექსა — ეგ იმიტომ-რომ ერთს ხელში ხმალი გვჭერია და მეორეში გუთანი დასახაზიდვანვე დღემდე. ესეც ვიქნებით შემდეგშია, თუ ეგ ორი უძლეველი ძალ-ღონე ერთს სიმკვიდრისა ხელთ გვექნება.

რასაკვირველია, ხმალი მამინ უფრო კარგია, რაღა იგი ფარის და არა სატყვარი. მაგრამ რასა იქ? ეს უბედური ქვეყანა ისე დაეწყო, რომ ხმალი უფრო სატყვარობს, ვიდრე ფარობს. ადამიანის გაუძღობელმა წაღიღმა ეს უკეთესი მხარე ხმლისა დაჩლუნგა და უარესი გალესა. მინამ ქვეყანა ასეა და ძალა აღმართსა ხნავს, ხმაღმა ორ-გვარი სამსახური უნდა გაუწიოს თავის ჰატრონს იმის მიხედვით, თუ შემთხვევა და ფათურაჲ რა დროს რას მოითხოვს. გუთანს კი ერთი განსაკუთრებული მშვიდობიანი დანიშნულება აქვს: დედა მიწის უხვი გული გადავკვიშალოს და იქიდან საზრდოებს გავწვდიდოს. გუთანი, ქართველებო, გუთანი! და ხმალი იყოს ფარი მისი, თავი და ბოლო აქ არის, დამიჯერეთ. წყალნი წაკლენ და წამოკლენ, ქვიშანი დაჩხებიანო, ნათქვამია. მულობადი იმისია, ვინც მიწაზედ ფეხ-გადგომულია და მიწას ამოქმედებს ხმლის მოვარკველობის ქვეშ. თვითონ დიდი რაში, ფითქმის მოკლეს

ქვეყნის მშვიტობელი, დაუცა, იმიტომ-რომ მარტო ხმალი ეჭო-
რს ხელში და გუთხანი კი არა.

ყოველივე ეს იმიტომ კი არა ვჭსთქვი, რომ აქაო და
გუთხანი გვიჭირავს ხელში, გულის სელები დავიკრიფეთ და
ამით მოვიწონეთ თავი. არა, ბატონებო, გუთხანს ცოდნაც
უნდა, რომ ერთი ათად იმაზედ მეტი შეჭსდლეს, რის შემ-
ძლებელიც აქამოდე იყო. ერთი უმთავრესი სახსარი ცოდნის
შეძენისა სკოლას და იმ ცოდნისა, რომელიც გუთხანს, ანუ
უკედ ვჭსთქვით, მიწის მოქმედებას ხელს უწყობს და შეჭთუ-
რის, სამეურნო სკოლას. ამ გვარის სკოლების გამართვა ჩვენ-
ში აუცილებელი საჭიროებაა და მით უფრო ადვილი, რომ
უნდა სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ რუსეთში საკმაოდ
ფართო გზა მიჭადა საზოგადოებას მაგ სკოლების დაარსები-
სათვის. ფრად საუკრადლებო აზრებისა ჯამოთქმული სამინისტ-
როს შრომატში ამ საგანზედ და თუ იხ შრომატში დამტკიცა
და და როგორმე ჩვენამდინაც მოაღწია, დიდი საქმე იქმნება.
აი ამ საგანზედ რის იწერება ერთი რუსული გაზეთი: «ახალი
შრომატის სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი სრულ ნებას
და უფლებას აძლევს თვითონ ერობას, მეურნობის საზოგა-
დოებას და კერძო პირთაც, გამართონ სახელმწიფო-სამეურნო
სკოლები გამმართველთა ნებაზედ არის მიგდებული, დაარსონ
ეც სკოლები კერძო პირთა მამულებში, თუ სხვაგან სადმე-
მთავრობა თუეცა ჭყისრულობს ნაწილს სკოლის ხარჯისას, მაგ-
რამ სკოლის გამმართველთ სრულს ნებას აძლევს თვითონ
ამოიწიონ სკოლის გამგებელიც, ოსტატებიც და მწრუნველე-
ბიც და ყოველივე გამგეობა სკოლის თვითონ იქონიონ. მხო-
ლოდ უმაღლესი ზედა - მხედველობა და ხელთ - მძღვანელობა
ჩნება მთავრობასა. სახელმწიფო-სამეურნო სკოლაში მოსამის-

ხურების გასამსჯელ და აგრეთვე სამსახურის უფლებანი უფრო
რო უკეთესნი არიან, ვიდრე საოსტატო სემინარიის მოსამსა-
ხურებისა.»

გარდა ამისა, რადგანაც ამისთანა სკოლაში უფრო მოზ-
დილი უმაწვილები უნდა შევიდნენ და მოზდილი უმაწვილი
გლეხ-კაცისათვის რადმე ღირს შინაობაში, და ამისი მოძო-
რება მისთვის დასაკლისია, დადებულა, რომ უოკელი შეგიწი-
დი, რომელიც სკოლაში შევა, მოჯამაგირესავით იუოს: ექ-
ლიოს საჭმელი, სასმელი, საცმელი და ჯამაგირიცა.

თუ ღმერთმა იპირინა, ეს პროექტი დამტკიცდა და ჩვენც
გვეღირსა, იქნება ჩვენც გვეშველოს რამე. სხვა რომ არა იუოს-
რა, აქამდის ეგრედ გამხელებული საქმე სკოლის გამართვისა,
ნება-დართვის აღებისა გადავიღებული მანც იქნება. აქაური
სამეურნო საზოგადოება, მას აქედ, რაც ლოჭინის სკოლას
გაუქმდა, ბევრსა ჭსდდილობს მაგ ვარის სკოლის გამართვი-
სათვის, მაგრამ დღეს აქამოდვე ვერაფერს გამსდარა. ამას წი-
ნდაც, ესე იგი, უკანასკნელს კრებაზედ, ვიდრე ჩამოაგდეს ამ
საგანზედ ლაშარაკი და არ ვიცით ბოლო როდის მოელება
სიტყვას და სიტყვა საქმედ როდის გადაიტყვას ჩვენ ვურჩევთ
აქაურს სამეურნო საზოგადოებას, თვალ-უურობ ადვენოს სე-
მოხსენებულს პროექტს და როცა დამტკიცდება, იშუამდგომ-
ლას, რომ ჩვენშიაც შემოღებულ იქმნას. თორემ, როგორც
ვიცით ზოგიერთების თონარაკი, აქაც ადგილობრივ გარე-
მობებსა წამოსხნიარაკენ და მის მოწყალებით შინში ჩადას გა-
მოგვისმენ.

ამ ბოლოს დროს ხშირი ლაშარაკი გაიმართა ჩვენის ქარ-
თულის თეატრის თაობაზედ. უჩივიან ცოტა ხალხი დადღსო
და მართალიც არის. მართალია, ჩვენდა სამწუხაროდ, მაგრამ

ამის მიზეზს მოძებნა უნდა და, თუ შესაძლებელია, მოსპობაცა. მიზეზების მძიებელთ დაუყინიათ, უკელაფერში კომიტეტია დამნაშავეა. ამ ბოლოს დროს, ძალიან გაუადვილდათ ამ გვარის მიზეზების შოვნა, თუ რაიმე საქმეს თვალ-საჩინო კაცი, ანუ საზოგადოება ჭყავს, მაშინვე გახსრებულნი მიჭსტვივიან და ყვირიან: მიზეზი აი ეს კაცი, ანუ ეს საზოგადოებაა და კმაყოფილნი ფარფარობენ, თითქო ან კაცი, ან საზოგადოება ყოვლად შემძლებელი იყოს. სვანეთში სკოლა არ არის. რატომ არ არის? დემკრთმანი. დიდ ხანს დაუფიქრდებიან და სიგძე სიგანეს გაუზომენ ამ კითხვას. თავი რაყედ აიტკინონ. ხომ არის წერა-კითხვის გამაჭრტყლებული საზოგადოება, დაჭკა, მაგასი ბრალიაო. თეატრში ხალხი არ დაიარება რატომ? ხომ არის რაღაც უბედური კომიტეტი, დაჭკა, მაგასი ბრალიაო. «კეთხვის-ტყაოსნის» რედაქცია ერთს საღამოს არ შეუშვიათ ბანკის სადგურში მოსამსახურებს. რატომ? იმიტომ-რომ ბანკს გამტებულნი ჭყვანან, დაჭკა, იმთი ბრალიაო. იმას კი აღარა კითხულობენ, აქვს იმდენი ღონის-ძიება წერა-კითხვის საზოგადოებას, რომ ამოდენა საჭირობას გაჭსწვდეს და სვანეთამდინაც ხელი მიაწვდინოს, თუ არა? არა კითხულობენ, აქვს რაიმე ღონის-ძიება თეატრის კომიტეტის, რომ ხალხი ხლომად მიჩკოს თეატრში? არა კითხულობენ იმას, რომ საღამოობით ბანკში, თუ წინ-და-წინვე არ ცოდინებ, არავინ არ უნდა შეუშვან, თორემ ჯიბგირები სხვის სახელობით ძალიან ადვილად გაიღებდენ ბანკის კარებს. ნუ თუ ყოველს ამას დიდი ჭკუა და გამომძიება უნდა. არ უნდა, მაგრამ რასა იქ?

ჩვენ ჩვენს საგანს დავშორდით. ჩვენის თეატრის საქმე ჟუჟამშია იმიტომ-კი არა, რომ კომიტეტია რაღაცა, არამედ

იმიტომ-რომ თუატრმა ხანგრძლივის მოქმედებით უნდა შეი-
 ჩვიოს ხალხი, აუცილებელ საჭიროებად უნდა შეექმნეს ხალხს
 თუატრში დროს გატარება და გართობა! ამისათვის საჭიროა,
 ჯერ ერთი ისა, რომ თუატრი მართლაც თუატრი იყოს, ესე
 იგი, კერძო პირთა მასხარად ასაგდები კი არა, არამედ საზო-
 გადო ჭირისა და ღვინის თვალ წინ წამომადგენელი. ამისა-
 თვის საჭიროა რიგისი რეპერტუარი, რიგისს რეპერტუარს
 ბძანებით ვერაჟინ ვერ შექმნის. ეგ დროისა და გონების გახ-
 სნის საქმეა. აქაც ჯერ მოცდა ვეძრებ, ჩვენდა სამწუხაროდ
 თუნდ რომ ეგეც არ იყოს, ჩვენის ქალაქის საზოგადოება
 თუატრის საზოგადოება არ არის თუატრს არსად არც დაბა-
 ლი ხალხი ინახავს, არც მალაღის წრისა. პირველს ამისათვის
 მოცდა არა აქვს და მეორეს უამისოდაც ბევრი გასართობელი
 აქვს. თუატრს ვუკვან ინახავს კუჭ-მძღარი მოქალაქობა, რომ-
 ელიც ჩვენში არამც თუ კუჭ-მძღარი, არამედ თუ-აუდგმე-
 ლიცა. სამწუხაროა ეს, თუ ხასიხარულა, არ ვიცით. ჩვენ
 მხოლოდ ეს გარემოება აგვიჩვენებს და მარჯვად დაგვინიშ-
 ნავს. სხვა თუ რამ წვრილმანი ნაკლებობა აქვს ჩვენს
 თუატრს, ეგ ყოველივე წარმავალია. ჩვენი დღევანდელი დას
 თუატრისა ბევრად უკეთესად ეკიდება ეხლა თავის საქმეს, ვიდ-
 დრე ოდესმე. წარმოდგენების მსვლელობას მიზეზი არა გვაქვს
 დაკვიდრით. ამ მხრით საქმე საკმაოდ კარგად მიჭყავო, მაგ-
 რამე ერთი რჩევა კი უნდა მივცეთ და თუ ყურადღება არ მი-
 აქცევს, იმ ერთ მუჭა ხალხსაც შემოიფარებენ, რომელნიც
 ესლად დაიარებიან და თუატრის საქმეს ძირს მოუთხრიან: ყო-
 ლის დონის-ძიებით უჩიდიანთ კერძო პირთა მასხარად აგდე-
 ბას სტანსეად. ეგ თუატრის უკადრისი ქცევაა და შეუნდობე-
 ლი ცოდვა.

მაშ რა ვქნათო, იტყვიან, თუ არც რეპერტუარი გააქვსო და არც მსყიდველნი გვეყოლებიანო ჯერ-სანად? როგორც იყოს უნდა თეატრი მაინც-და-მაინც შევიჩინოთ, მაინც-და-მაინც კამოქმედოთ. რითა და როგორ? შეწინფლობითა. ვისაც რამდენი შეგვიძლიან უნდა შევწიროთ და გარდა ამისა ვეცადნეთ, რომ სხვამაც შევწიროს. ამით იქნება იმოდენა მაინც მოგროვდეს, რომ თეატრმა თავი იჩინოს. არ იქნება ცუდი, რომ ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ ეს შუამდგომლობა საზოგადოების წინაშე ივისროს. წელნიწადში სამასი თუმანი სულ ფეხზედ დააყენებს ჩვენს თეატრს იმ მხრით მაინც, რომ დასი ეყოლებს. ჩვენი თეატრი, რაც უნდა იყოს, ჩვენის ეროვნობის საჯარო ნიშანია. ეს ყველა ქართველს უნდა ახსოვდეს, თუ თავის ქვეყნის ბედზედ გულ-ანდრებული და გულ-აყრილი არ არის.

ილი

დაიხსნა

2934

Handwritten signature

კორექტურული შედგომები.

ლექსში „განკითხვა“ 1) მეხუთე გვერდზე, სტრიქონი მ
ექვსე, ქვემოდამ

სწერია: «დაჭევა მრისხანით ძღუდავის დედას,»

უნდა იყოს: «დაჭევა მრისხანის ძღუდავის დედას,»

2) მეშვიდე გვერდზე, სტრიქონი მეხუთე, ქვემოდამ

სწერია: «მაგრამ მის შვილს, მის სიხარული»

უნდა იყოს: «მაგრამ მის შვილს, მის სიხარული»

3) იმავე გვერდზე შემდეგ სტრიქონისა:

«ტურფა ვარსკვლავი განთიადისა,»

უნდა მიჭერეს 1, 2, 3, 4, 5 და 6 სტრიქონი შემდეგის მეორე
გვერდისა და მსუჟან ოთხი დანარჩენი სტრიქონი მეშვიდე
გვერდისა.

4) მეოთხე გვერდზე, სტრიქონი მეოთხეზე თავი
დამ, უნდა ეს შენიშვნა ჰქონდეს: «მაზარა შავი წამოსასხამი
რომელსაც მოლოზნებს წამოსასხამს ხოლმე კურთხევის დროს
და შემდეგ საიუღავში ჩატანებენ.»

ნეკროლოგი.

რუსეთში გამოზდილს ქართველ უმაწვილ კაცობას კიდევ ერთი წევრი მკაცლდა; რუსეთის ციგმა ჭავამ კიდევ ერთი მსხვერპლი შეიწირა. ამ თვის დამდეგს ს. მალაროში ჭლექით გარდაცვლილს კოსტანტინე ნაცვლიშვილი. ის ბავშუობის დროსვე გაეგზავნათ კორონეჟის სამხედრო გიმნაზიაში და იქ ჩინებულად დაესრულებინს სწავლას. უეტველია რომ ბავშვის სათუთი ბუნება ვერ აიტანდა სასტიკს ჭაერს და იქნება მაშინვე გამოაჩნდა ნიშანი იმ საშინელის სხეულებისა, რომელმაც თან გადიტანა. მიცვალებულმა გიმნაზიიდან გამოსვლის დროს თურქეთში სიტუვაც არ იცოდა ქართული, როგორც ვველა რუსულ გიმნაზიებოდამ გამოსულმა ქართველებმა, მაგრამ იმას ესმოდა რომ უქართულად ჩვენ სამშობლოს სიკეთეს ვერ მოუტანდა და ისე ძლიერი იყო ამ სიკეთის მოტანის სურვილი, რომ მასუგან პეტერბურგში ყოფნის დროსვე ჩინებულად შეისწავლა ჩვენი ენა. შემდეგში ცდილობდა რუსის მწერლობაშიაც მონაწილეობა მიეღო: დაბეჭდა რამდენიმე სტატია «დროებაში» და მისი ერთი წერილი იწვანდიაზედ წრეკანდელს «ივერის მარტის ნომერშიაც იყო დაბეჭდილი. მიცვალებულს დიდძალი სახლობა ჭეგვდა და მუდამ იმის ზრუნვაში იყო—ცალკე თავის ოჯახისთვის ეპატრონა, ცალკე თავისი ცოდნა და მეცადინეობა საზოგადოებისთვისაც გამოეყენა. ამ ორგვარმა ზრუნვამ გაუძლიერა დიდი ხნის ჩანერგული სენი და ბოლოც მოუღო მის ტანჯვა-წვალებაში გატარებულს მოკლე ხნის უმაწვილ-კაცობას.

ი 383
1881

ბანახალეზა.

მომავალს 1882 წელს ჟურნალს «ივერიისაჲ» ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელი წლით.

ესი მთელს წლისა (თორმეტი წიგნი) შვიდი მანათი.

ვისაც ერთად შემოტანა გაუძნელდება, შეუძლიან ოთხი მანათი პირველს იანვრამდე 1882 წ. შემოიტანოს და დანარჩენი სამი მანათი პირველს მასამდე.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიისაჲ» რედაქციაში, რომელიც იმყოფება მთა-წმინდაში, ხევის ქუჩაზედ, ფარკესაშვილის სახლებში № 9 და აგრეთვე შაგერდოვის სააგენტოში.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთ წერილი ღ'ფული შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисѣ

Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ»

ვისაც უურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, ვთხოვთ, მალე აცნობოს რედაქციას.